

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ეკა აბესაძე

საგარეო ვაჭრობის სატარიფო რეგულირების ინფორმაციული
უზრუნველყოფა

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0175, საქართველო
აგვისტო, 2013 წელი

საავტორო უფლება © 2013 წელი, ეკა აბესაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავაცანით ეკა აბესაძის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: “საგარეო ვაჭრობის სატარიფო რეგულირების ინფორმაციული უზრუნვეყოფა“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თარიღი “ 1 “ აგვისტო “ 2013 წელი

ხელმძღვანელი: სრ.პროფ. ნოდარ ლომინაძე

ხელმძღვანელი: სრ.პროფ. კახაბერ ერაძე

რეცენზენტი: ასოც. პროფ. ქეთევან მდინარაძე

რეცენზენტი: ეკონ. მეცნ. დოქტ. პაატა ცაგარეიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2013 წელი

ავტორი: ეკა აბესაძე

დასახელება: საგარეო ვაჭრობის სატარიფო რეგულირების ინფორმაციული უზრუნველყოფა

ფაკულტეტი : ინფორმატიკისა და მართვის სისტემები

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: 01.08.2013

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

შესავალში მოცემულია ნაშრომის საერთო დახასიათება. დასაბუთებულია პრობლემის აქტუალობა, სამუშაოს მიზანი და კვლევის ამოცანა, კვლევის ობიექტები, კვლევის მეთოდები, მეცნიერული სიახლე, პრაქტიკული ღირებულება და შედეგების რეალიზაცია. მეცნიერული დასკვნების და რეკომენდაციების სარწმუნოობის დასაბუთება.

პირველი თავი ეხება კვლევის სფეროს ანუ საქართველოს საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკას, მის ისტორიას და დღევანდელობას, აღწერილია ქართული ბაზრის ჩამოყალიბება, გარკვეული საგარეო-პოლიტიკური ნაბიჯები. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები, ქვეყნის შიდა პოლიტიკა, რა გავლენას ახდენდა საგარეო პოლიტიკაზე. საქონლით ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები, მისი აღმასვლა-დაღმასვლა, ქვეყანაში განხორციელებული სავაჭრო ოპერაციები ექსპორტი და იმპორტი. რა დინამიკით იცვლებოდა საქართველოს ექსპორტ-იმპორტი? და დღევანდელობა. რა მდომარეობაა დღეს ამ კუთხით.

მეორე თავში განხილულია ქართული ბაზარი. მისი ძირითადი ნიშნები, სახეები, სტრუქტურა, თავისებურებები.

დღემდე რა მნიშველოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული ევროკავშირსა და საქართველოს ურთიერთობებში. სამოქმედო გეგმა, რომელიც საქართველოს და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის სტრატეგიულ ამოცანებს განსაზღვრავს.

განალიზებულია ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურა და მოცულობა, როგორც ქვეყანაში განხორციელებული სავაჭრო ოპერაციების ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი. ამ ოპერაციების რეგულირების და დაცვის პოლიტიკა. საქართველოში მოქმედი სატარიფო პოლიტიკა.

დახასიათებულია ექსპორტ-იმპორტის ხელშემწყობი ორგანიზაციები.

მესამე თავი ეხება მონაცემთა ბაზების დაპროექტებას, აგებას და ადმინისტრირებას. საინფორმაციო სისტემებს - აუცილებელ ინსტრუმენტს პრაქტიკულ საქმიანობის ყველა სფეროში. მათი აგების პრინციპებს და დამუშავების წესებს.

განხილულია ნახევარსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე პროგრამულმა უზრუნველყოფამ რა ცვლილებები განიცადა: მარტივი ლოგიკური და არითმეტიკული ოპერაციების შესრულების პროგრამებიდან, წარმოების მართვის რთულ სისტემებამდე.

მსოფლიოში, ყოველწლიურად მონაცემების რაოდენობა ორჯერ იზრდება. მიუხედავად იმისა, რომ იგი შეიძლება გადავაცვიოთ საჭირო ინფორმაციად, სარგებელი ცოტაა, რადგან ინფორმაცია თავისი უზარმაზარი მოცულობისა და ქაოტურობის გამო ვერ გამოდგება გადაწყვეტილებათა მიღებისას. ბიზნეს-ინტელექტისა და მონაცემთა საცავების საშუალებები მოწოდებულია საჭირო ინფორმაციისა და მონაცემების აღმოსაჩენად.

დღეისათვის მონაცემთა ბაზები ფართოდ არის გავრცელებული და ისინი ფაქტობრივად ყველგან გამოიყენება. მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა კი უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზის შექმნას, მოხმარებას და მართვას.

ასეთ სისტემებს მიეკუთვნება, მაგალითად, Oracle, Informix, Sybase, DB2, MS SQL Server).

არჩევანი შევაჩერეთ მონაცემთა ბაზების მართვის სისტემაზე Oracle-ზე. ეს არჩევანი განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა.

- Oracle ყველაზე სწრაფია;
- მისი მართვა გამოირჩევა სიმარტივით;
- Oracle ძნელია მწყობრიდან გამოიყვანო ან გატეხო;
- ინტელექტუალურია;
- განვითარებადია;

აქვე განხილულია მისი არიტექტურა და უნიკალური ტექნოლოგიები

მეოთხე თავში აღწერილია სამოქმედო ექსპორტი-იმპორტის არეალი საინფორმაციო სისტემაში. ამ სფეროს საინფორმაციო სისტემის ინფორმაციის მიწოდება და ავტომატიზებული მუშაობის უზრუნველყოფა. პროგრამა მიზნად ისახავს ექსპორტი-იმპორტის განხორციელების საინფორმაციო სივრცის ჩამოყალიბებას.

ამ სისტემაში გათვალისწინებულია (მონაცემთა ბაზების კლასიფიცირების მიხედვით) იმპორტის და ექსპორტის მიმართულებები (რეჟიმები) და ამ კუთხით ყველა ის აქტუალური ინფორმაცია, რომელზეც აიგება მონაცემთა ბაზა და სისტემა.

აღწერილია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის მე-IV კარში შემავალი პროდუქციის იმპორტის თავისებურები. განხილულია არჩეული მონაცემები, იმპორ-ექსპორტის სტატისტიკური მონაცემები 2013 წლის იანვარ-აპრილში, საქონლის გადინება - შემოტანა, ქვეყნებისა და საქონლის ჯგუფების მიხედვით. რომელზეც მოხდება oracle - ში ობიექტის შექმნას, სისტემების დაპროექტების და პროგრამული უზრუნველყოფის კონსტრუირება. მონაცემთა ბაზის შექმნა. იმ ინფორმაციაზე რომელიც ყველაზე აქტუალურია. ამ ბაზაზე სტრუქტურა აიგება Oracle-ში. მისი აგების ეტაპებია განხილული.

რეალური სახე საბოლოო შედეგის.

სამუშაოს მიზანი სადისერტაციო ნაშრომში ასახული კვლევის მიზანია შეისწავლოს ქართულ ბაზარზე ექსპორტ-იმპორტის თეორიული და მეცნიერულ-პრაქტიკული პრობლემები, როგორც ქვეყანაში განხორციელებული სავაჭრო ოპერაციების ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი. ამ ოპერაციების რეგულირების პოლიტიკა.

საგარეო ვაჭრობის სუბიექტებისათვის ძნელია მისდიონ ხშირ ცვლილებებს, რაც თავის მხრივ იწვევს საზღვრებზე საქონლის გადაადგილებისას უამრავი ბარიერის წარმოშობას, როგორცაა გადასახდელების ოდენობები, საჭირო ლიცენზიები და ნებართვები, მათ

მოსაპოვებლად საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და სხვა. ინფორმაცია, რომელიც ასახავს ქართულ ბაზარზე იმპორტირებულ და ექსპორტირებულ პროდუქციას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე აქტუალურად მიგვაჩნია სიღრმისეულად იქნას შესწავლილი საგარეო ვაჭრობის რეგულირების მოქმედი სატარიფო მექანიზმები. თემის უდიდეს პრაქტიკულ ასპექტად შეიძლება ჩაითვალოს საინფორმაციო სისტემის შექმნა, რაც საშუალებას მისცემს საგარეო ვაჭრობის და მომავალში დაინტერესებულ სუბიექტებს წინასწარ მიიღონ ინფორმაცია კონკრეტულ საქონელზე დაწესებული საგადასახადო განაკვეთების, საჭირო ნებართვების, ლიცენზიების, მათი მოპოვების პროცედურების თაობაზე ცალკეული სასაქონლო სახეობების მიხედვით და ქართულ ბაზარზე იმპორტირებულ-ექსპორტირებული ამ პროდუქციის შესახებ ინფორმაცია.

განხილულია ამ კუთხით შექმნილი მონაცემთა ბაზა, მოდელები და სტუქტურა. მისი მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა Oracle აგება, დაპროექტება, ადმინისტრირება.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს საგარეო ვაჭრობის რეჟიმები, ექსპორტ-იმპორტი ქართული ბაზარზე და ამ სფეროში მომუშავე სუბიექტები. მათი ფუნქციონირება.

კვლევის მეთოდები ნაშრომში გამოყენებულია სტატისტიკურ-მათემატიკური, შედარებითი ანალიზის მეთოდები. რომლებიც განხილულია ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომებში, აგრეთვე, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მასალებზე დაყრდნობით.

ნაშრომის ძირითადი შედეგი და მეცნიერული სიახლე როგორც ზემოთ აღინიშნა, მსგავსი კვლევა საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა. კვლევის მოსალოდნელი შედეგებიდან გამომდინარე, პირველ რიგში შესაძლებელი გახდება სავაჭრო ტვირთნაკადების გზაზე არსებული ადმინისტრაციული ბარიერების ანალიზი. შემუშავებულია წინადადებები სამართლებრივი ბაზის სრულყოფის მიზნით, რათა

თავიდან იქნას აცილებული მექანიზმების მოქმედების დუბლირება, შეფასება მათი გამოყენების კანონზომიერების საკითხი, მოხდება მექანიზმების სისტემატიზაცია და საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი თავს მოიყრის ერთიან საინფორმაციო სისტემაში, რაც გაადვილებს საგარეო ვაჭრობის სუბიექტების მიერ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. საშუალებას მისცემს საგარეო ვაჭრობის სუბიექტებს წინასწარ მიიღონ ინფორმაცია კონკრეტულ საქონელზე დაწესებული საგადასახადო განაკვეთების, საჭირო ნებართვების, ლიცენზიების, მათი მოპოვების პროცედურების თაობაზე ცალკეული სასაქონლო სახეობების მიხედვით და სტატისტიკურ მონაცემებს ამ სასაქონლო სახეობის პროდუქციის შესახებ.

ინფორმაციული სისტემა შეასრულებს შუამავლის გარკვეულ ფუნქციებს უსასყიდლოდ. რაც შეუწყობს ხელს დანახარჯის შემცირებას და ზუსტ ინფორმაციასთან წვდომას.

ასეთი ინფორმირებულობა გაზრდის ამ სფეროთი დაინერესებას. რა შესაბამისად გაზრდის საგარეო ვაჭრობის სუბიექტების რაოდენობას.

საგარეო სავაჭრო ურთიერთობების თეორიების შესაბამისად თავისუფალი ვაჭრობა ქვეყნის კეთილდღეობას ამაღლებს. მის დადებით ეფექტებად შეიძლება ჩაითვალოს წარმოებისა და მოხმარების ზრდა, საწარმოს ოპტიმალური სიდიდის სწრაფი მიღწევა და ზრდადი კონკურენციით შექმნილი ინოვაციები.

შედეგის გამოყენების სფეროს მთავარი ორიენტირი არის საგარეო ვაჭრობაში მომუშავე და მომავალში დაინტერესებული სუბიექტები. მაგრამ ეს სისტემა შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველა იმ პირის მიერ, რომელიც დაინტერესებულია ამ კუთხით.

Abstract

Introduction gives the general description of the paper, proves the topicality of the problem, describes the goal of the paper and objective of the research, objectives of the study, methods of the research, scientific novelty, practical value and realization of the outcomes and substantiation of the confidence of the scientific conclusions and recommendations.

Chapter One deals with the field of study, i.e. foreign economic policy of Georgia, its history and present. It describes the formation of the Georgian market and some measures of foreign policy; partnership and cooperation agreements, domestic policy of the country and its influence on foreign policy; provisions about the trade of goods and improvements and drawbacks of such trade, trade and export and import operations accomplished in the country; dynamics of the changes in export and import of Georgia and present, and general situation in this respect.

Chapter Two describes the market of Georgia, its principal characteristics, types, structure and peculiarities; important steps made in the relationship between Georgia and the European Union; action plan determining the strategic objectives of cooperation between Georgia and EU.

This Chapter analyzes the structure and scope of export and import as those of one of the factors determining the economic growth of the trade operations accomplished in the country, regulatory and protection policy for these operations and tariff policy effective in Georgia.

The given Chapter describes the companies and organizations promoting export and import in the country.

Chapter Three deals with designing, compiling and administering the databases; it describes the information systems, the major instrument in every field of practical activity and the major principles to design them and rules of their management.

The given Chapter considers the modifications to the software for a half a century of its existence from the software of simple, logical arithmetic operations through the complex production management systems.

The data double worldwide annually. Despite the possibility to convert them into useful information, the expected benefit is insignificant, as the

information owing to its large volume and chaotic nature, cannot be used for the decision-making purposes. The means of business intellect and data storages are dedicated to discover the needed information and data.

At present, databases are widely spread and virtually, they are used in any field. The database management system makes it possible to design, use and manage a database.

Such systems are for instance Oracle, Informix, Sybase, DB2, MS SQL Server.

I have selected to consider Oracle database management system for the following reasons:

- Oracle is the fastest
- It is easy to manage
- Oracle is difficult to break down or break
- It is intellectual
- It is ever-developing.

The paper also discusses the architecture and unique technologies of Oracle.

Chapter Four describes the Export-Import action area and information delivery and automated operation in this field. The given software aims at developing the information space of export and import movement.

The given system considers the directions (regimes) of export and import (depending on the database classification) and all topical information in this respect used to design the database and system.

The paper describes Oracle-based designing of the import of products of foreign economic activity included in Chapter IV of the Goods Nomenclature. The selected data used to create Oracle 11g object and engineer the system design and software are considered; creating the database of the most topical information. The structure will then be designed in Oracle on the given base. The paper describes the steps of such designing.

Real view of the final result.

Goal of the paper. The goal of the dissertation thesis is to study the theoretical and scientific-practical problems of export and import on the Georgian market, as that of one of the factors of the economic growth of the trade operations accomplished in the country and regulation policy of these operations.

Foreign trade subjects find it difficult to respond to frequent changes resulting in numerous barriers to the goods moving across the borders, such as size of taxes,

necessary licenses and permits, compiling the documents necessary to obtain them, etc. as well as information about the imported and exported goods on Georgian market. Following the above-mentioned, we think that in-depth study of the effective tariff mechanisms regulating foreign trade is topical. Designing the information system allowing the subjects of foreign trade and perspective subjects gaining the information about the tax rates, necessary permits, licenses and procedures to obtain them for concrete types of goods and information about the import and export of the given kind of production on the Georgian market can be considered as the greatest practical aspect of the topic considered in the paper.

Object of the study is the foreign trade regimes, export and import on the Georgian market, subjects operating in this field and their operation.

Methods of study. The paper uses statistical-mathematical methods and methods of comparative analysis considered in the works by Georgian and foreign scientists, as well as materials of the National Department of Statistics of Georgia and Ministry of Foreign Affairs of Georgia.

Major outcome and scientific novelty of the paper. As mentioned above, no similar study has been accomplished in Georgia so far. Following the expected results of the study, first of all, it will become possible to analyze the administrative barriers across the trade cargo flows. The proposals to improve the legal basis to avoid the duplication of the action of mechanisms will be developed and the regularity of their application will be evaluated; the mechanisms will be systematized and all these materials will be mobilized as a single information system, which will provide better access of the foreign trade subjects to the information and will allow such subjects to gain the information about the tax rates, necessary permits and licenses and procedures to obtain them for concrete types of goods and statistical data about the commodity goods.

The information system will discharge certain functions of a mediator free-of-charge what will help reduce the costs and access to the accurate information.

Such awareness will boost the interest in this field resulting in the increased number of the foreign trade subjects.

In line with the theories of foreign trade relations, free trade improves the general welfare in the country, with increased production and consumption, swiftly attained optimal size of enterprises and innovations as a result of increasing competitiveness to be thought in terms of its positive effects.

Field of the result application. The major target is the subjects operating in foreign trade or perspective subjects. Nevertheless, the said system can be used by any organ oriented in the given field.

შინაარსი

შესავალი	18
ლიტერატურის მიმოხილვა	20
თავი 1. საქართველოს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ისტორია და დღევანდლობა	24
1.1. საქართველოს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ისტორია	24
1.2. საქართველოს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.....	32
1.3. საქართველოს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდში	44
თავი 2. საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა.....	60
2.1. საქართველოში მოქმედი სავაჭრო რეჟიმები	60
2.2. სატარიფო პოლიტიკა	64
2.3. საქართველოში არსებული საბროკერო კომპანიები და მათი როლი იმპორტირებულ საქონელზე ორიენტირებულ ბიზნესზე.....	72
2.4. ექსპორტის ხელშეწყობის სამსახური	75
თავი 3. მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები.....	78
3.1. მონაცემთა ბაზების დაპროექტება, აგება და ადმინისტრირება.....	78
3.2. მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა oracle-ის არქიტექტურის ძირითადი ელემენტები	85
3.3. oracle-ის უნიკალური ტექნოლოგიები.....	90
თავი 4. საგარეო ვაჭრობის რეჟიმების იმპორტ-ექსპორტის ინფორმაციული უზრუნველყოფა	101
4.1. ეკონომიკური საინფორმაციო სისტემის მართვა	101
4.2. იმპორტისა და ექსპორტის რეჟიმების ინფორმაცია მონაცემთა ბაზის შესაქმნელად	105
4.3. საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა oracle-ში.....	120
დასკვნა	124

გამოყენებული ლიტერატურა	127
დანართი.....	130

ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1. გარდამავალი რეცესია (დაცემა) და “დიდი დეპრესია”	39
ცხრილი 2. საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა 1995-2009 წლები .	52
ცხრილი 3. სეს ესნ-ს IV კარის ჯგუფის საქონელი.....	110
ცხრილი 4. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ)	116
ცხრილი 5. საქართველოს იმპორტი სასაქონლო პოზიციების მიხედვით ..	117
ცხრილი 6. საქართველოში იმპორტი ქვეყნების მიხედვით	117
ცხრილი 7. საქართველოში იმპორტირებულ ექსპორტირებული საქონლის რაოდენობა ქვეყნების მიხედვით.....	118
ცხრილი 8. პარტნიორი ქვეყნების კოდები, ვალუტა და კანონდებლობის ვებ-გვერდი.....	119

ნახაზების ნუსხა

ნახ. 1. საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა	51
ნახ. 2. საქონელი. საქართველოს 2008 წლის ექსპორტის სტრუქტურა	53
ნახ. 3. საქონელი. საქართველოს 2008 წლის იმპორტის სტრუქტურა.....	54
ნახ. 4. საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა 2012 წელი	56
ნახ 5. უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნების წილი მთლიან იმპორტში 2013 წლის იანვარი.....	58
ნახ. 6. Oracle Database სისტემის არქიტექტურა.....	86
ნახ. 7. მონაცემთა ბაზების გამოყენებადი მართვის სისტემების წილი გლობალურ ბაზარზე	91
ნახ. 8. ტექნოლოგია Real Application Cluster, (RAC).....	92
ნახ. 9. Real Application Testing (RAT) ტექნოლოგია.....	93
ნახ. 10. Total Recall ტექნოლოგია	95
ნახ. 11. In Memory Database Cache უნიკალური ტექნოლოგია.....	96
ნახ. 12. Automatic Storage Management (ASM) ტექნოლოგიები.....	97
ნახ 13. საგარეო ვაჭრობის რეჟიმების მონაცემთა ბაზის სტრუქტურა.....	121

დისერტაციაში გამოყენებული აბრევიატურები

მშპ - მთლიანი შიდა პროდუქცია;

ვმო - ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია;

დსთ - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა;

მზმს - მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა;

სეს ესნ - საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურაში;

ENP - European Neighbourhood Policy;

WTO - World Trade Organization;

MFN - Most-Favored-Nation;

GSP - Generalized System of Preferences;

GSP+ - Generalized System of Preferences;

GATT - General Agreement on Tariffs and Trade;

OLTP - OnLine Transaction Processing;

DSS - Decision Support System;

EDP – Electronic Data Processing;

MIS – Management Information System;

RAC - Real Application Cluster;

RAT - Real Application Testing;

ASM - Automatic Storage Management

BI - Business Intelligence.

შესავალი

დღეს საქართველოში, პრაქტიკულად ყველამ, ნებისთ თუ იძულებით, ბიზნესს, უმეტესად კი კომერციას მოჰკიდა ხელი. მეწარმეობითი საქმიანობა, სამწუხაროდ, ჩამორჩება დროის მოთხოვნებს. საბაზრო ურთიერთობებმა სრულიად ახალი, ჩვენთვის თითქმის უცნობი მოთხოვნები წარმოშვა. ახალ მოთხოვნებს კი ახლებური, დროის შესაბამისი ხედვა და მართვა სჭირდება. საქართველოში თანდათანობით იქმნება და იხვეწება ბიზნესის განვითარებისათვის მეტად აუცილებელი სამართლებრივი ბაზა; ტარდება ეკონომიკური რეფორმები; მუშავდება მიზნობრივი პროგრამები, მოდელები, კონცეფციები; ქვეყანა ერთიანდება საერთაშორისო ორგანიზაციებში; ჩნდება იმედის მომცემი ტენდენციები.

ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტის უნიფიცირებული, მზარეცეპტი არ არსებობს. საჭიროა ეროვნული კვალიფიციური კადრების მომზადება, მოწინავე გამცდილებების გაზიარება და ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით განვითარების საკუთარი გზების ძიება.

ვერც ერთი ქვეყანა დამოუკიდებლად, საკუთარ ეროვნულ საზღვრებში ჩაკეტილი ვერ განვითარდება. თუ გვინდა ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა, თანამედროვე მსოფლიო მეურნეობაში უნდა ჩავერთოთ არა ფორმალურად, არამედ ჩვენთვის მისაღები ეკონომიკური ურთიერთობებით. ამისთვის კი აუცილებელია, შევიცნოთ ის პროცესები, რომლებიც დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარებს. ქვეყნებს შორის არსებული ეკონომიკური კავშირების გაღრმავება-გაფართოება მთელი ცივილიზებული სამყაროს განვითარების განმსაზღვრელი პირობაცაა. ეს კავშირები კი დღენიადაგ განახლებას განიცდიან და თუმცა, მასში საკმაოდ არის ობიექტურიც და სუბიექტურიც, კეთილიც და ვერაგულიც, მართვადიც და სტიქიურიც, ხილულიც და შენიღბულიც, მათ გარეშე

შეუძლებელია ნებისმიერი ბუნებრივი რესურსისა და ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის მქონე ქვეყნის ეკონომიკური ამიტომ გვსურს თუ არა, როგორც გარდაუვალი აუცილებლობა, უნდა შევიცნოთ და ვისწავლოთ თანამედროვე სამეწარმეო და კომერციული საქმიანობა.

ლიტერატურის მიმოხილვა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ 20 წლის განმავლობაში პოსტსოციალისტური ქვეყნების ტრანსფორმაცია განსხვავებული ტრაექტორიით წარიმართა. მსგავსი სასტარტო პირობებიდან ამ ქვეყნებმა, სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორის ზეგავლენით, განვითარების განსხვავებულ დონეს მიაღწიეს. საკმარისი დრო გავიდა საიმისოდ, რომ შეფასდეს ტრანსფორმაციის პროცესი, მისი დინამიკა და მახასიათებლები იმის გათვალისწინებით, რა ამოცანები იყო დასახული და რა შედეგები მივიღეთ. საწყის ეტაპზე პოსტსოციალისტური ქვეყნების მოდერნიზაცია, ანუ ძველიდან ახალ სისტემაზე გადასვლა, გაიგივებული იყო დასავლური ტიპის სახელმწიფოს მშენებლობასთან. თავის მხრივ, ეს, ძირითადად, დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბებასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას გულისხმობდა. ამ ძირითადი პოლიტიკური და ეკონომიკური კომპონენტების გარდა, ტრანზიციას სხვადასხვა, მათ შორის, სოციალური, კულტურული, მენტალური, ღირებულებითი და ა.შ. განზომილებებიც გააჩნდა, რომელთა ერთობლიობამ დროთა განმავლობაში სხვადასხვა ქვეყანაში მოდერნიზაციის განსხვავებული კურსი ჩამოაყალიბა.

საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაციის ოცწლიანი პერიოდი საინტერესოა მრავალი თვალსაზრისით, მათ შორის, მიმდინარე პროცესების გასაანალიზებლად.

ევროკავშირთან ეკონომიკურ და სოციალურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები საკმაოდ მრავალრიცხოვანია. მათ რიცხვშია მდგრადი განვითარება და კონკურენციის პოლიტიკის ჰარმონიზაცია, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება, უმაღლესი განათლება, სურსათის უვნებლობა, ინტელექტუალური და სამრეწველო საკუთრების დაცვა, სიღარიბის შემცირება და სოციალური თანასწორობა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, სოციალური პარტნიორობა და მრავალი სხვა.

ევროკავშირთან ეკონომიკური და სოციალური საკითხების ჰარმონიზაციის მიმდინარეობის და არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების მიზნით, კავკასიის ეკონომიკურმა და სოციალურმა კვლევითმა ინსტიტუტმა ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით განახორციელა პროექტი „ეროვნული პლატფორმის გააქტიურება „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ კონტექსტში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განვითარებისათვის“. პროექტი 2011 წლის განმავლობაში ხორციელდებოდა და პარტნიორ ორგანიზაციას წარმოადგენდა ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრი. პროექტი დაფინანსდა ფონდის ინიციატივის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავდა „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ თაობაზე საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდას და აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმის გააქტიურებას.

ბიზნესის საინფორმაციო სისტემების წარმოება დღევანდელ დღეს მიეკუთვნება მნიშვნელოვან მიღწევას თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებაში. ბიზნეს სისტემა წარმოადგენს მრავალპროფილიან, ტერიტორიულად განაწილებულ სტრუქტურას, რომელსაც გააჩნია ყველა სასიცოცხლო მნიშვნელობის სისტემა და ფუნქციონირებს დეცენტრალიზებული მართვის პრინციპებით.

ბიზნეს-კონკურენტულ გარემოში ნებისნირი კორპორაციის (დიდი თუ მცირე ორგანიზაციის-საწარმოს) წარმატებული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია და მნიშვნელოვან კრიტიკულ წერტილს წარმოადგენს ბიზნეს ინფორმაციის (მმართველობითი, ფინანსური, იურიდიული, მარკეტინგული და სხვ.) და ინტელექტუალური რესურსების (კორპორაციის ადმინისტრაციული, ტექნიკური-ტექნოლოგიური და პროგრამულ-ინფორმაციული

რესურსები) სრული ფლობა და შესაბამისად მათი ოპერატიული მართვა.

მისი ეფექტური მართვისთვის გარდა მონაცემების სწრაფი გადაცემისა და მუდმივი კომუნიკაციის არსებობისა, ასევე მნიშვნელოვანია ინფორმაციის ოპტიმალური დამუშავება. ეს ეხება ბიზნეს-პროცესების სისტემურ ანალიზს, მათი ცალკეული პრობლემების განხილვიდან - გადაწყვეტილებათა მიღებამდე და რეალიზაციამდე. ასეთი რთული ამოცანების გადაწყვეტის ერთ-ერთ თანამედროვე, აქტუალური მიმართულებაა ბიზნეს-პროცესების მართვის ინტელექტუალური სისტემა ანუ ბიზნეს-ინტელექტის (BI - Business Intelligence) ტექნოლოგია.

ფაქტობრივად, ამ სისტემის რეალიზაციის მიზანს წარმოადგენს მინიმიზაციამდე დაიყვანოს ორგანიზაციული მართვის სისტემის დატვირთვა, რაც იწვევს ადამიანური რესურსების დამატებით დროით ხარჯს და შესაბამისად აფერხებს სამუშაო პროცესის ოპტიმალურად წარმოებას. სისტემა ადაპტირებულ უნდა იქნეს სერვის-ორიენტირებულ მიდგომაზე, შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად მოხდეს საპრობლემო ინციდენტების მართვისა და ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღება, სხვადასხვა საკონტაქტო საშუალებების გამოყენების ტრანსფორმაცია შეტყობინებების რეჟიმზე და ა. შ.

Oracle (Oracle Corporation) - ამერიკული კომპანია, მსოფლიოს უდიდეს ორგანიზაციების პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერი.

კომპანია სპეციალიზირებულია მონაცემთა ბაზის მართვის სისტემებისა და პროგრამული უზრუნველყოფის კავშირებზე და ბიზნეს-პროგრამებზე. კომპანიის ყველაზე ცნობილი პროდუქტია - Oracle Database, რომელსაც კომპანია აწარმოებს თავისი დაარსებიდან.

კომპანია დაარსდა 1977 წელს. გააჩნია ფილიალები 145 ქვეყნებში.

იყო და არის ყველაზე პოპულარული და მოხმარებადი სისტემა მონაცემთა ბაზების მართვისთვის.

მონაცემთა ბაზების სამართავად Oracle -ის გამოყენებისას რა მთავარი პრინციპები უნდა იქნას გათვალისწინებული. მისი არქიტექტურა.

Oracle -ში მონაცემებთან წდომის უფლება SQL დახმარებით ხორციელდება. რომელიც საშუალებას იძლევა პარალელურად ბევრი მომხმარებლის მომსახურებას (მონაცემებთა წდომისა და მოდიფიცირების (საშუალებას). ამავდროულად უზრუნველყოს მონაცემთა მთლიანობას და საიმედო დაცვას.

თავი 1. საქართველოს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა

1.1. საქართველოს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ისტორია

ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება 2 800 - 3 000 წლის წინ გულისხმობს გარკვეულ საგარეო-პოლიტიკურ ნაბიჯებს, კონკრეტულ დიპლომატიურ საქმიანობას. ქართული დიპლომატიური სამსახურის, მისი ფორმების, მეთოდების, ხერხებისა და საშუალებების განხილვა სახელმწიფოს განვითარებასთან ერთად ხდება. საინტერესოა, საელჩო (სამოციქულო, სადესპანო) სამსახურების საქმიანობა, ელჩობათა ეფექტურობა, დიპლომატიური მოლაპარაკებების ფორმები, თუ შეთანხმებების შინაარსი. ქართული დიპლომატიის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული მეზობელ თუ არამეზობელ ქვეყნებთან კავშირსა და ურთიერთობებთან.

საქართველოს სახელმწიფოს მნიშვნელობა მეტ წილად განსაზღვრა მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ - ზღვაზე გასასვლელმა, საზღვრების დაცულმა კონფიგურაციამ (ჩრდილოეთით - კავკასიონის ქედი, დასავლეთით შავი ზღვა) და გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ (სატრანზიტო გზები, მოსაზღვრე ქვეყნები, მათი კავშირები და ტრადიციები).

საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში, კავკასიის მეშვეობით ხორციელდებოდა ტომთაშორისი კავშირები ძველ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ხდებოდა ტექნიკურ-კულტურული მიღწევების გაზიარება[3].

ძველი ბერძენი ავტორების (ჰომეროსი, ჰეროდოტე, ქსენოფონტი და სხვა) ცნობით, კოლხეთი წარმოადგენდა იმდროინდელი მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს და უმძლავრეს ქვეყანას. ანტიკურ საბერძნეთსა და კოლხეთის სამეფოს გაცხოველებული ვაჭრობა ჰქონდათ ერთმანეთთან.

ბერძნებს კოლხეთიდან გაჰქონდათ რკინა, სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი და სხვა საქონელი, ხოლო შემოჰქონდათ თავიანთი განთქმული კერამიკა[2].

მოგვიანებით ვაჭრობამ ფართო საერთაშორისო ხასიათი შეიძინა. წარმოიშვა დიდი სატრანზიტო გზა, რომელიც ინდოეთიდან იწყებოდა, შუა აზიიდან კასპიის ზღვამდე სანაოსნო იყო, შემდეგ მდინარე მტკვარით, სურამის უღელტეხილითა და მდინარე ფაისით (მდ. რიონი) შავ ზღვამდე აღწევდა და მცირე აზიისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქალაქებს უკავშირდებოდა[3].

ძვ.წ. IV-ის დასასრულს მცხეთური არისტოკრატის წარმომადგენელმა ფარნავაზმა გააერთიანა ტერიტორია კავკასიონის ქედიდან ევფრატის სათავეებამდე და მეფის ტიტული მიიღო. ასე შეიქმნა ერთიანი აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფო იბერია (ქართ. ქართლი). მცხეთა ამ სახელმწიფოს დედაქალაქი გახდა[4].

იბერია, ანუ ქართლი, მდიდარი, მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა იყო. ბუნებრივი პირობების მიხედვით იგი შედგებოდა ორი ზონისაგან - მთისა და ბარისაგან. ბარის მოსახლეობა ძირითადად მიწათმოქმედებას მისდევდა.

იბერიის ქალაქებში ვაჭრები და ხელოსნები ცხოვრობდნენ.

ფარნავაზმა საფუძველი დაუდო ქართველურ ტომთა გაერთიანებას. ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და მისი საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლა ერთდროულად მოხდა.

III - V საუკუნეებში ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკასა და დიპლომატიაში გამოკვეთილი იყო რამდენიმე მიმართულება:

1. თავდაცვითი და მანევრული დიპლომატიის შეხება ორ აგრესიულ იმპერიასთან - სასანურ ირანთან და რომის (ბიზანტიის) სახელმწიფოსთან ურთიერთობებში;
2. ურთიერთობა ამიერკავკასიის ქვეყნებთან - სომხეთთან და ალბანეთთან;

3. ურთიერთობა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ტომებთან;
4. ურთიერთობა ქართულ პოლიტიკურ წარმონაქმნებთან (შიდა დიპლომატია).

ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკას წარმართავდნენ მეფე, მისი კარის მოხელეები და ერისთავები. საგარეო პოლიტიკას წარმართავდნენ კულტის მსახურნი (წარმართულ ხანაში - ქურუმები, ხოლო ქრისტიანულ ხანაში მღვდელმთავრები). სტრაბონი გვაწვდის ცნობას, იმის შესახებ, რომ იბერიაში ქურუმები განაგებდნენ მეზობლებთან სამართალს[1].

საგარეო პოლიტიკას, დიპლომატიურ ურთიერთობას ქართული სახელმწიფოები ახორციელებდნენ სხვადასხვა ფორმით: ელჩების გაგზავნით, მოლაპარაკებებით, ხელშეკრულებების დადებით. სამეფო კარზე იყო კანცელარია (დივანი), სადაც ინახებოდა საგარეო ურთიერთობათა ამსახველი დოკუმენტები[1].

ანტიკური ხანის საქართველოს დიპლომატიური დოკუმენტები დგებოდა იმ დროის საერთაშორისო ენებზე: ბერძნულზე, არამეულსა და ფალაურზე[2].

დიპლომატიური საქმიანობისთვის აუცილებელი იყო ჰყოლოდათ ორატორულ ხელოვნებას დაუფლებული პირები. ასეთ ხელოვნებას ეუფლებოდნენ საგანგებო სკოლებში. ასეთი სკოლა არსებობდა ფაზისშიც, სადაც განათლება მიუღიათ ბერძენ ფილოსოფოსებს და რიტორებს ევგენოსსა და თემისტოსს. ქართული რიტორიკული ხელოვნების მაღალი დონის მოწმობაა ლაზი წარჩინებულების - აიეტისა და ფარტამის სიტყვები საგარეო ორიენტაციის საკითხებზე[3].

IV საუკუნიდან საქართველოს ისტორიაში იწყება ქრისტიანული ეპოქა. ქრისტიანობის მიღება იყო არა მარტო რელიგიური ფაქტორი საქართველოს ისტორიაში - ეს მოასწავებდა გარდატეხას ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

XI ს-ის 90-იან წლებში, საქართველოს მეფის ტახტზე ავიდა დავით IV (1089-1125 წწ.) დავითი ენერგიული პიროვნება იყო, ნიჭიერი სარდალი და

დიდი სახელმწიფო მოღვაწე. მის მიერ გატარებულმა რეფორმებმა საქართველო ძლიერ სახელმწიფოდ აქციეს.

დავითის მეფობის ბოლო წლებში მისი სამფლობელოები შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე იყო გადაჭიმული.

დავით IV დიდ ყურადღებას უთმობდა აგრეთვე ქალაქების, გზების, ხიდების მშენებლობას, რამაც საქართველოს ეკონომიკურ აღორძინებას შეუწყო ხელი. თავისი დროისათვის მეტად განათლებული, წიგნების მოყვარული მეფე ზრუნავდა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების განვითარებაზეც. მაგალითად, მისი მითითებით დასავლეთ საქართველოში, გელათის მონასტერთან შეიქმნა აკადემია, მეორე აკადემია დაარსებული იქნა იყალთოში (აღმოსავლეთ საქართველო)[1].

დავით აღმაშენებლის დროიდან იწყება ფეოდალური საქართველოს "ოქროს ხანა", - პოლიტიკური ძლიერების, ეკონომიკისა და კულტურის აყვავების ყველაზე გამორჩეული პერიოდი. გიორგი III-ისა (1156-1184 წწ.) და თამარ მეფის (1184-1213 წწ.) ეპოქაში საქართველო ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო იყო. საქართველოს სახელმწიფო ამიერკავკასიის დიდ ნაწილს მოიცავდა, მისი პოლიტიკური გავლენა კი ვრცელდებოდა მეზობელ ტერიტორიებზე ჩრდილო კავკასიის მთიანეთიდან შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებამდე[4].

საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ძლიერება დამყარებული იყო თავისი დროისათვის განვითარებულ მრავალდარგოვან ეკონომიკაზე. კერძოდ, ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე მიუთითებს სარწყავი არხების რთული სისტემის შექმნა. არხების მშენებლობას თან სდევდა მემინდვრობისა და მებაღეობა-მევენახეობის შემდგომი განვითარება. საქართველოში მოჰყავდათ აგრეთვე ბრინჯი, სელი, ზამბა, გავრცელებული იყო

მეაბრეშუმეობა. სოფლის მეურნეობის მეორე მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა მეცხოველეობა[3].

საქართველოში მატყლი შემოჰქონდათ ეგვიპტიდან, ამ ურთიერთობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ალექსანდრია იმ დროს უნიშვნელოვანესი სავაჭრო ცენტრი იყო და ბაღდადთან ერთად მსოფლიო ბაზრებზე საქონლის ფასს არეგულირებდა.[1]

ვაჭრობა-ხელოსნობის ძირითად ცენტრებს ქალაქები ქუთაისი, რუსთავი, გორი, დმანისი და სხვ. წარმოადგენდნენ. საქართველო ვაჭრობდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, ბიზანტიასთან, რუსეთთან.

განუწყვეტელი ომები, ეკონომიკისა და კულტურის დაქვეითება გახდა საქართველოს შინაგანი განვითარების შეფერხების მიზეზი. დაიწყო სტაგნაციის ხანგძლივი პერიოდი, რისი ერთ-ერთი შედეგი იყო ქვეყნის პოლიტიკური დაშლა.

ომებით გათანგულმა და დანაწევრებულმა საქართველომ 1783 წ. რუსულ ციხესიმაგრე გეორგიევსკში რუსეთის იმპერიისა და ქართლ-კახეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ტრაქტატს, რომლის ძალითაც აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო რუსეთის მფარველობაში შევიდა. ქართველები აღიარებდნენ რუსეთის იმპერატორის უზენაესობას და უარს ამბობდნენ დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკაზე. სამაგიეროდ რუსეთი თავის თავზე იღებდა საქართველოს დაცვას გარეშე მტრებისაგან, რუსეთის მხარე პირობას დებდა, რომ არ ჩაერეოდა საქართველოს საშინაო. მაგრამ შეთანხმება დაარღვია.[4]

1801 - 1878 წლებში საქართველო თითქმის მთლიანად გაერთიანდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. მოხდა საქართველოს სრული ანექსია. რუსები ძალას არ იშურებდნენ, რათა ამოეძირკვათ საქართველოს დამოუკიდებლობის ყველა ნაშთი და ქართველი ხალხის რუსიფიკაციისთვის მიეღწიათ. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად მათ შეიმუშავეს კოლონიური პოლიტიკის ძირითადი კურსი დაპყრობისთანავე,

მაგრამ ისინი წააწყდნენ ქართველთა მტკიცე ნებას ტრადიციების, ენისა და ცივილიზაციის შენარჩუნებისა.

ამ მდგომარეობამ გააუმჯობესა რუსეთ-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა, მაგრამ ახლო აღმოსავლეთისა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებთან ინტენსიურ საგარეო-ეკონომიკურ თანამშრომლობას კვლავ ინარჩუნებდა[1].

რუსებს დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ როგორც რუსული, ასევე ევროპული (გერმანული, ესპანური, ფრანგული და სხვ.) საქონელი. იმპორტი იყო: გერმანული ბამბის ქსოვილები, ესპანური მაუდი და გარნიტური, ჩრდილოეთ კავკასიური ცხენები და სხვ. ექსპორტირებული იყო უცხოური (ირანული, ჩინური და არაბული) და ადგილობრივი საქონელი ქართული მარმაში (თხელი, გამჭირვალე ქსოვილი), ტილო, ოქროქსოვილები, ხანჯლები და სხვ.[1],[4]

XIX საუკუნის ბოლოსთვის დაიწყო სოციალიზმის განვითარება და სოციალისტური დოქტრინები სწრაფად გავრცელდა საქართველოში. ეროვნული მოძრაობა სოციალისტურ იდეებს შეერწყა და ამგვარად სათავე დაუდო გამათავისუფლებელ მოძრაობას.

პირველი მსოფლიო ომმა დაასუსტა რუსეთი, მან თანდათან დაკარგა გავლენა მის მიერ დაპყრობილ ხალხებზე. მათი გათავისუფლება რუსეთის რევოლუციის შედეგად, 1917 წელს გახდა შესაძლებელი.

ქართველებმა და სხვა კავკასიელმა ხალხებმა უარი თქვეს ბოლშევიკური რეჟიმის ცნობაზე და 1918 წლის 9 აპრილს საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა შექმნა. ეს იყო პირველი ნებაყოფლობითი ფედერაცია სამი კავკასიელი ხალხის ისტორიაში. რომელიც 26 მაისს დაიშალა. იმავე დღეს, საქართველოს ეროვნულმა

საბჭომ, რომელშიც ყველა პოლიტიკური პარტიისა და ორგანიზაციის წარმომადგენლები იყვნენ გაერთიანებული, საქართველოს დამოუკიდებლობა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება გამოაცხადა.[4]

ამგვარად, 117 წლის შემდეგ, საქართველომ დაიბრუნა კუთვნილი ადგილი თავისუფალ ხალხთა ოჯახში.

საქართველოს მთავრობას და ხალხს საშუალება მიეცა საკუთარი ძალისხმევა ქვეყნის რეკონსტრუქციისკენ და ახალი სახელმწიფოს მშენებლობისკენ მიემართა, რაც არცთუ ისე ადვილი იყო. საქართველოს ახალ მთავრობას ოთხი წლის მანძილზე ომის, რევოლუციის, კონტრრევოლუციის, სამოქალაქო ომის, ანარქიის, ეროვნული ვალუტის დაცემის და ეკონომიკური კრიზისის, რევოლუციის შედეგად რეგიონებში დეზერტირებისა და კრიმინალთა თარეშის გადატანა მოუხდა. ამ პირობების გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველებმა და მათმა ლიდერებმა გასაოცარ წარმატებას მიაღწიეს და პოლიტიკური და ეროვნული სიმწიფე გამოავლინეს. [1]

ამ დროს საქართველოში რიგი სამრეწველო საწარმოები დაარსეს. კერძოდ, გაიხსნა ტყიბულის მაღარო, თუჯის ჩამოსასხმელი და ლითონდამამუშავებელი ქარხნები თბილისში, მინის ქარხანა ბორჯომში, საფეიქრო ფაბრიკა თბილისში, სპირტიანი სასმელების ქარხნები თბილისსა და ქუთაისში, ამოქმედდა ბათუმის ნავსადგური, დაიწყო სპილენძის მადნის მოპოვება და გადამამუშავება ალავერდისა და შამლუდის მიდამოებში, სარკინიგზო ქსელის მშენებლობა ამიერკავკასიაში და სხვ. [4]

საგარეო პოლიტიკის სფეროში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმთავრეს ამოცანას მისი სუვერენიტეტის საერთაშორისო ცნობა და აღიარება წარმოადგენდა. ხელისუფლების ძალისხმევაც ამ კუთხით წარიმართა. დამფუძნებელი კრება, საგარეო საქმეთა სამინისტრო, მისი დიპლომატიური წარმომადგენლობები უცხოეთში

მიზანმიმართულად საქმიანობდნენ დასახული ამოცანის ხორცშე-სახხმელად.[1]

პირველი სახელმწიფო, რომელთანაც საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ საერთაშორისო ურთიერთობა დაამყარა, კაიზერული გერმანია იყო. გერმანიამ იხსნა საქართველო თურქეთის ოკუპაციის საფრთხისაგან და ქართველ ხალხს შესაძლებლობა მისცა, აღედგინა 117 წლის წინ გაუქმებული ეროვნული სახელმწიფოებრიობა. 1918 წლის 28 მაისს ფოთში ხელმოწერილ იქნა გერმანია-საქართველოს ხელშეკრულება, რომელიც, ომის მდგომარეობიდან გამომდინარე, ორ ქვეყანას შორის სამხედრო, ფინანსურ და სავაჭრო პრობლემებს აწესრიგებდა. [1]

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თანხმობით საქართველო-ში შემოვიდა ორი ბავარიული ათასეული, ხოლო თბილისში ბინა დაიდო გერმანიის სამხედრო-დიპლომატიურმა მისიამ გენერალ ფონ კრესის მეტაურობით.

მიღწეული შეთანხმებით, გერმანია ცნობდა და აღიარებდა საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. ამ კურსს წინააღმდეგობა არც გერმანიის რაიხსტაგში შეხვედრია. საფუძველი ეყრებოდა პარტნიორულ ურთიერთობას, რომელიც ორივე ქვეყნისათვის მისაღებ და ხელსაყრელ პრინციპებს ეფუძნებოდა.

მართალია, ვილჰელმ მეორეს საქართველოსთან მიმართებაში საფუძვლიანი სტრატეგიული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები ამოძრავებდა, მაგრამ ეს ინტერესები არ ლახავდა საქართველოს სუვერენიტეტს, არ ეწინააღმდეგებოდა ქართველი ხალხის ეროვნულ მისწარაფებებს.[1] [4]

გერმანელებს უარი არ უთქვამთ საქართველოს ბუნებრივი და მატერიალური რესურსების გამოყენებაზე, მაგრამ ნაცვალგებითა და სათანადო ანაზღაურებით.

პირველ მსოფლიო ომში განცდილმა მარცხმა და 1918 წლის ნოემბერში ქვეყანაში განხორციელებულმა რევოლუციამ გერმანია იძულებული გახდა თავისი სამხედრო კონტიგენტი საქართველოდან გაეყვანა.

მართალია, გერმანიასა და საქართველოს შორის ინტენსიური სამხედრო და ეკონომიკური თანამშრომლობა ვეღარ განვითარდა, მაგრამ ორი ქვეყნის დიპლომატიური ურთიერთობა არ შეწყვეტილა. 1920 წლის სექტემბერში გერმანიამ საქართველოს სუვერენიტეტი და იურედ აღიარა. [4]

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ოკუპაცია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ემიგრაციაში წავიდა.

XX საუკუნის 20-30-იან წლებში საქართველოში საბჭოთა სისტემის დამკვიდრების პერიოდია. საბჭოთა რუსეთმა ქართველი ბოლშევიკების აქტიური მხარდაჭერით შესძლო ქართველი ერისთვის მიუღებელი რეჟიმის დამყარება. საქართველო ძალით გააერთიანეს ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და საბჭოთა კავშირში, მათ სისხლში ჩაახშეს ეროვნული მოძრაობა, საქართველოში მაინც არასტაბილური პოლიტიკური და მძიმე სოციალ-ეკონომიკური ვითარება იყო.

ზემოაღნიშნული მხოლოდ მოკლე ქრონოლოგიური მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველო, ცალკეულ ისტორიულ პერიოდებში, სახელმწიფოებრივი დანაწევრების მიუხედავად, აქტიურად იყო ჩართული საზღვარგარეთის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობაში და როგორც დამოუკიდებელ და ცივილიზებურ ქვეყანას, თავისი წვლილი შეჰქონდა სხვა სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური კავშირების დამყარებაში.

1.2. საქართველოს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ

80-იანი წლების დამდეგისათვის უკვე ყველასათვის ნათელი გახდა, რომ საბჭოთა წყობილებას მომავლის პერსპექტივა არ ჰქონდა. 1985 წელს ქვეყნის სათავეში მოსულმა მ. გორბაჩოვმა სცადა კარდინალური რეფორმებით დაედგინა კრიზისი. დაიწყო "გარდაქმნა". გარდაქმნის არქიტექტორებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ რკინითა და სისხლით ნაგებ საბჭოთა სისტემას დემოკრატიული თავისუფლებებისადმი "იმუნიტეტი" არ გააჩნდა და, როგორც შედეგი, დაიწყო ამ სისტემის სწრაფი რღვევა.

დაპყრობილ ქვეყნებში ეროვნული მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო. 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა ჯარმა თბილისში დაარბია მშვიდობიანი მომიტინგეები.

9 აპრილის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობამ რესპუბლიკაში ყოველგვარი გავლენა დაჰკარგა. ეროვნული მოძრაობა გახდა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მთავარი მამოძრავებელი ძალა.

1991 წლის 9 აპრილს საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. საქართველოს პირველი პრეზიდენტი გახდა ზვიად გამსახურდია,

საქართველო როგორც დემოკრატიული და სუვერენული სახელმწიფო აუქტიურად ჩაერთო თანამედროვე მსოფლიოს გლობალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ახლებურად გააზრება-გადაწყვეტის რთულ პროცესში.

საბჭოთა იმპერია მტრულად შეხვდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. ცხადი ხდებოდა, რომ საქართველოს გაუჭირდებოდა საბჭოთა პოლიტიკურ ხელმძღვანელო-ბასთან ბრძოლა. ის ფაქტი, რომ საქართველოს საზღვრებს სსრკ-ს ჯარები იცავდა, ხოლო ქვეყანაში სსრკ-ს ბაზები იყო განლაგებული, დამატებით პრობლემებს ქმნიდა. გარდა ამისა, მოსკოვს შეეძლო საქართველოში საფინანსო-ეკონომიკური

პრობლემების შექმნა. გარდა ამისა ზვიად გამსახურდიის მმართველობის პერიოდში შიდაპოლიტიკური სიტუაცია სერიოზულად დამძიმდა. უკიდურესად გამწვავდა ურთიერთობა ხელისუფლებაში მოსულ "მრგვალ მაგიდასა" და ეროვნულ მოძრაობის ოპოზიციაში დარჩენილ ნაწილს შორის. დაიძაბა ვითარება ავტონომიებშიც, განსაკუთრებით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. თუ აფხაზეთთან მოხერხდა ნაწილობრივი კომპრომისის მიღწევა 1991 წელს, ოსებთან კონფლიქტი შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა[5].

საბედისწერო და პრაქტიკულად, გამოუსწორებელი შეცდომა გამსახურდიამ საგარეო პოლიტიკის სფეროში დაუშვა, როდესაც მოუფიქრებელი განცხადებებით რადიკალურად დაიპირისპირა მანამდე მის მიმართ საკმაოდ ლოიალურად განწყობილი დასავლეთის ქვეყნები, განსაკუთრებით აშშ.

1991 წლის შემოდგომაზე პრეზიდენტის ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირებამ ფეთქებადსაშიშ დონეს მიაღწია. კატალიზატორის როლი შეასრულა თბილისში პოლიციის მიერ ოპოზიციის არასანქცირებული მიტინგის დარბევამ. განხეთქილება მოხდა თვით გამსახურდიას უახლოეს გარემოცვაშიც. პრეზიდენტს განუდგა მისი ძირითადი ძალოვანი სტრუქტურის - ეროვნული გვარდიის - დიდი ნაწილი. 1991 წლის 22 დეკემბერს ამბოხებულ გვარდიასა და პრეზიდენტის სასახლის დაცვას შორის სამხედრო მოქმედებები დაიწყო. "თბილისის ომი" 6 იანვრამდე გაგრძელდა და დასრულდა გამსახურდიას საქართველოდან გაქცევით.

ძალაუფლება ხელში აიღო სამხედრო საბჭომ. სამხედრო საბჭო ხელისუფლების არალეგიტიმური ორგანო იყო.

სამხედრო საბჭოს მმართველობის დროს კრიზისი ქვეყანაში სულ უფრო მწვავედებოდა.

საქართველოს იურიდიული აღიარება, აქ მომხდარი ტრაგიკული მოვლენების გამო შედარებით გაჭიანურდა.

ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის გზად ქართველმა ინტელიგენციამ მოსკოვიდან ედუარდ შევარდნაძის ჩამოყვანა დაიწახა. სამხედრო საბჭომ ანგარიში გაუწია მოსახლების გარკვეული ნაწილის, ძირითადად ინტელიგენციის მოთხოვნას. 1992 წლის მარტში ედუარდ შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდა. ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლის შემდგომ სამხედრო საბჭომ ძალაუფლება სახელმწიფო საბჭოს გადასცა. სახელმწიფო საბჭოში შედიოდნენ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები, ინტელიგენცია და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები. მიუხედავად ამისა სამხედრო საბჭო მაინც არალეგიტიმური ორგანო იყო რაც ართულებდა ქვეყნის მდგომარეობას. სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელი ედუარდ შევარდნაძე გახდა. შექმნილ ვითარებაში აუცილებელი გახდა პარლამენტის არჩევნების ჩატარება.

1992 წლის ოქტომბერში გამართული არჩევნების შემდეგ პარლამენტში შევიდა ყველა ის ძალა რომელმაც ედუარდ შევარდნაძესთან თანამშრომლობა განიზრახა. ედუარდ შევარდნაძეს სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციები მიენიჭა.

კრიზისი საპარლამენტო არჩევნების შემდეგაც გაგრძელდა. დასავლეთ საქართველოს გარკვეულ ნაწილს კონტროლს უწევდა დევნილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. ამ მძიმე ვითარებაში რეაქციული ძალები ამზადებდნენ აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის აქტს. დაიწყო ადამიანთა გატაცებები და თავდასხმები საქართველოში მიმავალ სატვირთო მატარებლების შემადგენლობებზე, მათი გამარცხის მიზნით. სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით 1992 წლის აგვისტოში სატრანსპორტო მაგისტრალის დაცვის მიზნით აფხაზეთში შევიდა ქართული პოლიცია და ჯარი. აფხაზეთში ჯარების შეყვანა ყოვლად გაუმართლებელი საქციელი იყო, ამ პერიოდისთვის საქართველო პრაქტიკულად როგორც სახელმწიფო ჩამოყალიბებული არ იყო,

ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ორგანოები ან არ არსებობდა ან ჩამოყალიბების პროცესში იყო, სუსტი და არაორგანიზებული ჯარი სათანადოდ შეიარაღებული არ იყო. პროვოკაციების შედეგად ჯარი ჩათრეული აღმოჩნდა საბრძოლო მოქმედებებში . არაორგანიზებული და უდისციპლინო ჯარი ხშირად თვითნებურადაც მოქმედებდა. გარეშე ძალის აქტიური დახმარებით აფხაზმა სეპარატისტებმა აიღეს გაგრა შემდეგ დიდი ბრძოლების შედეგად სოხუმი, ოჩამჩირე, გალი და 1993 წლის სექტემბრის ბოლოს საზღვარი გაავლეს მდინარე ენგურზე.

აფხაზეთიდან გამოვიდნენ 300 000 ქართველი და სხვა ეროვნების მოქალაქეები.

აფხაზეთში მარცხს ხელი შეუწყო ქვეყანაში არსებულმა მძიმე პოლიტიკურმა მდგომარეობამ. ვერ მოხერხდა მთელი ძალების მობილიზება ომისთვის.

1994 წელს ისევ გრძელდებოდა ანარქია და უწყესრიგობა. სასურველ შედეგს ვერ იძლეოდა ღონისძიებანი ბრძოლისუნარიანი ქართული არმიის, პოლიციის და უშიშროების ორგანოების შესაქმნელად. ვერ ხდებოდა საკუთარი და უცხოეთის მოქალაქეების უფლებების და უსაფრთხოების დაცვა. დაიძაბა კრიმინოგენული ვითარებები , გახშირდა ტერორისტული აქტები.

ქვეყანაში სტაბილურობის მიღწევისთვის აუცილებელი იყო კონსტიტუციის მიღება. საქართველოს კონსტიტუციის მისაღებად შეიქმნა, საკონსტიტუციო კომისია ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით. კომისიამ შეიმუშავა პროექტი და განსახილველად პარლამენტს გადასცა. 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კონსტიტუცია. უპირველეს ყოვლისა ეს იყო საერთაშორისო თანამეგობრების სრულუფლებიანი წევრი ქვეყნის კონსტიტუცია. კონსტიტუციის საფუძველზე დაინიშნა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები. კონსტიტუცია ოფიციალურად ძალაში შევიდოდა ახალი პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევის შემდეგ.

1995 წელს შემოდგომაზე გაიმართა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები. საქართველოს პრეზიდენტი გახდა ედუარდ შევარდნაძე 2003 წლამდე.

1995-1997 წლებში მიმდინარეობდა ეკონომიკური რეფორმები, რომლის შედეგადაც ქვეყნის ეკონომიკამ გარკვეულ წილად აღმავლობა დაიწყო, ეკონომიკის აღმავლობა გაგრძელდა 1998 წლამდე. ეკონომიკის დაქვეითება რამდენიმე მიზეზმა განაპირობა რუსეთის 1998 წლის აგვისტოს ფინანსურმა კრიზისმა. ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო არნახულმა კორუფციამაც. ქვეყნის ეკონომიკაზე გარკვეული გავლენა მოახდინა 1998 წლის მაისში გალის რაიონში დაწყებულმა საომარმა მოქმედებებმა. ამ საომარ მოქმედებებს მოჰყვა ლტოლვილების ახალი ნაკადის გადმოსვლა სამეგრელოში.

საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს პირველ დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს 1992 წლის ივლისში საქართველოს გაწევრიანდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ფაქტობრივად, საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ცნეს და მისი დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი ოფიციალურად დააფიქსირეს[5].

პოსტსაბჭოთა სივრცეში დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის შემუშავება და მისი რეალიზაცია დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ცხადია რუსეთი ყველა საშუალებით შეეცდებოდა საქართველოს მის გავლენის სფეროში დაბრუნებას. მოსკოვს საქართველოზე ზეწოლის მრავალი საშუალება გააჩნდა. საქართველო პროდასავლური პოლიტიკის გატარების მომხრე იყო მაგრამ 1992-1993 წლებში შექმნილი მძიმე ვითარების გამო რუსეთისთვის ანგარიშის გაწევა აუცილებელი გახდა. სწორედ ამიტომ 1993 წლის დეკემბერში საქართველო გაწევრიანდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში. მიუხედავად

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაერთიანებისა საქართველომ მაინც არ თქვა უარი პროდასავლურ ორიენტირზე. 1994 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ჩრდილო-ატლანტიკური კავშირის (ნატოს) პროგრამას პარტნიორობა მშვიდობისთვის.

1999 წელს საქართველოს ევროპის საბჭოს (ევროსაბჭო) სრულუფლებიანი წევრი გახდა.[5]

საქართველო გაწევრიანდა მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში. 2000 წლის 1 იანვარს საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები დამყარებული ჰქონდა 110 ქვეყანასთან. ასევე საქართველო ასზე მეტი საერთაშორისო თუ სამთავრობო ორგანიზაციის მათ შორის აღსანიშნავია : გაერო, ეუთო, ევროსაბჭო, ტრანსეკა, ბისეკი, სუამი.[8]

2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გაყალბების მიზეზით გამოწვეულ საერთო-სახალხო მღელვარების ფონზე, იმდროინდელმა ოპოზიციამ, მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით მოახდინა „ვარდების რევოლუცია“, რამაც 2003 წლის 23 ნოემბრის შევარდნადის გადადგომა გამოწვია.

ოცწლიანი პერიოდი, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, შესაძლებელია, პირობითად ორ ნაწილად დაიყოს: 1990 წლიდან 2003 წლამდე და 2003 წლის, ანუ “ვარდების რევოლუციის” შემდგომ. თუ 2003 წლამდე ადგილი ჰქონდა, ხშირ შემთხვევაში, წინააღმდეგობრივ პოლიტიკას და მკვეთრ ეკონომიკურ რყევებს, 2003 წლის შემდგომ იყო მცდელობა ეკონომიკური პოლიტიკის კონსოლიდაციის, ეკონომიკური ლიბერალიზაციისა და “მოდერნიზაციის” განახლებული და უფრო აქცენტირებული ხედვების გარშემო. [5]

ოცი წლის წინ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს მიეცა შესაძლებლობა, არაეფექტური, ცენტრალიზებულად გეგმური მეურნეობიდან გადასულიყო საბაზრო ეკონომიკაზე. საქართველოში ეკონომიკური განვითარება დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან საკმაოდ რთული გზით წარიმართა და გარდაქმნების პროცესი, არცთუ

იშვიათად, ვერ უზრუნველყოფდა მნიშვნელოვან პროგრესს ეროვნული მეურნეობის სტაბილურ განვითარების თვალსაზრისით.

1990-იანი წლები იყო ყველაზე რთული პერიოდი, რომელიც დაიწყო ეთნოკონფლიქტებით და სამოქალაქო დაპირისპირებით. ამას ერთვოდა ფინანსური კრიზისიც. მართალია, შემდგომში კრიზისი დაიძლია, მაგრამ გარდაქმნის პროგრამებმა ვერ უზრუნველყო ქვეყნის განვითარება.

სტრატეგიული პროგრამების წარმატებით განხორციელებას ყოველთვის გააჩნდა თანმდევი ეფექტები, რომლებიც თავს იჩენდა განვითარების ყველა ეტაპზე და ტრანსაქციულ ხარჯებს მოითხოვდა. საქართველოში არსებული ეკონომიკური ცოდნა და გამოცდილება ვეღარ განსაზღვრავდა მოსალოდნელი ცვლილებების მთელ სპექტრს და ეკონომიკის მოულოდნელი სცენარით განვითარება ერთგვარ გამოცდას უწყობდა ხელისუფლებას.

1990 წლიდან საქართველოში ეკონომიკის მკვეთრი დაცემა გრძელდებოდა დაახლოებით 5 წლის განმავლობაში, რაც ნაწილობრივ გამოწვეული იყო პოლიტიკური დაპირისპირებებითა და ეთნოპოლიტიკური ომებით. 1990-1993 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი საშუალოდ წლიური 28%-ით მცირდებოდა და მსყიდველობითი უნარის პარიტეტის გათვალისწინებით, მოსახლეობის ერთ სულზე იგი 4433 აშშ დოლარიდან 1437 აშშ დოლარამდე შემცირდა.[6] 1995 წლისათვის წარმოება 1990 წლის დონესთან შედარებით 78%-ით შემცირდა, რაც თითქმის 3-ჯერ აღემატებოდა “დიდი დეპრესიის” დროს აშშ-ში წარმოების დაცემის დონეს. ამასთან, თუ აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტურ ქვეყნებში წარმოების დაცემის პერიოდი საშუალოდ 4 წელი იყო, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მან 7 წელი შეადგინა. როგორც ჩანს, საქართველოში დაცემის პერიოდი იყო შედარებით ხანმოკლე, მაგრამ

ყველაზე ღრმა. ამასთან, ეკონომიკამ დიდწილად ჩრდილოვან სექტორში გადაინაცვლა.

ქვეყნები	წარმოების დაცემის ხანგრძლივობა (1990-1995 წლები)	კუმულატიური წარმოების შემცირება (%)	რეალური მშპ, 2000 წ. (1990=100)
ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნები	4	23	107
პოსტსაბჭოთა ქვეყნები	7	51	63
სომხეთი	4	63	67
აზერბაიჯანი	6	60	55
ბელარუსი	6	35	88
საქართველო	5	78	29
ყაზახეთი	6	41	90
ყირგიზეთი	6	50	66
მოლდოვა	7	63	35
რუსეთი	7	40	64
ტაჯიკეთი	7	50	48
უკრაინა	10	59	43
უზბეკეთი	6	18	95

ცხრილი 1. გარდამავალი რეცესია (დაცემა) და “დიდი დეპრესია”

პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან საქართველოში, ფაქტობრივად, ყველაზე გვიან – 1995 წლიდან იწყება მშვიდობიანი სახელმწიფოებრივი მშენებლობა და ეკონომიკის ტრანსფორმაცია. 1995 წლიდან საქართველოს ეკონომიკა გამოდის კრიზისული მდგომარეობიდან, რასაც ხელი შეუწყო ინსტიტუციურმა გარდაქმნებმა. ეკონომიკის ზრდის პიკი იყო 1997 წელი და მთლიანი შიდა პროდუქცია (მშპ) ზრდის ტემპმა 10.7% შეადგინა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია “ვარდების რევოლუციამდე”. შემდგომ

ზრდის ტემპი მკვეთრად დაეცა და 1998 წელს რუსეთის საფინანსო კრიზისმა მნიშვნელოვნად შეაფერხა ეკონომიკის განვითარება. 1996 წელს საქართველოს მშპ-მ შეადგინა 3,868.5 მლნ ლარი (3,064.6 მლნ აშშ დოლარი), 1999 წელს – 5,668.7 მლნ აშშ ლარი (2,814.1 აშშ დოლარი), 2003 წელს კი – 8,564.1 მლნ ლარი (3,990.8 მლნ აშშ დოლარი).[10]

1994-1998 წლებში გატარდა რიგი რეფორმები ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ლიბერალიზაციის მიმართულებით. შესაბამისად, ცვლილებები განიცადა საბანკო სისტემაში, შემოდებული იქნა ეროვნული ვალუტა – ლარი, დაიწყო მცირე და საშუალო საწარმოების პრივატიზება, განხორციელდა ვაჭრობის ლიბერალიზაცია. ეს იყო ეკონომიკური სტაბილიზაციისა და სტრუქტურული ცვლილებების რეფორმა, რომლის მიზანი იყო ჰიპერინფლაციის შეჩერება, ქვეყნის ეკონომიკის დაბალანსება და საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის ინსტიტუციონალური პირობების შექმნა. ამ რეფორმების შემდეგ სწრაფად გაიზარდა ეროვნული შემოსავალი, რაც, ქვეყნის შიგნით რეფორმების გატარებასთან ერთად, განპირობებული იყო 1996-1998 წლებში ბაქო-სუფსის და 2003-2005 წლებში ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობით.[5]

1990-იანი წლებიდან დაწყებული, საქართველოში ნელა, მაგრამ თანდათანობით ხდებოდა ლიბერალური სავაჭრო რეჟიმისათვის წინაპირობების შექმნა, 1992-1996 წლებში დაიწყო იმპორტზე შეზღუდვების თანდათანობით გაუქმება, ხოლო 1995 წელს გაუქმდა კვოტების სისტემა. თანდათანობით მცირდებოდა ექსპორტირებადი, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან აკრძალული საქონლის ჩამონათვალიც.[11]

საქართველოში ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის განვითარების ინსტიტუციური პირობა შექმნა საქართველოს

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) გაწევრიანებამ. 1996 წლის 26 ივნისს ვმო-ს გენერალური საბჭოს სხდომაზე საქართველოს მიენიჭა დამკვირვებლის სტატუსი. 1996 წლის ივლისში საქართველოს მხარემ ოფიციალურად განაცხადა აღნიშნული ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მიღების სურვილი, რაც, ფაქტობრივად, თავისუფალი და ლიბერალური სავაჭრო რეჟიმის ფორმირებისაკენ გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯი იყო. ვმო-ის გენერალურმა საბჭომ ჩამოაყალიბა წევრი ქვეყნების სამუშაო ჯგუფი საქართველოს გაწევრიანების საკითხზე სამუშაოდ. სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მისაღებად დაწესებული პროცედურის შესაბამისად, 1997 წლის მარტში ვმო-ის სამდივნოს ოფიციალურად გადაეგზავნა “მემორანდუმი საქართველოს საგარეო ვაჭრობის რეჟიმის შესახებ”[8].

ვმო-ში გაწევრიანების პროცესში გატარდა მრავალი საკანონმდებლო ცვლილება, რათა მომხდარიყო საქართველოს კანონმდებლობის მაქსიმალური ჰარმონიზაცია ვმო-ის მოთხოვნებთან. გაუქმდა ექსპორტ-იმპორტის კვოტირება (შენარჩუნდა მხოლოდ მეტად შეზღუდული ნომენკლატურის სპეციფიკურ საქონელზე ექსპორტის ან იმპორტის აკრძალვა). იგივე შეეხო ლიცენზირებას, გაუქმდა საგარეო სავაჭრო კონტრაქტების რეგისტრაციის მოთხოვნა, შემცირდა აქციზური საქონლის ჩამონათვალი და სააქციზო განაკვეთები, იმპორტზე ტარიფის განაკვეთები დაწესდა საბაჟო ღირებულების 12% ან 5%-ის ოდენობით. ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით საქართველოში გაუქმდა საბაჟო გადასახადი ექსპორტზე, დაწესდა რიგი შეღავათები საწარმოო დანიშნულების საქონლის იმპორტზე. ამგვარმა ლიბერალურმა სისტემამ წინაპირობები შექმნა საქართველოს ვმო-ში გასაწევრიანებლად.[5]

1999 წლის 6 ოქტომბერს ვმო-ის გენერალურმა საბჭომ მოიწონა სამუშაო ჯგუფის მოხსენება და ხელი მოეწერა ვმო-ის დამფუძნებელ მარაკეშის შეთანხმებაზე საქართველოს მიერთების ოქმს. 2000 წლის 20 აპრილს საქართველოს პარლამენტმა რატიფიცირება მოახდინა ვმო-ში

საქართველოს გაწევრიანების ოქმისა და 2000 წლის 14 ივნისიდან საქართველო ვმო-ის სრულუფლებიანი 137-ე წევრი გახდა. საქართველომ აიღო ვალდებულებები, რომლებიც შეეხებოდა ფართო სპექტრის საკითხებს: სამეწარმეო საქმიანობისა და ექსპორტ-იმპორტის ლიცენზირებას, საგადასახადო სისტემას, სტანდარტიზაცია-სერტიფიკაციას, სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ნორმებს, სუბსიდიების გამოყენებას, ინტელექტუალური საკუთრების ვაჭრობასთან დაკავშირებულ ასპექტებსა და ა.შ. მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ბმული ტარიფების ცხრილთან მიერთება. იმ სასაქონლო პოზიციებზე, სადაც ბმული ტარიფები დაფიქსირდა უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე გაწევრიანების მომენტისთვის მოქმედი ტარიფი (საინფორმაციო ტექნოლოგიები, ფარმაცევტული პროდუქცია, მანქანა-დანადგარები, ზოგიერთი ნედლეული და ა.შ.), საქართველო გაწევრიანების დღიდან ვალდებული იყო, მოქმედი ტარიფი შეესაბამებინა “ბმულის” მოთხოვნებისთვის, დაეწესებინა მისი დონის ან უფრო დაბალი ტარიფი (ბმული ტარიფების ცხრილები წარმოადგენს საქონლის იმპორტზე საბაჟო ტარიფის იმ მაქსიმალური განაკვეთების ჩამონათვალს, რომელთა გამოყენების უფლება აქვს საქართველოს ვმო-ის წევრებისგან დამატებითი თანხმობის მიღების გარეშე). [8]

ტარიფთა მაღალი დონეები გაწევრიანებისას შეთანხმდა ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე (ალკოჰოლი, ხილის წვენები, გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია, თამბაქო და ა.შ.), აგრეთვე, მცირე რაოდენობის სამრეწველო პროდუქციაზე (სამშენებლო მასალები, მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი და ა.შ.). ზოგიერთ პროდუქციაზე ბმული ტარიფები მომდევნო 5-6 წლის განმავლობაში თანდათანობით შემცირდა. [10]

ვმო-ში გაწევრიანების შედეგად აშშ-მ საქართველოს მოუხსნა ე.წ. ჯექსონ-ვენის შესწორების მოქმედება, რომელიც ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შეზღუდვას და მიანიჭა უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი მუდმივ ბაზაზე, შემდგომ კი – განზოგადებულ პრეფერენციათა სისტემის (GSP) ბენეფიციარის სტატუსი. საქართველომ მიიღო უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი 148 წევრი ქვეყნის ბაზარზე, რაც ნიშნავდა, რომ საქართველოდან იმპორტირებულ საქონელს მათ ბაზარზე ექმნებოდა, სხვა ქვეყნების საქონელთან შედარებით, მსგავსი ხელშეწყობის რეჟიმი. სხვა უპირატესობებთან ერთად, ეს გამოიხატებოდა წევრი ქვეყნების მიერ საიმპორტო ტარიფების შემცირებაშიც. მიუხედავად ვაჭრობის ლიბერალიზაციისა, აღნიშნულ ინსტიტუციურ ცვლილებებს ეკონომიკაზე თვალსაჩინო ეფექტი არ მოუხდენია. დაბალი ხარისხის საქონელი და მაღალი ხარჯები კვლავინდებურად საქართველოს არაკონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი იყო, რაც ხელისშემშლელად მოქმედებდა მოსახლეობის კეთილდღეობაზე და იწვევდა სავაჭრო დეფიციტის ზრდას. დეფიციტმა კულმინაციას მიაღწია 1997 წელს და შეადგინა 704 მლნ აშშ დოლარი, რაც 1997 წლის სავაჭრო ბრუნვის (1,108 მლრდ აშშ დოლარი) 63.5%-ს შეადგენდა. მართალია, შემდგომ იგი შემცირდა, მაგრამ ძირითადად არა წარმოების განვითარების, არამედ შავი ლითონის ჯართის ექსპორტის ზრდის ხარჯზე. მიუხედავად ამისა, საქართველოში საფუძველი ჩაეყარა საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობი გარემოს ფორმირებას. [13]

თუმცა, ოცწლიანი პერიოდის შემდეგაც, განსხვავებული კურსის, ფაზებისა და გარღვევების მიუხედავად, ეკონომიკური პოლიტიკის შედეგიანობის თვალსაზრისით, რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები, რაც მოქალაქეთა ცხოვრების დონის თვალსაჩინო გაუმჯობესებას და ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველყოფას უკავშირდება.

1.3. საქართველოს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდში

ვარდების

რევოლუციამ საქართველოში შეცვალა შევარდნაძისა და მისი გუნდის 11 წლიანი მმართველობა. მან არნახულად დიდი პოპულარობა მოუტანა მიხეილ სააკაშვილს და აქცია ის ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნების ფაქტობრივად უალტერნატივო ლიდერად.

2003 წლის რევოლუციას, რა თქმა უნდა, მოჰყვა გადაადგილებები პოლიტიკურ ელიტაში, სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. თუმცა, ამ თვალსაზრისით ჩვენ არ გვქონდა რევოლუცია კლასიკური გაგებით. ძალა, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა, ხელისუფლებაში მანამდეც იყო.

ამ აზრით, 2003 წლის რევოლუციამ მოიტანა მხოლოდ მაშინდელი პოლიტიკური ელიტის ერთი (კონსერვატულ-კორუმპირებული) ფრთის პოლიტიკიდან ჩამოშორება, თუმცა, აღზევდა მეორე ფრთა. ანუ, ეს იყო მაინც პოლიტიკურ ელიტათა გადაადგილება და არა ტოტალური შეცვლა.

ეს პროგრესული მოვლენა იყო მაგრამ აქ არის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი თავისებურება, რომელსაც აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი და რომელზეც დღეს ნაკლებს საუბრობენ. შევარდნაძის რეჟიმის ცვლილება არ გადიოდა დემოკრატიის ზღვარზე. შევარდნაძის რეჟიმს საზოგადოება აუმხედრდა არა იმდენად დემოკრატიის ნაკლებობის გამო, არამედ კორუფციის გამო.

სოციალური ინსტიტუტები ვერ ასრულებდნენ საკუთარ ფუნქციებს და ემსახურებოდნენ მხოლოდ კერძო, კორუმპირებულ პირთა ფინანსურ ინტერესებს.

2007 წლის საპროტესტო გამოსვლებს ქვეყანაში დემოკრატიის დეფიციტი ასაზრდოებდა. დღეს მთავარი საყვედური, რაც სააკაშვილს წაეყენება, არის არა სოციალური სტრუქტურების უფუნქციობა, არა კორუფციულობა. არამედ დემოკრატიის მწვავე ნაკლებობა. ამიტომაც რევოლუცია შევარდნამის დროს და რევოლუცია სააკაშვილის დროს ორ სხვადასხვა, პრინციპულად განსხვავებულ ზღვარზე გადის.

რაც შეეხება პროგრესულობას, რა თქმა უნდა, ეს იყო პროგრესული მოვლენა. ქვეყანა იყო ჩათრეული კორუფციის მორევში, სოციალური ინსტიტუტები აღარ ფუნქციონირებდნენ, ამიტომაც ეს იყო უაღრესად პროგრესული მოვლენა.

სახელმწიფო სტრუქტურების ამუშავების თვალსაზრისით, კორუფციის დაძლევის თვალსაზრისით, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების კუთხით და სხვა რამდენიმე მაჩვენებლით ეს წარმატებული წლები იყო. მაგრამ, თუ ამ წლებს დემოკრატიის კუთხით განვიხილავთ, არავითარ პროგრესზე საუბარი არ შეიძლება, პირიქით, რეგრესს დავინახავთ.

ამ ხელისუფლების ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ თავს თვლიდა (და თვლის) ყველაზე კომპეტენტურად. რადგანაც მათ განათლება დასავლეთში მიიღეს, მიაჩნიათ, რომ ზუსტად იციან, როგორ უნდა გარდაქმნან საზოგადოება, რა ცვლილებები უნდა განახორციელონ საზოგადოებაში მათთან დიალოგის გარეშე.

ამ საზოგადოებაში ვგულისხმობთ როგორც ფართო საზოგადოებას, ასევე ექსპერტულ საზოგადოებას. როგორ ხორციელდებოდა პოლიტიკა? რამდენიმე კაციანი ჯგუფი იღებს გადაწყვეტილებებს და შემდეგ ახორციელებს ამ გადაწყვეტილებებს ყველა შემთხვევაში, ყველა წინააღმდეგობის მიუხედავად, საზოგადოებასთან კომუნიკაციის გარეშე.

ვარდების რევოლუციით მოსული მთავრობის დევიზი „ჩვენ ვართ ხალხისთვის, მაგრამ ხალხისგან დამოუკიდებლად“. ანუ, ჩვენ ვიცით ხალხზე უკეთ, ჩვენ ვერ დაველოდებით, როდის განათლდება ბნელი მასა,

არ გვაქვს ამდენი დრო, რევოლუციით მოვედით, სწრაფად უნდა განვახორციელოთ ქირურგიული ჩარევები და უნდა შევცვალოთ საზოგადოება.

გარკვეულ ზღვრამდე ასეთი პოლიტიკა შეიძლება წარმატებითაც მუშაობდეს. მაგალითად, პირველ ეტაპზე წარმატებით იმუშავა პოლიციის რეფორმამ, რაღაც ზღვრამდე განათლების რეფორმამაც იმუშავა, მაგრამ საბოლოო ჯამში ასეთი პოლიტიკა დამარცხებისთვის არის განწირული. შეუძლებელია მცირე ჯგუფი იყოს სოციალური ცვლილებების, პროგრესის განმაპირობებელი. აუცილებელია საზოგადოების ფართო ჩართულობა. ეს ფართო ჩართულობა დღეს მინიმუმამდე არის დაყვანილი.

“ვარდების რევოლუციის” შედეგად მოსულ ხელისუფლებას კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებით უაღრესად მძიმე ვითარება დახვდა. ქართულ-რუსული ურთიერთობების მკვეთრი და მყარი გაუარესება კონფლიქტის რეგიონში არსებულ მდგომარეობაზეც აისახა.

ორივე კონფლიქტურ რეგიონში ნორმად იყო ქცეული ისეთი კრიმინალური ქმედებები, როგორცაა ადამიანის მკვლელობა, გატაცება, გამოძალვა, ყაჩაღობა, ნაძარცვი საქონლით ვაჭრობა, ნარკოტრეფიკი, კონტრაბანდა...

“ვარდების რევოლუციის” შემდეგ ხელისუფლებაში მოსული გუნდი შეუდგა ქვეყნის ინსტიტუციურ და ეკონომიკურ გამართვას. მან მიზნად დაისახა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენა. საქართველოს ხელისუფლებამ წამოაყენა არაერთი სამშვიდობო ინიციატივა საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე და იმავდროულად ახორციელებდა ცვლილებებს ქვეყნის კანონმდებლობის დონეზე. უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები იყენებდნენ ნებისმიერ

ტრიბუნას, რათა მსოფლიოს საზოგადოებისათვის გაეცნოთ კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო გეგმები.[11]

კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო ინიციატივებმა შედეგი ვერ გამოიღო. მარიონეტულმა სეპარატისტულმა რეჟიმებმა, რუსების დავალებით თუ წახალისებით, კონფრონტაციის გზა აირჩიეს. ამას 2008 წლის აგვისტოს ომი მოჰყვა.

ვარდების რევოლუციის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებამ “ეკონომიკური თავისუფლებისკენ” კურსი დაჩქარებული ტემპით აიღო. ყოველ შემთხვევაში განცხადებების დონეზე მაინც. შეიქმნა სხვადასხვა ეკონომიკური პაქტები, ქარტიები და ა.შ. რომლებიც, როგორც ქვეყნის მესვეურნი ამბობდნენ ქვეყნის ეკონომიკური აღმასვლის და სიღარიბიდან მოსახლეობის გამომყვანი უნდა ყოფილიყო. თუმცა სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ასე არ მოხდა. [5]

საქართველოს პრეზიდენტმა, მოულოდნელად, საქართველო აგრარულ ქვეყანად და მთავრობა აგრარულ მთავრობად გამოაცხადა. ამ მიზნით მთავრობამ სოფლის მეურნეობის განსავითარებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 150 მილიონი ლარი გამოყო, თუმცა უცნობია რაში დაიხარჯა ეს თანხა. [11]

მაკროეკონომიკური და ინსტიტუციური რეფორმების პარალელურად, მთავრობის ძალისხმევა მიმართული იყო ეკონომიკაში კორუფციისა და სახელმწიფო ჩარევის რადიკალური შემცირებისკენ, რასაც საინვესტიციო გარემო უნდა გაეუმჯობესებინა.

ეკონომიკის ძირითად მამოძრავებელ ძალას 2008 წლამდე შეადგენდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საბანკო სისტემის განვითარება. [5]

2008 წლის აგვისტოს ომის და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე გამოიკვეთა ეკონომიკური კრიზისის “ქართული ვერსიის” მახასიათებლები.

ეკონომიკის დაცემის მიზეზებიდან უნდა გამოვყოთ საგარეო ფაქტორები, როგორებიცაა რუსეთთან ჯერ გართულებული ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები, შემდგომ 2008 წლის აგვისტოს ომი და გლობალური ფინანსური კრიზისი და ყველა ის საშინაო ფაქტორი, რაც ინფლაციას წარმოშობდა.[35]

2008 წლის მეორე ნახევარში ქვეყანა შევიდა რეცესიის ფაზაში. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი მძიმე შედეგებით დამთავრდა. ქვეყანამ განიცადა დიდი პირდაპირი ეკონომიკური ზარალი და აისახა ზრდის მაჩვენებლის მკვეთრ შემცირებაში. 2008 წელს მშპ-ს ზრდამ მხოლოდ 2.1% შეადგინა, მაშინ, როდესაც 2007 წელს ეს ციფრი 12.3% იყო. ომს მოჰყვა მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ზიანი და სერიოზული სოციალური პრობლემები. იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა გაიზარდა თითქმის 160 000 კაცით, [36] საჭირო გახდა მათთვის დროებითი საცხოვრებელი სახლების აშენება და სოციალური დახმარება.

ამასთან, თანმხვედრი გლობალური ფინანსური კრიზისი ეკონომიკის დაცემის მეორე ძირითად მიზეზად იქცა. დასავლეთის კომპანიებმა შეწყვიტეს საქართველოს ბანკებისთვის კრედიტების გაცემა, რამაც წარმოშვა ლიკვიდურობის მწვავე უკმარისობა. ამ მოვლენებს მოჰყვა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების მკვეთრი შემცირება საქართველოს ეკონომიკაში.

ქვეყნის ფისკალური და სავალო პოზიცია გაუარესდა. 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი შემცირდა 10.9%-ით და ბიუჯეტის დეფიციტმა მიაღწია მშპ-ს 9.9%-ს, საგარეო ვალი კი 2008 წელს მშპ-ს 19.3%-დან გაიზარდა 2010 წელს 27.9%-მდე. [11]

2008 წლის მეორე ნახევრიდან ქვეყანა დიდი ალბათობით კიდევ უფრო მწვავე ეკონომიკურ კრიზისში აღმოჩნდებოდა, რომ არა ის მხარდაჭერა, რომელიც საქართველომ მიიღო დონორებისგან აგვისტოს ომის შემდგომ.

2008 წლის ოქტომბერში ერთობლივ კონფერენციაზე ბრიუსელში 38 ქვეყნის და 15 საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ საქართველოს გამოუყო 4.5 მლრდ დოლარის დახმარება, საიდანაც 2.0 მლრდ დოლარი წარმოადგენდა გრანტებს და 2.550 მლრდ დოლარი – სესხებს. ეს დახმარება გამიზნული იყო პოსტკონფლიქტური ეკონომიკის რეაბილიტაციისათვის 2008-2010 წლებში. ამასთან, მან მნიშვნელოვნად შეარბილა გლობალური ფინანსური კრიზისის ზემოქმედება საქართველოზე, რის შედეგადაც ქვეყანაში ეკონომიკური დაცემა შედარებით უმტკივნეულოდ წარიმართა. [5] [11]

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წინაშე აღებული ვალდებულებების შესაბამისად, საქართველოში განხორციელდა რეფორმები, რომლებიც მიზნად ისახავდა რეორგანიზაციას, ლიბერალიზაციასა და სავაჭრო რეგულირების გამარტივებას. ეს რეფორმები განსაკუთრებით ინტენსიური გახდა 2003 წლის ნოემბრის შემდგომი პერიოდიდან და ინსტიტუციური ცვლილებების შედეგად საქართველოს სავაჭრო საზღვრები კიდევ უფრო გაიხსნა: გამარტივდა ექსპორტ-იმპორტის პროცედურები, შემცირდა გადასახადის განაკვეთი და სახეები, გამარტივდა სატარიფო და არასატარიფო რეგულირება, განხორციელდა სავაჭრო ურთიერთობების დივერსიფიცირება თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებების დადებით რეგიონულ და მთავარ სავაჭრო პარტნიორებთან, გაუმჯობესდა საინვესტიციო გარემო, შემცირდა თავისუფალი კონკურენციის ბარიერები საბაჟოს, ლიცენზირების და ნებართვების, საკუთრების რეგისტრაციის გამარტივებით, შეიცვალა შრომის რეგულირება, გაუმჯობესდა კრედიტებზე ხელმისაწვდომობა. მთავრობის რეფორმები ითვალისწინებდა სატარიფო და არასატარიფო ბარიერების გაუქმებას ვაჭრობაში, კონკურენტუნარიანი საბაზრო პირობების ჩამოყალიბებასა და ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას, საერთაშორისო ვაჭრობის დივერსიფიცირებას, რასაც ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა უნდა გამოეწვია. [12]

საქართველოში თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის ფორმირებამ გავლენა მოახდინა ადგილობრივი საწარმოების კონკურენტუნარიანობაზეც. შეიქმნა გარკვეული სტიმული მათი რესტრუქტურისაციისათვის, რათა მეწარმეებს უფრო ეფექტურად და მოქნილად მოეხდინათ რეაგირება საბაზრო მოთხოვნის ცვლილებებზე. თუმცა, თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი თანაბრად სარგებლიანი ვერ აღმოჩნდა ადგილობრივი საწარმოებისათვის. უთანასწორო კონკურენცია განაპირობა იმანაც, რომ ზოგიერთი მთავარი ეკონომიკური და სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა მისდევს პროტექციონისტულ პოლიტიკას. მაგალითად, ცნობილია, რომ თურქეთი არის საქართველოში მარცვლეულის მთავარი იმპორტიორი (უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მარცვლეული შედის ხუთ ძირითად საიმპორტო პროდუქციის რიცხვში). მარცვლეულის წარმოებას ასტიმულირებს თურქეთის მთავრობა ამ დარგის სუბსიდირების გზით. ეს კი აძლევს მას საშუალებას, საქართველოში იაფად გაყიდოს საკუთარი პროდუქცია, რითაც კიდევ უფრო ავიწროვებს თავისთავად არაკონკუნენტუნარიან ქართულ აგრარულ პროდუქციას.

იმ პირობებში, როდესაც ქართული ეკონომიკის მწარმოებლური შესაძლებლობები ნაკლებად ვითარდებოდა და მოხმარება იზრდებოდა, თავისუფალმა ვაჭრობამ იმპორტის მოცულობის მკვეთრი ზრდა გამოიწვია და სავაჭრო დეფიციტი გაზარდა. თავისუფალმა ვაჭრობამ კიდევ უფრო ნათლად გამოავლინა ქართული ეკონომიკის დაბალი კონკურენტუნარიანობა როგორც აგრარულ, ისე ინდუსტრიულ სექტორებში. ამასთანავე, თავად ვაჭრობამაც ვერ შექმნა პირობები ამ კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის. [12]


და ბოლოს შევაჯამოთ ამ 20 წლის განმავლობაში საქართველოს საგარეო ვაჭრობის მდგომარეობა.

ვაჭრობას საქართველოს ეკონომიკის რეალურ სექტორში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მისი წილი მშპ-ში განუზრებლად იზრდებოდა, რაც გარდამავალი პერიოდის ქვეყნებისათვის საერთო დამახასიათებელი მოვლენა იყო. მრეწველობისა და ეკონომიკის სხვა დარგების დაქვეითების პერიოდში ვაჭრობა დასაქმების ერთ-ერთი ძირითადი სფერო გახდა. 1990-იან წლებში ჩამოყალიბებული ეს ტენდენცია დღემდე გრძელდება.

ვაჭრობა განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა 2003-2010 წლებში (7.9-ჯერ), მაშინ, როდესაც ამავე პერიოდში მშპ გაიზარდა 1.65-ჯერ. აღსანიშნავია, რომ თუ 2000-2004 წლებში ვაჭრობაში გამოშვება მცირედით ჩამორჩებოდა ეკონომიკაში მთლიანი გამოშვების ზრდის ტემპებს, 2004 წლის შემდეგ მდგომარეობა პირიქით შეიცვალა. [10]

მართალია, 2009 წელს გამოშვება ვაჭრობაში წინა წელთან შედარებით 26%-ით შემცირდა, მშპ კი – 16.3%-ით, რაც 2008 წლების მოვლენებმა, ავტომობილებითა და საწვავით ვაჭრობის შემცირებამ განაპირობა, მაგრამ 2010 წელს უკვე გამოშვების ზრდამ 28.1% შეადგინა, ხოლო მშპ 14.1%-ით გაიზარდა. [10]

ქვეყნის კონკურენტუნარიანობა ბევრ სხვა ინდიკატორთან ერთად მოხმარებაში იმპორტის წილითა და იმპორტ-ექსპორტის თანაფარდობით ხასიათდება.



ნახ. 1. საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა

სამწუხაროდ, ეს ციფრები ნათლად გვიჩვენებს იმ მდგომარეობას რომელშიც საქართველოს ეკონომიკა იმყოფება. ექსპორტი დაახლოებით 3-4-ჯერ ჩამორჩება იმპორტს. საქართველო მოიხმარს წელიწადში დაახლოებით 4 მლრდ. დოლარით მეტს, ვიდრე აწარმოებს.

მლნ. აშშ დოლარებში

	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002
ექსპორტი	151.2	198.8	239.8	189.9	238.1	329.9	320	347.8
იმპორტი	391.6	686.8	943.5	883.2	601.9	650.7	684.1	731.4
წმინდა ექსპორტი	-240.4	-488	-703.7	-693.3	-363.8	-320.8	-364.1	-383.6
იმპორტის ექსპორტით გადაფარვის კოეფიციენტი	38,6	28,9	25,4	21,5	39,6	50,7	46,8	47,6

	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
ექსპორტი	465.3	646.9	866.7	993.1	1232.4	1496.1	1134.9
იმპორტი	1141.1	1847.9	2490.9	3681.2	5214.9	6304.6	4378.1
წმინდა ექსპორტი	-675.8	-1201	-1624.2	-2688.1	-3982.5	-4808.5	-3243.2
იმპორტის ექსპორტით გადაფარვის კოეფიციენტი	40,8	35,0	34,8	27,0	23,6	23,7	25,7


ცხრილი 2. საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა 1995-2009 წლები

2010 წლის იანვარ-მაისში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 2434 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 22

პროცენტით მეტია; აქედან ექსპორტი 608 მლნ. აშშ დოლარი იყო (შესაბამისად 49 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი – 1827 მლნ. აშშ დოლარი (14 პროცენტით მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2010 წლის იანვარ-მაისში 1219 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (შესაბამისად 3 პროცენტით მეტი). [10] [13]


კიდევ უფრო მძიმეა მდგომარეობა, თუ განვიხილავთ ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურას.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე ცნობილია როგორც 2009, ისე 2010 წლის პირველი ხუთი თვის შედეგები, ვფიქრობთ, ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურაზე ყველაზე კარგ წარმოდგენას კიდევ უფრო მძიმეა მდგომარეობა, თუ განვიხილავთ ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურას. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ცნობილია როგორც 2009, ისე 2010 წლის პირველი ხუთი თვის შედეგები, ვფიქრობთ, ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურაზე ყველაზე კარგ წარმოდგენას 2008 წლის სტრუქტურა მოგვცემს, სწორედ 2008 წელს იყო საქართველოდან ექსპორტირებული ყველაზე დიდი რაოდენობით [9]



ნახ. 2. საქონელი. საქართველოს 2008 წლის ექსპორტის სტრუქტურა [10]

როგორც ვხედავთ, როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის სტრუქტურა არაოპტიმალურია



ნახ. 3. საქონელი. საქართველოს 2008 წლის იმპორტის სტრუქტურა [10]

ექსპორტის დიდი წილი კვლავ მოდის ნედლეულის, ან პირველადი დამუშავების პროდუქციის, აგრეთვე ჯართის და მსუბუქი ავტომანქანების ექსპორტზე. ის, რომ შემცირებულია ტრადიციული საექსპორტო ნომენკლატურის წილი (ღვინო, ხილი, ციტრუსი, მინერალური წყლები) მთლიან ექსპორტში, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის დაბალ დონეს. ექსპორტის საუკეთესო ათეულში პრაქტიკულად არ არის საბოლოო მოხმარებისათვის განკუთვნილი პროდუქცია (გარდა ღვინისა) [10].

თუ დსთ ბაზრებზე საექსპორტო საქონლის ხარისხზე მოთხოვნები ძალიან მკაცრი არ არის, ევროკავშირის ბაზრებზე სრულფასოვანი გასვლა, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედებს ვაჭრობის ხელშემწყობი რეჟიმი, ხარისხის სტანდარტის დაკმაყოფილების გარეშე შეუძლებელია. ამ მოსაზრებას ადასტურებს

თუნდაც 2010 წლის გაზაფხულზე ევროკავშირიდან დაბრუნებული თხილის ისტორიაც, როდესაც ევროკავშირიდან საქართველოდან ექსპორტირებული თხილი, რომელიც სტანდარტებს არ შეესაბამებოდა, უკან დააბრუნეს [10].

აღსანიშნავია, რომ საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება, ვაჭრობის დივერსიფიცირება და, რაც შეიძლება, მეტ უცხოურ ბაზარზე გასვლა. საქართველოს სავაჭრო პარტნიორებს შორის, 2003 წლიდან მოყოლებული, გამოირჩევა თურქეთი, რომელთანაც სავაჭრო ბრუნვა სტაბილურად მაღალია.


2007 წლამდე საქართველოსთან ვაჭრობაში წამყვანი ადგილი რუსეთს ეკავა, რომლის ბაზარზეც საქართველოს პროდუქციის უდიდესი ნაწილი იყო ორიენტირებული. საინტერესოა რუსეთ-საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები: იმ დროს, როდესაც პოლიტიკური ურთიერთობები ორ სახელმწიფოს შორის გაუარესდა, სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები არ შეწყვეტილა და რუსეთი დღემდე საქართველოს 10 უმსხვილეს პარტნიორს შორისაა - ეს ქვეყანა, სავაჭრო ბრუნვის მოცულობით, ათეულიდან ბულგარეთს, სომხეთსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს უსწრებს [11].

საქართველოს საუკეთესო შესაძლებლობები და პოტენციალი გააჩნია, რომელთა გამოყენება ქვეყნის წარმატებული ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. საჭირო ღონისძიებების განხორციელებით და ევროკავშირის მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილების შედეგად, საქართველო ნამდვილად შეძლებს, ევროპის დიდ ბაზარზე კონკურენტუნარიანი იყოს.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2012 წელს წინა წელთან შედარებით 11%-ით გაიზარდა და 10.2 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 12.2%-ით გაიზარდა და 5.46 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. [11]

ექსპორტი 2012 წელს 9%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და 2.37 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტმა 11%-ით მოიმატა და 7.84 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. [11]

თუმცა, საქართველოს საგარეო ვაჭრობაში 2012 წლის ბოლო კვარტალში 2.8%-იანი კლება დაფიქსირდა წინა წლის ანალოგიურ



პერიოდთან შედარებით. ექსპორტმა 2012 წლის ოქტომბერ-დეკემბერში 609 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 4.48%-იანი კლებაა, ხოლო იმპორტი 2012 წლის მეოთხე კვარტალში 2.3%-ით შემცირდა. გასული წლის მეოთხე კვარტალში უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 1.3%-ით შემცირდა. [11]

ნახ. 4. საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა 2012 წელი

საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორად კვლავ თურქეთი რჩება, რომელთანაც სავაჭრო ბრუნვამ 2012 წელს 1.53 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. იმპორტმა თურქეთიდან 1.39 მილიარდი აშშ დოლარი, ხოლო ექსპორტმა საქართველოდან თურქეთში მხოლოდ 142.7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა გასულ წელს. [11]

შემდეგ მოდის აზერბაიჯანი, რომელთან სავაჭრო ბრუნვამაც 1.26 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა; უკრაინა – 764.1 მილიონი აშშ

დოლარი; ჩინეთი – 591.5 მილიონი აშშ დოლარი; გერმანია – 580.4 მილიონი აშშ დოლარი; რუსეთი – 519.6 მილიონი აშშ დოლარი; აშშ – 439.3 მილიონი აშშ დოლარი; ბულგარეთი – 341.1 მილიონი აშშ დოლარი; სომხეთი – 324.3 მილიონი აშშ დოლარი და იტალია – 324.3 მილიონი აშშ დოლარი. [11]

2012 წელს მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტმა ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 24.7% შეადგინა – 587.3 მილიონი აშშ დოლარით, რაც 30.4%-იანი ზრდაა წინა წელთან შედარებით. [11]

შემდეგ მოდის ფეროშენადნობი – 260.4 მილიონი აშშ დოლარით (11%-იანი წილი მთლიან ექსპორტში); აზოტოვანი სასუქები – 137.2 მილიონი აშშ დოლარით (5.8%); ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრად დამუშავებული – 87.9 მილიონი აშშ დოლარით (3.7%); თხილი – 83.6 მილიონი აშშ დოლარით (3.5%); სპირტი ეთილის არადენატურიებული – 80 მილიონი აშშ დოლარით (3.4%). [11]

ქართული ღვინის ექსპორტი 2012 წელს წინა წელთან შედარებით 19.9%-ით გაიზარდა და 64.8 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა; მისმა წილმა წლის იანვარი ქვეყნის მთლიან ექსპორტის 2.7% შეადგინა. [11]


ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მას შემდეგ, რაც რუსეთმა 2006 წელს ქართული ღვინის ექსპორტზე ემბარგო დააწესა, თუმცა ის კვლავ ჩამორჩება ემბარგოს წინა წელს არსებულ მაჩვენებელს, როდესაც 2005 წელს ღვინის ექსპორტი 81.3 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. [10]

მინერალური წყლების ექსპორტი ასევე გაიზარდა 2011 წელს არსებული 47.6 მილიონიდან 59.3 მილიონ აშშ დოლარამდე 2012 წელს. სპილენძის ექსპორტი 2011 წელს არსებული 85.1 მილიონიდან 2012 წელს 53.5 მილიონ დოლარამდე შემცირდა. [13]

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2012 წელს ისევ ნავთობი და ნავთობპროდუქტები იყო – 951 მლნ აშშ დოლარი (12.1%-იანი წილი მთლიან იმპორტში); შემდეგ მოდის მსუბუქი ავტომობილები – 662.7 მლნ დოლარი (8.5%); ნახშირწყალბადები – 252.6 მლნ აშშ დოლარი (3.2%); ხორბალი – 239.9 მლნ აშშ დოლარი (3.1%); სამკურნალო საშუალებები –

232.4 მლნ აშშ დოლარი (3%); სატელეფონო აპარატები, ფიჭური ან სხვა უსადენო ქსელებისთვის – 118.8 მლნ აშშ დოლარი (1.5%); გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები – 104.5 მლნ აშშ დოლარი (1.3%); მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონებისგან – 92.5 მლნ აშშ დოლარი (1.2%); სიგარეტი – 90.5 მლნ აშშ დოლარი (1.2%); ელექტრული ტრანსფორმატორები – 88.4 მლნ აშშ დოლარი (1.1%). [10]

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამოაქვეყნა 2013 წლის იანვარ–მარტში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვა (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 2144 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 5 პროცენტით



ნაკლებია. აქედან, ექსპორტი 565 მლნ. აშშ დოლარი იყო (5 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი - 1579 მლნ. აშშ დოლარი (8 პროცენტით ნაკლები). უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2013 წლის იანვარ–მარტში 1013 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 47 პროცენტი შეადგინა. [10]

ნახ 5. უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნების წილი მთლიან იმპორტში 2013 წლის იანვარი

უარყოფითი სავაჭრო სალდო, იმპორტსა და ექსპორტს შორის სხვაობას წარმოადგენს. ის გასულ წელს 55 პროცენტის ფარგლებში იყო და ამჟამად აღნიშნული შემცირება ძირითადად იმპორტის შემცირებამ გამოიწვია. საქსტატის ინფორმაციის თანახმად, საქართველოში განხორციელებული იმპორტის დიდ ნაწილს ნავთობპროდუქტები შეადგენს, შემდეგ მოდის მსუბუქი ავტომობილები, ნავთობის აირები და ა. შ.. [10]

იმპორტის შემცირება სამომხმარებლო პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირებამ გამოიწვია, თუმცა მოცემულ შემთხვევაში სამომხმარებლო საქონლის იმპორტი არ შემცირებულა: შესამჩნევ ზრდას მიაღწია ექსპორტმა. შეიმჩნევა ყველა საექსპორტო ჯგუფის თითქმის თანაბარი ზრდა.

საექსპორტო საქონელში კვლავ მსუბუქი ავტომობილები წამყვან პოზიციებს იკავებენ. ავტომობილების ექსპორტმა მთლიანი ექსპორტის 23 პროცენტი შეადგინა. ბუნებრივია, ყველამ იცის, რომ ჩვენ ავტომობილებს არ ვაწარმოებთ. შემდეგ არის ფერო-შენამენები და შემდეგ კი აზოტოვანი სასუქები. საინტერესოა ისიც, რომ მათ შემდეგ არის სპილენძის ნადნობი, ოქრო, თხილი, კაკალი, რაც იმის მანიშნებელია, რომ სხვა - ყველა დანარჩენი - საქონელი ადგილზე წარმოებულია, რომლის ექსპორტიც საქართველოდან ხორციელდება. [13]

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ საქართველოს ძირითადი საექსპორტო საქონელი უცხოური ავტომობილების რეექსპორტი, ფეროშენადნობები და აზოტოვანი სასუქებია. ამ პროდუქციის მიმღები ძირითადი ქვეყნებია აზერბაიჯანი, აშშ, სომხეთი, თურქეთი, უკრაინა და ა. შ., ხოლო რაც შეეხება მთავარ სავაჭრო პარტნიორებს, რომელთანაც საქართველოს აუქტიური სავაჭრო ბრუნვა აქვს, რომ ავიღოთ ქვეყნების ჯგუფები, ძირითადი პარტნიორები არიან დსთ-ს წევრი ქვეყნები, შემდეგ მოდის ევროკავშირის

ქვეყნები. დსთ-ზე მოდის 33 პროცენტი, ხოლო ევროკავშირზე 27 პროცენტი. ქვეყნების მიხედვით სამეული შემდეგნაირად განაწილდა: აზერბაიჯანი, თურქეთი და უკრაინა. ეს არის სამი ქვეყანა, რომლებთანაც ყველაზე დიდი ბრუნვა აქვს საქართველოს. შემდეგ მოდის ჩინეთი, რუსეთი, აშშ, გერმანია. [11]

ჯერჯერობით უცვლელი რჩება რუსეთის პოზიცია საქართველოს სავაჭრო პარტნიორებს შორის. 2006 წელს მოსკოვის მიერ ემბარგოს დაწესებამდე რუსეთი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი იყო. [11]

თავი 2. საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა

2.1. საქართველოში მოქმედი სავაჭრო რეჟიმები

კომერცია, იგივე ვაჭრობა, არის ადამიანის საქმიანობის სფერო, რომელიც ხორციელდება რაიმე ღირებულების ყიდვა-გაყიდვით. ეს ღირებულება შეიძლება წარმოადგენდეს საქონელს, მომსახურებას, ინფორმაციას, ფულს ან სხვა რამეს. ვაჭრობაში შეიძლება მონაწილეობდნენ ადამიანები, ადამიანთა ჯგუფები, ფირმები, სახელმწიფოები. სახელმწიფო ვაჭრობა ორი ფორმისაა: საშინაო (მათ შორის საცალო და საბითუმო) და საგარეო. ვაჭრობა კაპიტალიზმის განვითარების უმნიშვნელოვანესი მექანიზმია, იგი წარმოიშვა შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და კერძო საკუთრების ბაზაზე. [28]

საგარეო სავაჭრო ურთიერთობების თეორიების უმეტესობა მიდის დასკვნამდე, რომ თავისუფალი ვაჭრობა ქვეყნის კეთილდღეობას ამაღლებს. მის დადებით ეფექტებად მოიხსენიება, მაგალითად: წარმოებისა და მოხმარების ზრდადი ეფექტურობა, საწარმოს ოპტიმალური სიდიდის სწრაფი მიღწევა და ზრდადი კონკურენციით განპირობებული ინოვაციები. ამისგან განსხვავებით, მცირეა თავისუფალი ვაჭრობის დადებითი გავლენა განვითარებადი ქვეყნის კეთილდღეობაზე, რის გამოც ეკონომისტები (მაგ. ფრიდრიხ ლისტი) ქვეყნის განვითარების საწყის ფაზაში, ხშირად, პროტექციონისტული ინსტრუმენტების დაშვებას ცდილობენ.

განვითარებულ საზოგადოებაში ბაზარი - ეს სულაც არ არის კონკრეტული ადგილი. კომუნიკაციისა და ტრანსპორტის თანამედროვე საშუალებათა მეშვეობით გარიგების განხორციელება ხდება მყიდველთან უშუალო კონტაქტის გარეშე. საქონლის რეალიზება და მყიდველამდე მიტანა ტრანსპორტირების მეშვეობითაა შესაძლებელი, ხოლო მყიდველთა შეკვეთების მიღება ხდება ტელეკომუნიკაციებისა და სხვა საინფორმაციო არხების მეშვეობით. ბაზრად მიიჩნევენ ხელშეკრულებასაც, ყიდვა-

გაყიდვის შესახებ; საქმიანი ოპერაციების ერთობლიობასაც; მოცემული საქონლის მწარმოებელ ქვეყანასაც (მაგალითად, კანადის მარცვლეულის ბაზარი) და ბოლოს საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის მიწოდების და მოთხოვნის ადგილია. [28]

საბაზრო ურთიერთობათა სუბიექტია კერძო საკუთრება. კერძო საკუთრებამ დაუდო სათავე მცირე ბიზნესის განვითარებას, რაც საბაზრო მეურნეობის ამოსავალი წერტილია. აქვე აუცილებელია განვიხილოთ ფასების მექანიზმი. ფასი საბაზრო ურთიერთობათა რგოლია, რადგან უზრუნველყოფს კავშირს მწარმოებლებსა და მომხმარებელს შორის და ამით წონასწორობაში მოჰყავს ბაზარზე საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა - მიწოდებას. [29]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 1999 წელს საქართველო ევროპის საბჭოს (ევროსაბჭო) სრულუფლებიანი წევრი გახდა. თავდაპირველად ათი წლის ვადით იყო მიღებული, თუმცა ამიერიდან ის ყოველ წელს, ავტომატურად, ერთი წლით გაგრძელდება. შეთანხმება ითვალისწინებს ფართომასშტაბიან თანამშრომლობას პოლიტიკური დიალოგის, ვაჭრობის, ინვესტიციების, ეკონომიკური, საკანონმდებლო და კულტურული თანამშრომლობის სფეროებში. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების საშუალებით, რომელიც აუქმებს კვოტებს ვაჭრობის სფეროში და იცავს ინტელექტუალური, საწარმოო და კომერციული საკუთრების უფლებას, მხარეებმა ერთმანეთს მიაწოდეს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი.

2004 წლის 14 ნოემბერს საქართველოს ჩართვა ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში European Neighbourhood Policy (ENP) მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობებში. ევროკავშირისა და საქართველოს მიერ სამოქმედო გეგმა. 2006 წლის 14 ნოემბერს იქნა მიღებული. სამოქმედო გეგმა

პოლიტიკური დოკუმენტია, რომელიც საქართველოს და ევროკავშირის შორის თანამშრომლობის სტრატეგიულ ამოცანებს განსაზღვრავს. ის ხუთი წლის ვადითაა შემუშავებული. მისი განხორციელება დაეხმარება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დებულებების შესრულებას, განამტკიცებს კავშირებს თანამშრომლობის ახალ სფეროებში და დაეხმარება საქართველოს მიერ დასახული ამოცანის – ევროკავშირის ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურებში ინტეგრირების – შესრულებაში.[13]

2009 საქართველო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის World Trade Organization (WTO) წევრია 2000 წლიდან საქართველო არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) წევრი, რაც გულისხმობს "უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით" Most-Favored-Nation (MFN) სარგებლობას WTO-ს 153 წევრ ქვეყანასთან. საქართველო ასევე შეუერთდა მრავალმხრივ შეთანხმებებს, როგორცაა საინფორმაციო ტექნოლოგიების და სამოქალაქო ავიაციის შესახებ შეთანხმებები და სხვა მრავალ სექტორალურ ინიციატივებს. [13]

პრეფერენციების განზოგადებული სისტემა (Generalized System of Preferences GSP) საქართველო სარგებლობს GSP სისტემით აშშ-სთან, კანადასთან, შვეიცარიასთან, ნორვეგიასთან და იაპონიასთან. [8]

საქართველოს გააჩნია GSP+ ევროკავშირთან 2005 წლის ივლისში საქართველო გახდა მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი იმ 15 ქვეყანათაგან, რომელიც სარგებლობს GSP-ის ახალი სქემის (EU GSP+) ბენეფიციებით. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია საქართველოდან ექსპორტის ხელშეწყობის თვალსაზრისით. "GSP+"-ის ბენეფიციარის სტატუსის მიღების შემდეგ საქართველო სარგებლობს უფლებით ევროკავშირში უბაჟოდ შეიტანოს 7200 სახეობის პროდუქცია.

საქართველოს გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ

საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას.

[8]

თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი გულისხმობს შეთანხმების მონაწილე მხარეებს შორის ვაჭრობის გათავისუფლებას საბაჟო-საიმპორტო გადასახადისაგან, გარდა ურთიერთშეთანხმებული გამონაკლისებისა.

მრავალმხრივი თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) წევრ ქვეყნებთან, გარდა რუსეთის ფედერაციისა, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი რეგულირდება “თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ” დსთ-ს 1994 წლის მრავალმხრივი შეთანხმებით, და ასევე ორმხრივ ფორმატში იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც საქართველოს გაფორმებული აქვს ასეთი სახის ორმხრივი შეთანხმება. [8]

ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმები საქართველოს ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს შემდეგ ქვეყნებთან: რუსეთის ფედერაცია, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, მოლდოვა, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, თურქეთი. [8]

ამასთან, რუსეთის ფედერაციასა და თურქეთთან არსებული თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, სხვა ქვეყნებიდან განსხვავებით ითვალისწინებს გამონაკლისებს, კერძოდ, თავისუფალი სავაჭრო რეჟიმიდან გარკვეულ სახის საქონლის ამოღებას.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების საქონლით ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებების ძირითადი მიზანია ვაჭრობისათვის ხელის შეწყობა ბარიერების შემცირების და დისკრიმინაციის დაუშვებლობის წესის გამოყენებით. განსაზღვრულია უპირატესი ხელშეწყობის ორმხრივი რეჟიმი. ამრიგად, საქართველო ჯერ კიდევ ვაჭრობის მსოფლიო

ორგანიზაციაში (ვმო) გაწევრიანებამდე სარგებლობდა უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით ევროკავშირის ბაზარზე, ხოლო ვმო-ში გაწევრიანების შემდეგ სარგებლობს ამავე რეჟიმით ვმო-ს ყველა წევრ ქვეყანასთან. [13]

ექსპორტი და იმპორტი, ქვეყანაში განხორციელებული სავაჭრო ოპერაციები ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია.

მიმდინარე გლობალური ეკონომიკური ცვლილებების პირობებში, ქვეყნებს შორის ურთიერთობებში სავაჭრო ურთიერთობებს არსებითი და, შეიძლება ითქვას, უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც სწორედ ვაჭრობაზეა აგებული ქვეყნების წარმატებული ეკონომიკური ფუნქციონირების თითქმის მთელი სისტემა. ეს კი, მთლიანობაში, ხელს უწყობს ქვეყნების განვითარებას და ვაჭრობიდან მაქსიმალური სარგებლის მიღებას. [9]

საქართველოს ვაჭრობა ექსპორტის ზრდაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რაც სიღარიბის დაძლევის, წარმოების განვითარების, სპეციალიზაციისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და, შედეგად, ეკონომიკური ზრდის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

2.2. სატარიფო პოლიტიკა

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის მიზანია ქვეყანაში შემოსულ საქონელზე მაღალი ბაჟის დაწესება, კვოტირება, განსაზღვრული საქონლის შემოტანის აკრძალვა ეროვნული მეურნეობის დაცვა უცხოური კონკურენციისაგან;

შიდა ბაზრის იმპორტისაგან-ექსპორტის დაცვის პოლიტიკა, რომელიც ამ მიზნით იყენებს ტარიფებს, კვოტებს, სუბსიდიებსა და სხვა საშუალებებს. პოლიტიკის მთავარი ამოცანაა სამამულო წარმოების განვითარებისათვის. მას შეიძლება მიმართავდეს ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო ერთად. ეკონომიკის კლასიკური ლიბერალური თეორია, რომელიც თავისუფალი ვაჭრობის მომხრეა, ტარიფებისა და ვაჭრობის სხვა

შემზღუდავი ბარიერების, მაგვარად, პოლიტიკის წინააღმდეგაც გამოდის. ეს თვალსაზრისია ჩადებული ტარიფებისა და ვაჭრობის საყოველთაო შეთანხმებასა და General Agreement on Tariffs and Trade (GATT) და მისი მემკვიდრე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წესდებაში. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ტარიფებისა და ვაჭრობის სხვა ბარიერების შემცირებას ცდილობს. პოლიტიკის დამცველებად გამოდიან ნეომერკანტილისტები, რომელთა უმრავლესობა მესამე სამყაროს ქვეყნების წარმომადგენლები არიან. [8]

ვმო (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია) წარმოადგენს ჟენევაში 1947 წელს ხელმოწერილი GATT-ის, ანუ ტარიფებსა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმების სამართალმემკვიდრეს.

GATT მოქმედებდა 1948 წლიდან და იყო მრავალმხრივი შეთანხმება, რომელიც ადგენდა წესებს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლიანად წარმართვისათვის. იგი ასევე გამოიყენებოდა, როგორც საერთაშორისო ფორუმი სავაჭრო ბარიერების გაუქმების შესახებ მოლაპარაკებებისათვის, რაც მოიცავდა იმპორტისა და ექსპორტის ქვოტირების (რაოდენობრივი შეზღუდვის) გაუქმებას და ტარიფების მნიშვნელოვნად შემცირებას. [8]

GATT-ის მნიშვნელობა ყველაზე უკეთ ისტორიულ ასპექტში ჩანს. 1930-იან წლებში სავაჭრო ბარიერების გაზრდამ გამოიწვია საერთაშორისო ვაჭრობის დაცემა, რასაც შედეგად მოჰყვა დიდი დეპრესია და 30-იანი წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რაც თავის მხრივ იქცა მეორე მსოფლიო ომის დაწყების ერთ-ერთ წინაპირობად. საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნა საუკეთესო გარანტიას წარმოადგენდა არაკონტროლირებადი პროტექციონიზმის და მისი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად. [13]

GATT-ის პრინციპები

GATT-ის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს:

- ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე, რაც გულისხმობს ერთის მხრივ წევრი ქვეყნების მიერ ერთმანეთისათვის "უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის" მინიჭებას, ხოლო მეორეს მხრივ – თანაბარი უფლებებისა და პირობების უზრუნველყოფას იმპორტული და ადგილობრივად წარმოებული საქონლისათვის.
- ქვეყნების ინტეგრაცია საერთაშორისო ბაზარში და საგარეო სავაჭრო პოლიტიკის განვითარების ერთობლივი დაგეგმვა მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზაზე;
- კეთილსინდისიერი კონკურენციის წახალისება ურთიერთ-დათმობების განხორციელებით;
- დავების გადაწყვეტა კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით, ხოლო აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში - GATT-ის სპეციალური ორგანოების გადაწყვეტილებებზე დაყრდნობა;
- შიდა ბაზრის დასაცავად უპირატესად ტარიფული მეთოდების გამოყენება და არა რაოდენობრივი შეზღუდვებისა და სხვა ტექნიკური ბარიერების დაწესება;
- თითოეულ ქვეყანაში პროგნოზირებადი, გამჭვირვალე სავაჭრო პოლიტიკის უზრუნველყოფა.[8]

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია

როგორც უკვე აღინიშნა, ურუგვაის რაუნდის ერთ-ერთი მთავარი შედეგი იყო 1995 წლის 1 იანვარს GATT-ის ვმო-დ გარდაქმნა. ამგვარად, ვმო არის წევრი ქვეყნების ორგანიზაცია, მაშინ, როდესაც GATT-ი მხოლოდ ხელმომწერ მხარეებს შორის არსებულ მრავალმხრივ შეთანხმებას წარმოადგენდა.

ამჟამად ვმო-ში 149 სრულუფლებიანი წევრია გაერთიანებული.

ვმო-ს წევრი ქვეყნების წილი საერთაშორისო ვაჭრობაში დღეისათვის 95 პროცენტზე მეტს შეადგენს. [8]

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ძირითადი ფუნქციები

ვმო-ს ძირითადი ფუნქციებია:

- სამართლებრივი ბაზის შემუშავება ვაჭრობაზე მოქმედი ბარიერების მართვისა და საერთაშორისო ვაჭრობაში დისკრიმინაციის აღკვეთის უზრუნველყოფის მიზნით;
- მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების პროცესის წარმართვა;
- ვაჭრობასთან დაკავშირებული საერთაშორისო დავების მოგვარება;
- ვმო-ს წევრი ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკის ზედამხედველობა;
- მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. [8]

ვმო-ს ორგანიზაციული სტრუქტურა

ვმო-ს უმაღლესი ორგანოა მინისტრთა კონფერენცია, რომელიც იკრიბება ყოველ მეორე წელს და იღებს გადაწყვეტილებებს ძირითადად სახელმწიფოთაშორისო სავაჭრო შეთანხმებების შესახებ. კონფერენციებს შორის ვმო-ს მუშაობას ხელმძღვანელობს გენერალური საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებულია მინისტრთა კონფერენციისადმი. გენერალური საბჭოს დონეზე ფუნქციონირებს ორი სტრუქტურა:

1. დავების გადაწყვეტის ორგანო, რომელიც ზედამხედველობს სადავო საკითხების მოგვარების პროცედურებს;
2. სავაჭრო პოლიტიკის განხილვის ორგანო, რომელიც ორგანიზებას უწევს ვმო-ს ინდივიდუალური წევრების სავაჭრო პოლიტიკის რეგულარულ (2 წელიწადში ერთხელ) განხილვას.

აღნიშნული ორგანოების გარდა ვმო-ს სტრუქტურა შეიცავს მრავალრიცხოვან კომიტეტებს, საბჭოებსა და კომისიებს, რომელთა ფუნქციები საკმაოდ მრავალფეროვანია და გამომდინარეობს მრავალმხრივი შეთანხმებების ხასიათიდან.

ვმო-ში შედის სამი დამოუკიდებელი, განსაკუთრებული პასუხისმგებლობის მქონე საბჭო:

- საქონლით ვაჭრობის;

- მომსახურებით ვაჭრობის;
- ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების.
- არსებობს ასევე შემდეგ საკითხებზე მომუშავე ოთხი კომიტეტი:
- ვაჭრობისა და გარემოს დაცვის;
- ვაჭრობის და განვითარების;
- საგადაამხდლო ბალანსის გამო შეზღუდვის;
- ბიუჯეტის, ფინანსების და ადმინისტრაციის.

„სასაქონლო აღწერისა და კოდირების შესახებ“ 1983 წლის 14 ივნისის ბრიუსელის საერთაშორისო კონვენციით დადგენილი სასაქონლო აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა, რომლის საფუძველზედაც საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ერთიანი სასაქონლო ნომენკლატურის მიღების ვალდებულება გათვალისწინებულია საქართველოს მიერ 1995 წლის 3 ნოემბერს მოსკოვში დადებული ხელშეკრულებით „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ერთიანი სასაქონლო ნომენკლატურის შესახებ“.

სასაქონლო ნომენკლატურა განკუთვნილია საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში მონაწილე ბიზნესმენებისა და საზოგადოების სხვა დაინტერესებული წარმომადგენლობისათვის. ის გარკვეულ დახმარებას გაუწევს სახელმწიფო მოხელეებს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სატარიფო და არასატარიფო რეგულირების ღონისძიებათა განსახორციელებლად, სახელმწიფო სტატისტიკის აღრიცხვის წარმართვისათვის და სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებასა და განზოგადოების სრულყოფისათვის. [7]

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) ხშირი ცვლილების ობიექტია. ეს მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული.

მისი ბოლო ვერსია საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ დაამტკიცა 2010 წლის 31 დეკემბერს და ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვრიდან.

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) ამ ბოლო ვერსიიდან მოხდება საქონლის ამორჩევა და მისი იმპორტირების დროს თავისებურებები შესწავლა.

საქონლის გადაადგილებას საზღვარზე განსაზღვრული წესები და მექანიზმები გააჩნია. განსხვავება დეკლარირების ფორმებშია. ტერმინები საბაჟო დამუშავების ოპერაციები და საბაჟო რეჟიმები განსაზღვრავენ ამ წესებსა და მექანიზმებს.

იმპორტი საბაჟო დამუშავების ოპერაციებიდან საბაჟო რეჟიმს განეკუთვნება.

იმპორტი „importare“ ლათინური სიტყვაა და შემოტანას ნიშნავს. ე.ი. სიტყვაში იგულისხმება საქონლის შემოტანა ქვეყანაში.

[23]

1. იმპორტის საბაჟო რეჟიმის პირობებია:
2. საქონელი უნდა იყოს უცხოური;
3. საქონელზე განსაზღვრულ ვადაში გადახდილი უნდა იყოს შესაბამისი საბაჟო გადასახადები;
4. საქონელზე უნდა იქნეს წარმოდგენილი იმპორტის საბაჟო დეკლარაცია;
5. საქონელზე უნდა იქნეს წარმოდგენილი კანონდებლობით დადგენილი საბაჟო დოკუმენტები;
6. საქონლის მიმართ უნდა განხორციელდეს არასატარიფო პოლიტიკის ღონისძიებები.

სატარიფო პოლიტიკა მხოლოდ ის მოქმედებებია, რომელიც ასახავს საბაჟო გადასახადელებით დაბეგვრის პროცესს.

საბაჟო გადასახადები დაწესებულია მხოლოდ ზოგიერთი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე და სამშენებლო

მასალებზე. დღეისათვის, საქართველო იმპორტზე დაბალი ტარიფების მიხედვით, მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებს (0%, 5% , 12%). [24]

საქართველოში იმპორტირებული საქონელზე მოქმედებს შედეგი რეჟიმები:

- **რაოდენობრივი შეზღუდვების არარსებობით** საქართველოს არ გააჩნია რაოდენობრივი შეზღუდვები (კვოტები, ან სატარიფო კვოტები).
- **სააქციზო გადასახადი და დღგ ერთნაირია იმპორტირებულ და ადგილობრივ პროდუქციაზე.** ადგილობრივი და იმპორტირებული პროდუქცია იდევრება თანაბარი სააქციზო გადასახადითა და დღგ-ით. დღგ-ის განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ბრუნვის ან საქონლის იმპორტის თანხის 18%.
- **იმპორტისათვის/ექსპორტისათვის საჭირო ლიცენზიების რაოდენობის მკვეთრი შემცირებით** მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღი და ასაფეთქებელი ნივთიერებები, რადიოაქტიული ნივთიერებები, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებები და სამრეწველო ნარჩენი და სასოფლო-სამეურნეო ქიმიური პრეპარატების გარკვეული სახეობა ექვემდებარება იმპორტის/ექსპორტის ლიცენზირებას. 2005 წლიდან ნებართვების რაოდენობა საიმპორტო და საექსპორტო პროდუქციით ვაჭრობასთან დაკავშირებით 14 ძირითადი ჯგუფიდან 8 ჯგუფამდე შემცირდა.

ვმო-ს დამფუძნებელ მარაკეშის შეთანხმებაზე მიერთების ოქმის ხელმოწერით საქართველო მიუერთდა ამ ორგანიზაციის შეთანხმებათა მთლიან პაკეტს, აგრეთვე იკისრა ვალდებულებები, რომელიც დაფიქსირებულია ოქმის დანართ დოკუმენტებში. ესენია:

- საქართველოს ბმული ტარიფების ცხრილები;
- მომსახურებით ვაჭრობის სფეროში სპეციფიკურ ვალდებულებათა ცხრილები;
- მიერთების მუშა ჯგუფის ანგარიში.

ბმული ტარიფები ცხრილები წარმოადგენენ საქონლის იმპორტზე საბაჟო ტარიფის იმ მაქსიმალურ განაკვეთების ჩამონათვალს, რომელთა გამოყენების უფლება გააჩნია საქართველოს, ვმო-ს წევრების დამატებითი თანხობის მიღების გარეშე. [24]

ცხრილები ძირითადად შედგენილია ე.წ. ჰარმონიზირებული სისტემის 6-ნიშნა კოდების დონეზე, ხოლო იმ სასაქონლო ჯგუფებში, სადაც უფრო დეტალურ დონეზე ადგილი აქვს განსხვავებულ ტარიფებს - 9 ნიშნა დონეზე.

იმ სასაქონლო პოზიციებზე, სადაც ბმული ტარიფები დაფიქსირდა უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე მოქმედი ტარიფი (საინფორმაციო ტექნოლოგიები, ფარმაცევტული პროდუქცია, მანქანა-დანადგარები, ზოგიერთი ნედლეული და ა.შ.), საქართველო გაწევრიანების დღიდან ვალდებული იყო მოქმედი ტარიფი მოეყვანა «ბმულის» მოთხოვნებთან შესაბამისობაში (დაეწესებინა მის დონეზე, ან უფრო დაბალი ტარიფი).

სასაქონლო პოზიციებზე, სადაც ბმული ტარიფის დონე მოქმედზე მაღალია, საქართველოს აქვს უფლება ასწიოს საიმპორტო ტარიფი ბმულის დონემდე, თუ ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს.

მაღალი დონეები გაწევრიანებისას შეთანხმდა ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე (ალკოჰოლი, ხილის წვენები, გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია, თამბაქო და ა.შ.), აგრეთვე მცირე რაოდენობის სამრეწველო პროდუქციაზე (სამშენებლო მასალები, მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი და ა.შ.).

ზოგიერთ პროდუქციაზე ბმული ტარიფები გარდამავალი პერიოდის განმავლობაში (5-6 წელი) განიცდიან თანდათანობით დაკლებას.

სატარიფო დაცვის დონის დახასიათებისათვის ჩვეულებრივ იყენებენ ე.წ. «საშუალო შეწონილი ტარიფის» მაჩვენებელს, რომელიც

ცალკეული სატარიფო დონის სიდიდესთან ერთად ითვალისწინებს შესაბამისი სასაქონლო პოზიციის იმპორტის მოცულობას, ქვეყნის საერთო იმპორტში.

მომსახურებით ვაჭრობაში სპეციფიკურ ვალდებულებათა ცხრილები განსაზღვრულია ის შეზღუდვები, რომლებიც ექნება მომსახურების ადგილობრივ და უცხოელ მომწოდებლებს. [24]

შეზღუდვები ორი ტიპისაა:

- ე.წ. «ჰორიზონტალური», რომელიც ეხება მომსახურების ყველა სექტორს;
- ე.წ. «ვერტიკალური», რომელიც სპეციფიკურია კონკრეტული სექტორის მიმართ.

უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურებით ვაჭრობის რეგულირება საქართველოს ფრიად ლიბერალიზებული აქვს, ე.ი. უცხოელ მომწოდებლებს ადგილობრივთან შედარებით დაუწესდათ მეტად მცირერიცხოვანი შეზღუდვები (საბანკო-საფინანსო, სადაზღვევო, სამშენებლო და ზოგიერთ სხვა სექტორებში).

ზოგადი ვალდებულებები გაწევრიანების პროცესში მუშა-ჯგუფის მიერ დეტალურად იყო განხილული საქართველოს ეკონომიკური სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო-ნორმატიული და სახელშეკრულებლო ბაზა, რათა ვმო-ს წევრი ქვეყნები დარწმუნებულიყვნენ ვმო-ს ნორმებთან მის შესაბამისობაში. [24]

გაწევრიანების მსვლელობაში გატარდა მრავალი საკანონმდებლო ცვლილება, რათა მომხდარიყო საქართველოს კანონმდებლობის რაც შეიძლება სრული ჰარმონიზაცია ვმო-ს მოთხოვნებთან, ხოლო აუცილებელი სამომავლო ცვლილებები, აგრეთვე ვმო-ს სხვადასხვა შეთანხმებების დაცვის პირობები, დაფიქსირდა გაწევრიანების მუშა ჯგუფის ანგარიშში, ვალდებულებათა სახით.

ეს ვალდებულებები შეეხებიან საკმაოდ ფართო სპექტრის საკითხებს, ისეთს, როგორც სამეწარმეო საქმიანობისა და ექსპორტ-იმპორტის

ლიცენზირება, საგადასახადო სისტემა, სტანდარტიზაცია-სერტიფიკაცია, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები, სუბსიდიები, ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტები და ა.შ.

2.3. საქართველოში არსებული საბროკერო კომპანიები და მათი როლი იმპორტირებულ საქონელზე ორიენტირებულ ბიზნესზე.

დღესდღეობით, მსოფლიოში არსებობს უამრავი ბიზნესის დამოუკიდებელი სახეობა, რომელიც ერთ-ერთი მადგანი წარმოადგენს საშუამავლო ბიზნესს. შუამავლობა, როგორც ბიზნესის სპეციფიკური სახეობა, ხასიათდება იმით, რომ ხელს უწყობს რიგი ოპერაციის განხორციელებას და შესაბამისი გარიგებების დადებას. საშუამავლო ბიზნესი ემსახურება ეკონომიკური აგენტების იმფორმაციულ უზრუნველყოფას, მათ შორის კონტაქტების დამყარებას და კონტრაქტების დადებას. შუამავლებლად გვევლინებიან: ბროკერი, მაკლერი, სავაჭრო აგენტი და ა.შ. [14]

შუამავალთა ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ბირჟის ჩამოყალიბების ისტორიასთან, რადგან შუამავლები თავისი სამუშაოს სრული შესრულება სწორედ დაიწყეს ბირჟებზე. იმისთვის, რომ კარგად გავიცნოთ შუამავლები და მათი საქმიანობის სფერო, გავიცნოთ და გავიგოთ ბირჟის არსი და ისტორია.

სახელწოდება „ბირჟა“ წარმოსდგება ლათინურ სიტყვისაგან ბურსა, რაც ნიშნავს საფულეს, კორპორაციის სალაროს. მის წარმოშობას უკავშირებენ ბელგიის ქალაქ ბრიუგეში არსებულ დე ბურსეს (de Bourse) მოედანს, რომელიც ატარებდა ვინმე ვად ნე ბურსის სახელს. გადმოცემით ცნობილია, რომ ვან დე ბურსი იყო საკმაოდ მდიდარი პიროვნება, მას ამავე მოედანზე ჰქონდა დუქანი და სახლი, რომელსაც ამშვენებდა მისი ღერბი სამი საფულეს

გამოსახულებით და რომელშიც ხშირად ჩერდებოდნენ ვაჭრები. XV საუკუნის დამლევს დე ბურსეს მოედანი იქცა ვაჭრობის თავშეყრისა და გარიგებების დადების ადგილად. [14]

ბირჟამ თავისი განვითარების გზაზე მრავალი ეტაპი გაიარა. ყველაფერი დაიწყო ვაჭრობით, როდესაც საქონელი გასაყიდათ გადაჰქონდათ სხვა ქვეყნებში, იმ დროს გადაადგილებისათვის გამოიყენებოდა მხოლოდ აქლემების ქარავნები, ხოლო გარე ვაჭრობა იყო თითქმის ერთადერთი საშუალება რომლითაც შეიძლებოდა საქონლის რეალიზაცია. იმ შორეულ წარსულში ხალხი იკრიბებოდა მხოლოდ ყოველწლიურ ბაზრობებზე სადაც ხდებოდა ბითუმი ვაჭრობა. დროთა განმავლობაში დაიხვეწა და განვითარდა ვაჭრობის სფერო, რის საფუძველზეც რიგ ქვეყნებში გაჩნდა ყოველდღიური ვაჭრობის აუცილებლობა. თანდათან ვაჭრობამ ქუჩის ბაზრის ტერიტორიებიდან გადაინაცვლა შეძლებულ ვაჭართა მიერ იჯარით აღებულ შენობებში, სწორედ ამ შენობებს დაერქვა შემდგომში სახელი – ბირჟა. ამ დროისათვის ხდება საბირჟო ვაჭრობის ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება, სწორედ ამ სავაჭრო ბირჟის მემკვიდრედ ითვლება დღევანდელი სავაჭრო ბირჟა სადაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა და დაიხვეწა ურთიერთობის ყველა ეტაპი. [14]

კომპიუტერიზაციის ეპოქამდე, გარიგებებზე მხარეთა შეთანხმება ზეპირ ხასიათს ატარებდა. დღეს კი ვაჭრობა ელექტრონულია და გამოიყენება სპეციალიზირებული პროგრამები. ბროკერები თავისი ან კლიენტთა ინტერესების გათვალისწინებით აცხადებენ მოთხოვნას სავაჭრო სისტემაში ამა თუ იმ ფასიანი ქაღალდის შესყიდვაზე, რომელიც შესაბამისად დასტურდება სხვა შემხვედრი შეთავაზების მიერ. ბირჟა მხოლოდ აწარმოებს აღრიცხვას შემდგარი გარიგებას, ასევე ორგანიზებას უკეთებს და გარანტირებს გადახდას, უზრუნველყოფს ფუნქციონირებას – "მიწოდება გადახდის სანაცვლოდ" (Delivery Versus Payment). [14]

როგორც წესი ბირჟები იღებენ საკომისიო მოსაკრებელს თითოეული გარიგებიდან, რომელიც მის ძირითადი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. სხვა შემოსავლები შეიძლება იყოს როგორც საწევრო შენატანი, ასევე ვაჭრობაზე დაშვების გადასახადი და საბირჟო ინფორმაციის გაყიდვა.

დღევანდელ დღეს, როდესაც ბიზნესი გლობალურ მასშტაბებს იძენს და გამუდმებით ფართოვდება, ბიზნეს პროცესებიც უფრო მრავალფეროვანი და რთული ხდება, ასეთ პირობებში კი ბუნებრივად მატულობს თითოეული საქმიანობის ზუსტი და მართლზომიერი აღრიცხვის მოთხოვნილება, ამიტომაც საშუამავლო ბიზნესი საქართველოში ხდება აქტუალური სპეციალობა. გარდა შუამავლების, რომლებიც მოღვაწეობენ საქართველოს საფონდო ბირჟებზე, არსებობენ სხვა სახის შამავლები. მაგალითად შპს. ARG Group. ეს კომპანია წარმოადგენს შუამავალს სახელმწიფოსა და კერძო კომპანიის შორის, რომელიც იცავს ბიზნესის ინტერესებს მართლზომიერი და კანონიერი აღრიცხვის გზით. დავუბრუნდეთ საქართველოს საფონდო ბირჟას და მის მონაწილეებს.

საქართველოს 11 ლიცენზირებული საბროკერო კომპანია, 1 ლიცენზირებული საფონდო ბირჟა, 6 ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორი და 1 ლიცენზირებული ცენტრალური დეპო-ზიტარი. [15]

2.4. ექსპორტის ხელშეწყობის სამსახური

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში არსებობს ექსპორტიორისთვის ექსპორტის ხელშეწყობის სამსახურის მომსახურება.

აღნიშნული სამსახური წარმოადგენს ექსპორტიორთა მომსახურების ცენტრს, რომელიც შეიქმნა, რათა გააძლიეროს ქართველი ექსპორტიორები და შესთავაზოს პრობლემების გადაწყვეტის პრაქტიკული გზები. მომსახურების ცენტრი ეხმარება ექსპორტიორს ლოჯისტიკის, მარკეტინგული კამპანიისა და ზოგადად, ექსპორტის დაგეგმვაში. [17]

ექსპორტის ხელშეწყობის სამსახურის მომსახურებაში შედის:

ექსპორტის მზაობის ტესტი, რომლის მიხედვითაც ფასდება, განვითარების რა ეტაპზეა პოტენციური საექსპორტო კომპანია და რა რესურსებია საჭირო საექსპორტო ბაზარზე წარმატების მისაღწევად.

ექსპორტის შესაძლებლობების აუდიტი კომპანიის რესურსებისა და შესაძლებლობების ანალიზი, რათა დადგინდეს, რა არის კომპანიის საექსპორტო მოცულობა, როგორი იქნება კომპანიის გაყიდვები საექსპორტო ბაზარზე. [17]

ბაზარზე შესვლის რეკომენდაციები კონკრეტულ პროდუქტზე და ბაზარზე მორგებული რეკომენდაციის გაწევა, კომპანიისათვის კონსულტაციის გაწევა, განახორციელოს პირდაპირი თუ არაპირდაპირი ექსპორტი.

მარკეტინგული გეგმა კონკრეტულ პროდუქტზე და ბაზარზე მორგებული მარკეტინგული რეკომენდაციის გაწევა. [17]

ინდივიდუალური საბაზრო კვლევები კონკრეტული ბაზრისა და პროდუქტის მიხედვით იწერება ბაზრის მიმოხილვა, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- საექსპორტო ბაზარზე იმპორტ-ექსპორტის სტატისტიკა
- სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა
- კონკურენცია საექსპორტო ბაზარზე
- ბაზარზე შესვლის მოთხოვნები
- ტრანსპორტირება და საბაჟო პროცედურები
- სავაჭრო კომპანიების სია და მათი საკონტაქტო ინფორმაცია
- მარკეტინგული ღონისძიებები

- რეგისტრაცია

ექსპორტიორების/იმპორტიორების/თრეიდერების მონაცემთა ბაზა ექსპორტის ხელშეწყობის სამსახური უცხოელ თრეიდერებსაც სთავაზობს მომსახურებას. კონკრეტული პროდუქტით დაინტერესების შემთხვევაში, ხდება აღნიშნულ სფეროში მოღვაწე კომპანიების საკონტაქტო ინფორმაციის მიწოდება და პირველადი კონტაქტის დამყარება. [17]

ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა დაინტერესებული კომპანიებისათვის ხორციელდება გამოფენებისათვის მზადების პროცესის სრული კოორდინაცია.

მედია კამპანია ქართული პროდუქციის სარეკლამო მასალების განთავსება და ზოგადად ქართულ პროდუქციასთან დაკავშირებით ცნობადობის ამაღლება საერთაშორისო გაზეთების, ჟურნალებისა და ვებგვერდების გამოყენებით.

ბიზნესმენებთან ინდივიდუალურ შეხვედრებზე ხორციელდება მწარმოებლების დაკავშირება მსხვილ საცალო მოვაჭრეებთან.

ნიმუშების კონსოლიდაცია და მიწოდება პოტენციური იმპორტიორების მოძიება და მათთვის პროდუქციის ნიმუშების მიწოდება.

ტვირთის კონსოლიდაცია რამდენიმე კომპანიის მსგავსი ტიპის მცირე ტვირთის კონსოლიდაცია და გაგზავნა თითოეული კომპანიისათვის ხარჯის შემცირების მიზნით.

შუამავლობა ქართული და უცხოური კომპანიების ერთმანეთთან დაკავშირება და შეხვედრების დაგეგმვა მათი შემდგომი თანამშრომლობის მიზნით.

ტურები კომპანიებში მომსახურების ბენეფიციარები არიან როგორც პოტენციური ქართველი ექსპორტიორები, ისე უცხოელი თრეიდერები. მომსახურება მოიცავს კომპანიაში ვიზიტს, წარმოების

პროცესის დათვალიერებას, მენეჯმენტთან და პერსონალთან შეხვედრას.

[17]

თავი 3. მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები

3.1. მონაცემთა ბაზების დაპროექტება, აგება და ადმინისტრირება

ინფორმაცია თანამედროვე მსოფლიოში გახდა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რესურსად, საინფორმაციო სისტემები კი -- აუცილებელ ინსტრუმენტად პრაქტიკულ საქმიანობის ყველა სფეროში.

ამოცანების ნაირფეროვნებამ, რომლებიც ამოიხსნება საინფორმაციო სისტემების დახმარებით, მიგვიყვანა მრავალ სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო სისტემებთან. ისინი განსხვავდება ერთი მეორესაგან აგების პრინციპებითა და ინფორმაციის დამუშავების წესებით. საინფორმაციო სისტემების წარმოქმნა შედეგია ობიექტური პროცესის, რომელსაც სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია ჰქვია. ეს სისტემები, ინფორმაციის ინტეგრირებით, უზრუნველყოფენ მართვის ამოცანების კომპლექსურ გადაწყვეტას.

თანამედროვე ცხოვრებაში ინფორმაცია გაცვლა ყოველდღიურად ხდება, ხოლო იმისათვის, რომ კომპიუტერებმა ერთმანეთს გაუცვალონ ინფორმაცია მათ ჭირდებათ ერთმანეთთან დაკავშირება, კომპიუტერული ქსელების საქმეც ზუსტად ესაა, სხვადასხვა კომპიუტერების ერთ ჯგუფში თავმოყრა, სადაც თითოეულ კომპიუტერს თავის IP მისამართი გააჩნია, სწორედ ამ მისამართებით ცნობენ კომპიუტერები ერთმანეთს. თავდაპირველად ერთ ქსელში 10 მდე კომპიუტერი იყო ჩართული და ერთი პრინტერი, დღეისათვის კი ასიათასობით კომპიუტერს შეუძლია ერთ ქსელში ჩართვა. ინფორმაციის გაცვლა.

ნახევარსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე პროგრამულმა უზრუნველყოფამ უდიდესი ცვლილება განიცადა: მხოლოდ მარტივი ლოგიკური და არითმეტიკული ოპერაციების შესრულების პროგრამებიდან, წარმოების მართვის რთულ სისტემებამდე. პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების პროცესში ყოველთვის შეიძლება ორი ძირითადი მიმართულების გამოყოფა:

- გამოთვლების შესრულება;
- ინფორმაციის დაგროვება და გადამუშავება.

თუმცა, დასაწყისში კომპიუტერი უმთავრესოდ რთული მათემატიკური გამოთვლების შესასრულებლად (პირველ რიგში, ატომური იარაღისა და სარაკეტო ტექნიკის შექმნასთან დაკავშირებული გამოთვლებისათვის) იყო გათვალისწინებული, ხოლო ამჟამად დომინირებს მეორე მიმართულება. გამოთვლითი ტექნიკის მიერ შესრულებული ძირითადი ფუნქციების ასეთი გადანაწილება სავსებით გასაგებია - სამოქალაქო ბიზნესი უფრო მეტად გავრცელებულია, ვიდრე სამხედრო და სამეცნიერო გამოთვლები, ხოლო ღირებულების შემცირების გამო, კომპიუტერი როგორც მცირე საწარმოებისათვის, ისე კერძო პირებისათვისაც ხელმისაწვდომი გახდა. [18]

ინფორმაციის როლი ეკონომიკაში სწრაფად იზრდება. ინფორმაციული ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი რესურსი, რომელსაც ორგანიზაციები იყენებენ, არის ინფორმაცია. ორგანიზაციის არსებობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ზუსტად, დროულად და ხარისხიანად ადევნებს იგი თვალყურს იმ ბაზრისა და საქონლის შესახებ ინფორმაციას, რომელთანაც მას უხდება მუშაობა.

თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიები საშუალებას გვაძლევს დიდი მოცულობის ინფორმაციული ბაზა შევქმნათ. მენეჯერები ხშირად ძალიან დიდი მოცულობის ინფორმაციას იღებენ. პრობლემა უკვე საერთოდ ინფორმაციის ნაკლებობა კი არ არის, არამედ იმ ინფორმაციის ნაკლებობაა რომელიც კონკრეტულ მომხმარებელს კონკრეტული სახით ესაჭიროება.

დიდი ძალისხმევა ესაჭიროება ყველაზე მარტივი მონაცემების მოძებნასაც კი. საჭირო ინფორმაცია შეიძლება მომხმარებელს დაგვიანებით და ამასთან, დამახინჯებული სახით მიეწოდოს. ზოგჯერ შეიძლება ინფორმაცია ძალიან ბევრი იყოს, მაგრამ მარტივი არ არის მასში ის ინფორმაცია ამოვარჩიოთ, რომელიც მოცემულ მომენტში მომხმარებელს

ესაჭიროება. სამწუხაროდ, ჩვენთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის შეგროვებასა და მის ხარისხიან დამუშავებაზე გაწეული დანახარჯები უსასრულოდ იზრდება.

მსოფლიოში, ყოველწლიურად მონაცემების რაოდენობა ორჯერ იზრდება. მიუხედავად იმისა, რომ იგი შეიძლება გადავაქციოთ საჭირო ინფორმაციად, სარგებელი ცოტაა, რადგან ინფორმაცია თავისი უზარმაზარი მოცულობისა და ქაოტურობის გამო ვერ გამოდგება გადაწყვეტილებათა მიღებისას. ბიზნეს-ინტელექტისა და მონაცემთა საცავების საშუალებები მოწოდებულია საჭირო ინფორმაციისა და მონაცემების აღმოსაჩენად.

დღეისათვის მონაცემთა ბაზები ფართოდ არის გავრცელებული და ისინი ფაქტიურად ყველგან გამოიყენება. თითქმის ყველა გამოყენებით პროგრამას გააჩნია მონაცემთა ბაზებზე დაფუძნებული სტრუქტურა. როდესაც ჩვენ რაიმეს ვყიდულობთ ინტერნეტის საშუალებით “on-line”-რეჟიმში, როდესაც ჩვენ ვახორციელებთ დრაივერების ლინცენზიების განახლებას, ვკითხულობთ თვითმფრინავთა ფრენის განრიგს, ვეძებთ სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების შედეგებს, ჩვენ ვიყენებთ პროგრამებს რომლებიც მონაცემთა ბაზებზეა დაფუძნებული. მონაცემთა ბაზები უზრუნველყოფენ მონაცემთა შენახვის ეფექტურ, უსაფრთხო და მოქნილ ხერხს, და გამოიყენებიან სხვადასხვა მიმართულების პროგრამებში: ბიბლიოთეკის ბარათების კატალოგებიდან დაწყებული

ქარხნების დაზგების ავტომატიზაციით დამთავრებული.

ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც ლოგიკურად და თანმიმდევრულად არის დალაგებული მონაცემთა ბაზას უწოდებთ ანუ ელექტრონული ინფორმაციის მართვის სისტემაა. მისი მთავარი დანიშნულებაა ინფორმაციის დაცულად შენახვა და მომხმარებლისთვის სათანადო ფორმით მიწოდება. სისტემა შედგება

ორი ნაწილისაგან: მონაცემთა ბაზის სამართავი პროგრამისა და თვითონ ინფორმაციისაგან. სამართავი პროგრამის დანიშნულებაა ინფორმაციის შენახვა, ორგანიზირება, მართვა და გადმოცემა.

მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა არის კომპიუტერული პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზის შექმნას, მოხმარებას და მართვას. დღეისათვის მონაცემთა ბაზის მართვის სისტემები აქტიურად და წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა სფეროში, მაგალითად ეკონომიკურ და საფინანსო სექტორში, ჯანდაცვაში

მონაცემთა ბაზის მართვის სისტემის გამოყენებით იქმნება არა მხოლოდ საკუთრივ მონაცემთა ბაზა, არამედ გარკვეული სამუშაო რგოლის ვირტუალური მოდელი, ერთიანი საინფორმაციო სისტემა კონკრეტული დაწესებულების ფარგლებში.

მონაცემთა ბაზა შეიძლება შეიქმნას მანუალურად და სპეციალური პროგრამის, მონაცემთა ბაზის მართვის სისტემის, საშუალებით.

მონაცემთა ბაზას ახასიათებს ე.წ. მოდელი, ანუ სქემა, რომელიც აღწერს მონაცემთა ბაზის სტრუქტურას.

მონაცემთა ბაზების კლასიფიცირება შეიძლება მოვახდინოთ მონაცემების მოდელების მიხედვით. მონაცემების მოდელი არის მონაცემების სტრუქტურისა და მათი დამუშავების ოპერაციების ერთობლიობა. მონაცემების მოდელის მიხედვით შესაძლებელია ობიექტების სტრუქტურისა და მათ შორის არსებული კავშირების წარმოდგენა. არსებობს მონაცემების იერარქიული, ქსელური და რელაციური მოდელები. შესაბამისად, არსებობენ იერარქიული, ქსელური და რელაციური მონაცემთა ბაზები.

მონაცემების იერარქიული მოდელის თითოეული ელემენტი სხვა ელემენტებს წარმოქმნის. წარმოქმნილი ელემენტები, თავის მხრივ, სხვა ელემენტებს წარმოქმნიან და ა.შ. ამასთან, ნებისმიერ წარმოქმნილ ელემენტს აქვს მხოლოდ ერთი წარმომქმნელი ელემენტი.

მონაცემების ქსელური მოდელი წარმოადგენს მონაცემების იერარქიული მოდელის გაფართოებას. იერარქიული მოდელისაგან განსხვავებით ქსელური მოდელის წარმოქმნილ ელემენტს შეიძლება ჰქონდეს ერთზე მეტი წარმომქმნელი ელემენტი.

მონაცემთა რელაციური მოდელის შემთხვევაში მონაცემების წარმოდგენა ხდება ორგანზომილებიანი ცხრილის სახით. მარტივ შემთხვევაში, რელაციური მოდელი აღწერს ერთ ორგანზომილებიან ცხრილს, უფრო ხშირად კი - რამდენიმე ცხრილის სტრუქტურასა და მათ შორის კავშირებს. [19]

საინფორმაციო სისტემები ჩვეულებრივი პროგრამული პროდუქტია, მაგრამ სტანდარტული გამოყენებითი პროგრამებისა და სისტემებისაგან რიგი არსებითი თვისებებით განსხვავდება. საგნობრივ არეზე დამოკიდებულების მიხედვით, საინფორმაციო სისტემები ერთმანეთისაგან შეიძლება თავისი ფუნქციებით, არქიტექტურით, რეალიზაციით ძალიან განსხვავდებოდეს. მაგრამ, შეიძლება გამოვყოთ რიგი თვისებები, რომლებიც ყველასათვის საერთოა:

- ✓ საინფორმაციო სისტემები ინფორმაციის შეგროვების, შენახვისა და გადამუშავებისათვისაა განკუთვნილი. ამიტომ, ნებისმიერ მათგანს საფუძვლად უდევს შენახვისა და მონაცემთა წვდომის გარემო;
- ✓ საინფორმაციო სისტემები გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების სფეროში დაბალი კვალიფიკაციის საბოლოო მომხმარებლებზეა ორიენტირებული. ამიტომ, საინფორმაციო სისტემის მომხმარებლის კლიენტური დანართები უნდა მოიცავდეს უბრალო, მოსახერხებელ და მარტივად ასათვისებელ ინტერფეისს, რომელიც საბოლოო მომხმარებელს ფუნქციებთან სამუშაო ყველა აუცილებელ ინსტრუქციას მიაწვდის, მაგრამ ამასთანავე, მას უფლებას არ მისცემს შეასრულოს რაიმე ზედმეტი მოქმედება. [19]

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა (მზმს) ნებისმიერი საინფორმაციო სისტემის განუყოფელი ნაწილია. გამოყენებული მზმს-ის ტიპი ჩვეულებრივ საინფორმაციო სისტემის მასშტაბით განისაზღვრება - მცირე საინფორმაციო სისტემებმა შეიძლება ლოკალური მზმს გამოიყენონ, კორპორატიულ საინფორმაციო სისტემებში საჭიროა მძლავრი კლიენტ-სერვერული მზმს, რომელიც უზრუნველყოფს მრავალმომხმარებლიან მუშაობას. [18]

საინფორმაციო სისტემები გამოყენების სფეროს მიხედვით, ჩვეულებრივ ოთხ ჯგუფად იყოფა:

- ტრანზაქციის დამუშავების სისტემები;
- გადაწყვეტილების მიღების სისტემები;
- საინფორმაციო-საცნობარო სისტემები;
- საოფისე საინფორმაციო სისტემები.

მიხედვით ტრანზაქციის დამუშავების სისტემები, თავის მხრივ, მონაცემთა დამუშავების ოპერატიულობის მიხედვით იყოფა პაკეტურ და ოპერატიულ ინფორმაციულ სისტემებად. ორგანიზაციული მართვის საინფორმაციო სისტემებში სჭარბობს ტრანზაქციის ოპერატიული დამუშავების რეჟიმი - OLTP (OnLine Transaction Processing), დროის ნებისმიერ მომენტში საგნობრივი არის მდგომარეობის აქტუალური ასახვისათვის, ხოლო ტრანზაქციის პაკეტურ დამუშავებას საკმაოდ შეზღუდული ნაწილი უჭირავს. OLTP სისტემისათვის საკმაოდ მარტივი ტრანზაქციების რეგულარული (შესაძლებელია, ინტენსიური) ნაკადია დამახასიათებელი, რომელიც შეკვეთების, ფულის გადახდის, შეკითხვების და ა. შ. როლს ასრულებს. მათთვის მნიშვნელოვან მოთხოვნას წარმოადგენს: საინფორმაციო სისტემები ტრანზაქციის ოპერატიული დამუშავება გადაწყვეტილების მიღების სისტემები საინფორმაციო-საცნობარო სისტემები საოფისე საინფორმაციო სისტემები ტრანზაქციის დამუშავების სისტემები ტრანზაქციის პაკეტური დამუშავება ექსპერტული სისტემები ოპერატიული ანალიტიკური დამუშავება ელექტრონული დოკუმენტაციის

სისტემები გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები
ჰიპერტექსტური სისტემები ჰიპერტექსტური სისტემები საქმის
წარმოების ავტომატიზაცია დოკუმენტთა ბრუნვის მართვა [39]

- ტრანზაქციის დამუშავების მაღალი მწარმოებლობა;
- დიდ მანძილზე დაცილებული მონაცემთა ბაზებისათვის ინფორმაციის
ტელეკომუნიკაციის არხებით გარანტირებული მიწოდება.

გადაწყვეტილების მიღების სისტემები - DSS (Decision Support System) წარმოადგენს სხვა ტიპის საინფორმაციო სისტემებს, რომლებშიც, საკმაოდ რთული შეკითხვების ბაზაზე, მონაცემთა ამორჩევა და ანალიზი სხვადასხვა ჭრილში ხდება: დროითი, გეოგრაფიული და სხვა მაჩვენებლებით. საინფორმაციო-საცნობარო სისტემების ფართო კლასის საფუძველს ჰიპერტექსტური დოკუმენტები და მულტიმედია წარმოადგენს. ასეთი ტიპის საინფორმაციო სისტემებმა ყველაზე დიდი გავრცელება პოვა ინტერნეტის ქსელში. საოფისე საინფორმაციო სისტემების კლასის მიზანია ქაღალდზე არსებული დოკუმენტების ელექტრონული სახით წარმოდგენა, საქმის წარმოების ავტომატიზაცია და დოკუმენტთა ბრუნვის მართვა. შენიშვნა. უნდა აღინიშნოს, რომ საინფორმაციო სისტემების კლასიფიკაცია, გამოყენების სფეროს მიხედვით, საკმაოდ პირობითია. მსხვილ საინფორმაციო სისტემებს ხშირად ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისება აქვს. ამის გარდა, ხშირად, კორპორატიული საინფორმაციო სისტემების შემადგენელი სხვადასხვა ქვესისტემა გამოყენების სხვადასხვა სფეროს მიეკუთვნება. [39]

ორგანიზაციის წესის მიხედვით ჯგუფური და კორპორატიული საინფორმაციო სისტემები შემდეგი ტიპის კლასებად იყოფა:

- სისტემები ფაილ-სერვერის არქიტექტურის საფუძველზე;
- სისტემები კლიენტ-სერვერის არქიტექტურის საფუძველზე;

- სისტემები მრავალდონიანი არქიტექტურის საფუძველზე;
- სისტემები Internet/Intranet-ტექნოლოგიების საფუძველზე.

მიხედვით ნებისმიერ საინფორმაციო სისტემაში შეიძლება გამოიყოს აუცილებელი ფუნქციონალური კომპონენტები, რომლებიც სხვადასხვა არქიტექტურის საინფორმაციო სისტემის შეზღუდვების გაგებაში მოგვეხმარება. [19]

მონაცემთა ბაზების მომსახურე პერსონალს უწევს ბაზაში ახალი ინფორმაციის დამატება, საჭირო მოთხოვნის შედგენა და მონაცემთა სწრაფი ძებნა, სხვა და სხვა ტიპის ფორმების აგება, შედეგების რაპორტირება, გადაგზავნა, იმპორტი და ექსპორტი ბაზაში; ხშირ შემთხვევაში საინფორმაციო ბაზების აგება და მონაცემთა სტრუქტურის განსაზღვრა.

ამჟამად, უფრო ფართოდაა გავრცელებული რელაციური მბმს-ები. ობიექტზე ორიენტირებული მბმს-ის (ObjectStore, Objectivity, O2, Jasmin) აშკარა მიმზიდველობისა და მზარდი პოპულარობის მიუხედავად, ჯერჯერობით ის რელაციური მონაცემთა ბაზები ფლობენ უპირატესობას, რომლებიც კარგადაა გამართული, განვითარებული, თანმდევი სისტემებით და რომლებიც SQL-92 სტანდარტს აკმაყოფილებენ (ასეთ სისტემებს მიეკუთვნება, მაგალითად, Oracle, Informix, Sybase, DB2, MS SQL Server). [18]

3.2. მონაცემთა ბაზების მათრვის სისტემა oracle-ის არქიტექტურის ძირითადი ელემენტები

Oracle (Oracle Corporation) - ამერიკული კომპანია, მსოფლიოს უდიდეს ორგანიზაციების პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერი.


კომპანია სპეციალიზირებულია მონაცემთა ბაზის მართვის სისტემებისა და პროგრამული უზრუნველყოფის კავშირებზე და ბიზნეს-პროგრამებზე. კომპანიის ყველაზე ცნობილი პროდუქტია - Oracle Database, რომელსაც კომპანია აწარმოებს თავისი დაარსებიდან.

კომპანია დაარსდა 1977 წელს. გააჩნია ფილიალები 145 ქვეყნებში.

განვიხილოთ Oracle Database სისტემის არქიტექტურა

მონაცემთა ბაზა - არის მონაცემთა ორგანიზებული ერთობლიობა, რომელიც ინახება მონაცემთა ფაილებში. [28]

ეგზემპლარი - ესაა პროცესებისა და კომპიუტერის



მესსიერების არეები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემებთან მიმართვას.

ნახ. 6. Oracle Database სისტემის არქიტექტურა

მონაცემთა ფაილებში ინახება საწყისი და გაანგარიშებადი (რელაციურად დაკავშირებული) მონაცემები, რომლებიც მოთავსებულია ცხრილებში, ინდექსურ ფაილებსა და წარმოდგენებში. როგორც ყველა თანამედროვე მონაცემთა ბაზების სისტემა, Oracle-ც უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზაში ე.წ. შენახვადი პროცედურების (Stored Procedures) განთავსებას, რომელიც მაკროსების და ქვეპროგრამების სახითაა წარმოდგენილი. [28]

პროცესები ოთხი კატეგორიითაა წარმოდგენილი:

- ✓ მომხმარებელთა მოთხოვნების დამუშავების პროცესები;
- ✓ მონაცემთა ჩაწერის პროცესები ფაილებში;
- ✓ ტრანზაქციების ჟურნალში რეგისტრაციის პროცესები;
- ✓ მონაცემთა ბაზის მუშაობის კონტროლის პროცესები.

მეხსიერების არეები (ოპერატიულ მეხსიერებაში) შემდეგი კომპონენტებით ხასიათდება:

- პროგრამული კოდის არეები (თვით Oracle -ბაზის კოდი);
- სისტემური გლობალური არე SGA - System Global Area. აქ ინახება საერთო გამოყენების ინფორმაცია ყველა მომხმარებლის პროცესებისათვის. მაგალითად, განახლების ჟურნალის ბუფერი, სტანდარტული - ხშირად გამოყენებადი მოთხოვნები, მონაცემთა ლექსიკონი, ცხრილებითა და წარმოდგენებით და ა.შ.;
- პროგრამის გლობალური არე PGA - Program Global Area. შეიცავს ინფორმაციას ცალკეული მომხმარებლის პროცესისათვის (ანუ მომხმარებლის სეანსის შესახებ, მისი Oracle -სთან მიერთების შემდეგ). [28]
- მოწესრიგების არეები (მაგალითად, მონაცემთა სორტირებისათვის).

მომხმარებელთა პროგრამული დანართები მაგნიტური დისკოებიდან ამოარჩევს და მეხსიერების არეებში განალაგებს მისთვის საჭირო მონაცემთა და პროგრამულ ფრაგმენტებს, ასევე გარდაქმნის და ჩაწერს მათ უკან, დისკზე. Oracle -ს პროცესები უზრუნველყოფს დისკოებთან მეხსიერების არეების მიმაგრებას და მათ მართვას.

Oracle-ს პროცესები იყოფა ძირითად და არააუცილებელ პროცესებად. პირველი მოიცავს ფუნქციებს, რომლებიც უშუალოდ მონაცემთა ბაზის მუშაობისთვისაა აუცილებელი. მეორე კი - ისეთ ფუნქციებს, რომლებიც დამხმარე ხასიათისაა, მაგალითად, მწარმოებლურობის გაზრდა, არქივირება, მონაცემთა აღდგენა, პარალელური მოთხოვნების შესრულება და ა.შ. [28]

Oracle -ს ეგზემპლიართან მიმართებაში განიხილავენ მის ოთხ ძირითად პროცესს:

1) სისტემის მონიტორი (SMON). მისი დანიშნულებაა Oracle - ეგზეკუციის მზადყოფნის მდგომარეობის უზრუნველყოფა.

იგი გააქტიურდება სამ შემთხვევაში:

- Oracle -ეგზეკუციის ამუშავებისას აღმოჩნდება, რომ მისი წინა სეანსი არ იყო სწორად დასრულებული ((shutdown - მსგავსად) და დარჩენილია დაუმთავრებელი ტრანზაქციები ან ძველი მონაცემებისგან გაუწმენდავი მეხსიერების არეები;
- ეგზეკუციის მუშაობის პროცესში SMON პერიოდულად ამოწმებს, ხომ არაა დარჩენილი დროებითი, არასაჭირო სეგმენტები. მათი წაშლით თავისუფლდება ოპერატიული მეხსიერება ახალი მოთხოვნებისათვის. SMON უზრუნველყოფს აგრეთვე ფრაგმენტაციის ამოცანის გადაწყვეტასაც. პარალელური სერვერის გარემოში კომპიუტერის ან ეგზეკუციის მუშაობის ავარიულად დასრულების შემდეგ საჭიროა ამ ეგზეკუციის აღდგენა.

SMON-ს აქვს ასეთი საშუალება, იგი სპეციალურ მონაცემთა ბაზის ფაილში ინახავს ეგზეკუციის მუშაობის პროცესის ისტორიას; [28]

- სისტემის მონიტორი გააქტიურდება, თუ მას მიმართავს სხვა პროცესები. მაგალითად, მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის ჩაწერის პროგრამას სჭირდება მეხსიერების სეგმენტები და მან ეს უნდა მიიღოს SMON -ის დახმარებით.

2) პროცესების მონიტორი (PMON). იგი ემსახურება სისტემის გაწმენდას პროცესების დამთავრების შემდეგ. კერძოდ მას შეუძლია:

- პროცესის იდენტიფიკატორის წაშლა;
- აქტიური ტრანზაქციების ცხრილიდან შესაბამისი სტრიქონების წაშლა;
- პროცესთან დაკავშირებულ ბლოკირებათა მოხსნა;
- პროცესთან დაკავშირებული კემ-ელემენტების მოხსნა.

3) მონაცემთა ბაზის ჩაწერის პროცესი (DBWR). ეს ინსტრუმენტი ემსახურება კემ-მეხსიერების ბუფერში მოდიფიცირებული ჩანაწერების გადაგზავნას ვინჩესტეზე შესაბამის მონაცემთა ფაილში. ბუფერის

გათავისუფლება ხელს უწყობს ახალი მოთხოვნებისათვის მეხსიერების გამოყოფას. სისტემაში განსაზღვრული უნდა იყოს წინასწარ, თუ რომელი მონაცემთა ფაილები იქნეს დიდხანს დატოვებული ბუფერში (მაგალითად, ისეთი მონაცემები, რომელთა გამოყენების სიხშირეც მაღალია) და რომელი გადაიგზავნოს დისკზე (ერთჯერადი ან იშვიათად გამოყენების ფაილები). სწორედ DBWR-ის ფუნქციაა განსაზღვროს, თუ რომელი ფაილები გადაწეროს

ბუფერიდან დისკზე. [28]

4) ჟურნალის ჩაწერის პროცესი (LGWR). მონაცემთა ბაზის მიერ ხდება შესრულებული ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციის დაფიქსირება განახლების ჟურნალის ბუფერში. LGWR -ს საშუალებით ეს მონაცემები ჩაიწერება დისკზე განახლების ჟურნალის ფაილის სახით. ასეთი ჟურნალის ფაილი საჭიროა მონაცემთა ფაილის აღსადგენად მისი სრული დაზიანების შემთხვევაში. ამგვარად, ეს ინსტრუმენტი უზრუნველყოფს სისტემის საიმედოობას. მონაცემთა ბაზის ობიექტებია: ცხრილები, ინდექსები, წარმოდგენები, სინონიმები, მიმდევრობითობები, დანაყოფები, კლასტერები, შენახვადი პროცედურები და პაკეტები, მომხმარებელთა მონაცემთა ტიპები, ცხრილური სივრცეები და შეზღუდვები. [28]

მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის შენახვის ძირითადი კომპონენტი არის ცხრილი (Tables). იგი შედგება რეალური ობიექტის (არსის) ატრიბუტებისა (ველების) და სტრიქონებისაგან (ჩანაწერებისაგან). ატრიბუტთა მნიშვნელობათა (მონაცემთა) ტიპები Oracle ბაზაში მრავალფეროვანია, რიცხვითი, სტრიქონული, თარიღის, ლოგიკური, აუდიო-ვიზუალური და სხვ.

ინდექსი (Index) არის მოწესრიგებულ მონაცემთა სია, რომელიც ცხრილის სახით რამდენიმე სვეტითაა წარმოდგენილი. მონაცემთა ბაზის მომხმარებელი გარკვეული კრიტერიუმით ეძებს მონაცემთა ჩანაწერებს. ეს კრიტერიუმი შეიძლება შედგებოდეს ერთი ან მეტი სვეტისგან (ან მათი კონკრეტული მნიშვნელობებისგან).

ძირითადი იდეაა - ძეგნის პროცესის დროის შემცირება ინდექსის საფუძველზე. ანუ წინასწარ მოწესრიგებული ინდექსის ცხრილში გადაისინჯება არა ყველა ჩანაწერი, არამედ მხოლოდ მითითებული კრიტერიუმისა. თუ ასეთი ჩანაწერი ნაპოვნია, მაშინ აქედან ხდება მიმართვა უშუალოდ შესაბამის მონაცემთა ცხრილის (Table) კონკრეტულ ჩანაწერზე.

წარმოდგენა (Views) არის ერთი ან რამდენიმე ცხრილიდან გარკვეული კრიტერიუმით ამორჩეული სტრიქონების ერთობლიობა. სტრიქონთა დუბლირება გამორიცხულია.

სინონიმი (Synonym) არის მომხმარებლის მიერ ცხრილის ან წარმოდგენისათვის ფსევდონიმის შერჩევა, რომლითაც ის მომავალში გამოიყენებს მათ. შეიძლება ცხრილი ეკუთვნოდეს სხვა მომხმარებელს, მაშინ მასთან მიმართვისას უნდა მოხდეს მომხმარებლის სახელის და ცხრილის სახელის მითითება. არსებობს ორი სახის, კერძო და საერთო გამოყენების სინონიმები.

შენახვადი პროცედურები არის პროგრამების (პროცედურების) მონაცემთა ბაზაში შენახვის ხერხი. ჩვენს შემთხვევაში PL/SQL ენაზე დაწერილი სცენარები (პროგრამები) შეგვიძლია შევინახოთ Oracle-ს ბაზაში. ასეთი შენახვადი პროცედურების ერთობლიობა თავსდება პაკეტში. [28]

კლასტერი (Clusters) არის ცხრილთა ჯგუფი, რომელთა შენახვა მიზანშეწონილია ერთად, ვინაიდან აქვთ ზოგიერთი ერთნაირი სვეტი და ხშირად საჭიროა მათი გაერთიანება მომხმარებელთა მოთხოვნებში.

Oracle - პროგრამული პაკეტის ახალი ვერსიები (მე-8 და უფრო მაღალი) თვითონ წყვეტს ამ პრობლემას და მომხმარებელს ნაკლებად უხდება მასზე ფიქრი. ამიტომ აქ მეტს აღარ განვიხილავთ.

3.3. oracle-ის უნიკალური ტექნოლოგიები

დღევანდელი დღისთვის მონაცემთა ბაზების გამოყენებადი მართვის სისტემებია:


- Oracle
- Ibm db2 udb
- Microsoft sql server
- Mysql
- Postgreedb
- Firebird

და სხვა

არჩევანი შევაჩერე მონაცემთა ბაზების მართვის სისტემება Oracle-ზე. ეს არჩევანი განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა.

- Oracle ყველაზე სწრაფია;
- მისი მართვა გამოირჩევა სიმარტივით;
- Oracle ძნელია მწყობრიდან გამოიყვანო ან გატეხო;
- ინტელექტუალურია;
- განვითარებადია;

Oracle წლებია ამ სიის სათავეში დგას. [38]



ნახ. 7. მონაცემთა ბაზების გამოყენებადი მართვის სისტემების წილი გლობალურ ბაზარზე

ამასთან ერთად Oracle-ში შეგიძლია შექმნა მძლავრი, თანამედროვე პორტალები, ინტეგრირება გაუკეთო სხვადასხვა სახის დანართებს და შექმნა ერთიანი სისტემა. გაიცვალოს მონაცემები არც ისე საიმედო ქსელით.

შეიქმნას მობილური, ანალიტიკური დანართები, ინფორმაციის საცავი, მაღალი დაცვის საიმედოობით, კოლექტიური სამუშაოსათვის ამ სისტემით შეუძლია ისარგებლოს საწარმოს ყველა მუშაკმა.


მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების Oracle-ის პირველი ვერსია გამოჩნდა 1979 წელს. მას შემდეგ Oracle ვითარდებოდა, ხდებოდა უფრო სწრაფი, საიმედო და მოსახერხებელი მომხმარებლისათვის. ფაქტობრივად, კონკურენტი მონაცემთა ბაზის მართვის სისტემების სფეროში იმეორებენ მისი განვითარების გზას, ნერგავენ იმ ტექნოლოგიებს, რომლების Oracle Database წლების უკან დანერგა წარმატებით.

Oracle-მა ამ წლების განვლობაში დანერგა მინიმუმ 4 ტიპის უნიკალური ტექნოლოგიები, რითაც უზრუნველყო კონკურენტული უპირატესობა. ის ფაქტი, რომ Oracle Database აღიარებული ლიდერია პროგრამული უზრუნველყოფის ინდუსტრიაში, მოწმობს წამყვანი ანალიტიკური ფირმის IDC-ს მონაცემები, საიდანაც წამყვან კომპანიად მონაცემთა ბაზის დაპროექტებასა და მართვაში აღიარა Oracle. რომლის წილი მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების გლობალურ ბაზარზე შეადგინდა 26.3%-ს.

Oracle-ის მიერ შექმნილმა პროდუქტმა გაყიდვებით გაუსწრო ისეთ სერიოზულ ფირმებს, როგორცაა IBM-ს, Microsoft-ს.

ამ პროდუქტის ტექნოლოგია აღიარეს უნიკალურად. [38]

ტექნოლოგია **Real Application Cluster, (RAC)** გამოჩნდა Oracle-ის 9 ვერსიაში, რომელიც საშუალებას იძლევა სერვერის მონაცემთა ბაზების მომხმარებელს გააერთიანებს ერთ დიდ მონაცემთა ბაზად, რომელიც საშუალებას იძლევა ორი ძირითადი მიზნის მისაღწევად:



ნახ. 8. ტექნოლოგია **Real Application Cluster**, (RAC)

1. სისტემის წარმოებლობის ამალღდება შესაძლებელია ახალი მოწყობილობის დამატებით, უფრო მძლავრი მოწყობილობის გამოცვლის გარეშე. სისტემის წარმოებლობა პროპორციულად მაღლღდება ჩართული ქსელის სიმძლავრიდან გამომდინარე.
2. გაზრდილია სიმტკიცე მონაცემთა ბაზისა, ერთ-ერთი სერვერის მწყობრიდან გამოსვლის ან დაგეგმილი გამორთვისას. მონაცემთან ბაზა სრულღვასოვნად ინარჩუნებს მუშა მდგომარეობას.

მსგავსი ტექნიკის რეალიზება მოხდა Microsoft SQL Server 2008, მაგრამ არის ერთი მთავარი განსხვავება: Microsoft Application Cluster აუმჯობესებს სიმტკიცეს სისტემისას მთლიანად, მაგრამ არა წარმოებლობას.

ერთი სიტყვით, RAC გამოყენებით შესაძლებელია სისტემის მუშაობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება, რომელმაც მიაღწია „ფიზიკურ მაქსიმალურ ზედა ზღვარს“ , ასე რომ მასზე დახარჯული თანხები გარანტიას იძლევა მტკიცე, გამძლე, საიმედო სისტემისას, რაც აუცილებელი და მნიშველოვანია ქვეყნის ეკონომიკაში.

Real Application Testing (RAT) ტექნოლოგია მნიშვნელოვნად ამცირებს პროგრამულ ან ტექნიკურ უზრუნველყოფის ხარჯებს არსებული კონფიგურაციის დაგეგმილი ცვლილებებისას. [38]



ნახ. 9. Real Application Testing (RAT) ტექნოლოგია

არსი Rat ტექნოლოგიისა მდგომარეობს იმაში, მონაცემთა ტექსტური ბაზა იმ ფორმით გამოდის ეკრანზე, რა ფორმითაც ჩაიტვირთა სამუშაო სერვერზე.

Active Data Guard ეს ტექნოლოგია საშუალებას გვაძლევს შექმნათ სარეზერვო სერვერზე ძირითადი მონაცემთა ბაზა ყველა ცვლილებებით, რომელიც განხორციელდა ძირითად სერვერზე. გამოდის, დასაქმდება მინიმუმ ორი სერვერი: ძირითადი და სარეზერვო. [38]

ეს ტექნოლოგია საშუალებას იძლევა ჩაირთოს სარეზერვო სერვერი ძირითადი სერვერის უნებლიე (მწყობრიდან გამოვიდა) ან დაგეგმილი გამორთვისას, მომხმარებლები ავტომატურად გადაერთვებიან და აგრძელებენ მუშაობას სარეზერვო სერვერზე.

ტექნოლოგია მარტივია დაყენება-განხორციელებისთვის და განთავსება-აღჭურვილობაზე არ მოითხოვს დიდ ხარჯებს. ფიზიკურად, სარეზერვო სერვერი შეიძლება მდებარეობდეს სხვა შენობაში ან თუნდაც სხვა ქალაქში. ყველაფერი რაც არის საჭირო - ეს არის საერთო ქსელის კავშირი ორ სერვერზე.

თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ მრავალი სარეზერვო სერვერები.

რა უპირატესობები აქვს ამ ტექნოლოგიის გამოყენებას?

პირველი, აშკარა - საიმედოობა. იზრდება მონაცემთა ბაზის სიცოცხლისუნარიანობა და სიტკიცე;


მეორე, განტვირთვა ძირითადი სერვერისა. standby (თვლემის რეჟიმი) სარეზერვო სერვერის დახმარებით, სხვადასხვა ანგარიშებისაგან და სხვა ოპერაციებით <read-only>;

მესამე, დაგეგმილი გამორთვა ძირითადი სერვერისა. მაგალითად, განახლებების შესატანად, რაც გავლენას არ მოახდენს მომხმარებლების მუშაობაზე. [28]

მსგავსი ტექნიკოლოგია ხორციელდება DB2 და MS SQL Server-ში, მაგრამ Oracle Data Guard განსხვავდება რეალიზაციის და სარეზერვო სერვერთან მუშაობის სიმარტივით, ასევე მხარდაჭერა სხვადასხვა რეჟიმების სინქრონისა ძირითად და სარეზერვო სერვერებზე.

Total Recall არსი ამ ტექნოლოგიისა მდგომარეობს, იმაში რომ შესაძლებლობას იძლევა განტვირთოს მონაცემთა ბაზის ინფორმაცია მოძველებული ინფორმაციისაგან, მაგრამ ეს ინფორმაცია უნდა იყოს შენახული, ხელმისაწვდომი ბიზნესის და მაკონტროლებელი ორგანოების მოთხოვნებიდან გამომდინარე. [38]

Total Recall გაძლევთ საშუალებას განიტვირთოს მონაცემთა ბაზის ცხრილებში დაგროვილი იმ ინფორმაციისაგან, რომელიც იშვიათად გამოიყენება. ეს შესაძლებელია შეასრულო ნორმალური SQL მოთხოვნით და მიიღოს ასეთი ინფორმაცია ნებისმიერ დროის მონაკვეთზე, ანუ არ არის




საჭირო ამისათვის არსებული პროგრამის ცვლილება, რომელიც მუშაობს ბაზაზე. გარდა ამისა იგი უზრუნველყოფს შეუხებლობას და უცვლელობას ისტორიულ მონაცემებზე და იცავს მათ გაყალბებისაგან. მსგავსი ან ანალოგიური ტექნოლოგია არცერთ მონაცემთა ბაზების მართვის სისტემებს არ გააჩნია. [28]

ნახ. 10. **Total Recall** ტექნოლოგია

In Memory Database Cache უნიკალური ტექნოლოგია განხორციელებულია არსებული მონაცემთა ბაზის Oracle TimesTen in memory database საფუძველზე. [38] ეს ტექნოლოგია იძლევა შესაძლებლობას დააჩქაროს დამუშავების ოპერაციები და გაცემის მოთხოვნა მეტი ბრძანების მასშტაბებით (ანუ 10 ჯერ ვიდრე ჩვეულებრივი Oracle-ს). ეს მონაცემთა ბაზა ორიენტირებულია მონაცემთა დამუშავებისა და შენახვაზე მხოლოდ სერვერის ოპერატიულ მეხსიერებაში.

დაწყებული Oracle მე -10 ვერსიიდან Oracle TimesTen მოქმედებს, როგორც შუამავალი კლიენტის განაცხადს და Oracle მონაცემთა ბაზას შორის. ამ შემთხვევაში, TimesTen ახორციელებს ულტრასწრაფი მონაცემების cache ფუნქციებს, იღებს და ამუშავებს ოპერაციებს და გადაცემს დამუშავებულ მონაცემებს შესანახად Oracle-ის მონაცემთა ბაზას. [28]




ნახ. 11. **In Memory Database Cache** უნიკალური ტექნოლოგია

ეს არქიტექტურა საშუალებას იძლევა გავზარდოთ და გავაფართოვოთ შესაძლებლობები Oracle მონაცემთა ბაზისა. ფაქტობრივად, ასეთი არქიტექტურის მქონე Oracle მონაცემთა ბაზა შეძლებს ნებისმიერი ტრანსაქციურს დატვირთვას.

Automatic Storage Management (ASM) ტექნოლოგიებს მოაქვს ფუნდამენტურად ახალი კონცეფცია. სერვერის მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების დისკის ქვესისტემები. არსი ამ ტექნოლოგიისა არის ის რომ, სერვერის მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების დისკის ქვესისტემის ფორმირება ხდება თქვენს ხისტ დისკზე განლაგებული ფაილებიდან გამომდინარე.

ამ ტექნოლოგიის მართვა არ არის ფაილი დისკზე, არამედ დანაყოფი დისკზე რომელიც ფაილური სისტემისათვის არის დაფორმატებული, ხოლო თუ თქვენ იყენებთ ერთზე მეტი ხისტ დისკს ხდება დაჯგუფება დისკებისა, ან RAID-მასივებად იქმნება, ეს დისკები გაერთიანებულია ASM ჯგუფად და გამოიყურება როგორც ერთი ხისტი დისკი. [38]



ნახ. 12. **Automatic Storage Management (ASM)** ტექნოლოგიები

ამ ამოცანის გადაწყვეტას, ოპტიმალურ შესრულებას ახორციელებს არა სისტემური ადმინისტრატორი არამედ ASM. ასევე წყდება პრობლემა საიმედოობის უზრუნველყოფის გადაჭარბებული შენახულ მონაცემებიდან გამომდინარე. ამ ბოლოს არეგულირებს სისტემის ადმინისტრატორი. რაც გვაძლევს საშუალებას ამოვიღოთ და დავამატოთ ხისტი დისკები მონაცემთა ბაზისათვის, ASM მარტივი ოპერაციების დახმარებით. [38]

ASM - ეს ცალკე ტექნოლოგია, ანუ ცალკე პროგრამული პაკეტი, რომელიც არ არის დაკავშირებული მონაცემთა ბაზების მართვის სისტემებთან, აქედან ASM შეუძლია მოემსახუროს მრავალ მონაცემთა ბაზას.

ამ ტიპის გადაწყვეტილებები სხვა მონაცემთა ბაზების მართვის სისტემებში არა არსებობს. თუმცა, ძნელია დავა იმაზე რომ მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები, რომელიც იყენებს ASM -ს პროდუქტიული და გამარტივებულია და შესაბამისად უფრო საიმედოა. [38]

ამასთან ერთად Oracle-ში შეგიძლია შექმნა მძლავრი, თანამედროვე პორტალები, ინტეგრირება გაუკეთო სხადასხვა სახის დანართებს და შექმნა ერთიანი სისტემა. გაიცვალოს მონაცემები არც ისე საიმედო ქსელით. შეიქმნას მობილური, ანალიტიკური დანართები, ინფორმაციის საცავი, მაღალი დაცვის საიმედოობით, კოლექტიური სამუშაოსათვის ამ სისტემით შეუძლია ისარგებლოს საწარმოს ყველა მუშაკმა. [28]

Oracle Database – ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება ნებისმიერი ანგარიშების მისაღებად, არარეგლამენტირებული მოთხოვნების ფორმირებისთვის და მონაცემთა ანალიზისთვის; Oracle Data Mining – სისტემა კანონზომიერებების ავტომატური ძიებისთვის; Oracle Olap – ტექნოლოგია მრავალზომიერი ანალიზისთვის; Oracle Warehouse Builder– მრავალფუნქციური CASE-

გარემო კორპორატიული მონაცემთა საცავების შექმნისათვის და სხვა. [28]

სხვათაშორის ეს Oracle -ის სხვა პროდუქტები, საქართველოში საკმაოდ პოპულარულია და მისი მომხმარებლები არიან როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში. "დღეს საქართველოში არსებული მსხვილი კორპორაციების უმეტესობა სწორედ Oracle-ის პროდუქციის მოხმარებელია. მათ შორის არიან ისეთი მსხვილი კომპანიები, როგორცაა: "მაგთი", "ჯეოსელი", ფინანსთა სამინისტროს დიდი ნაწილი და სხვა.

ასევე გასული წლის დასასრულს Oracle -ის ტექნოლოგიების ბაზაზე კიდევ ერთი მსხვილი პროექტი UGT-იმ საგადასახადო დეპარტამენტში განახორციელა, კერძოდ, Oracle -ის ტექნოლოგიების ბაზაზე ლიცენზირების საბაჟო-საგადასახადო სია შეიქმნა.

სხვათაშორის, საქართველოს ბაზარზე Oracle -ის პირველ ოფიციალურ შემოსვლას წინ ამ ბაზრის საფუძვლიანი კვლევა უძლოდა. ამ კვლევის შედეგად კი უკვე შესაძლებელია იმის თქმა, რომ ჩვენს ქვეყანაში Oracle-ის პროდუქცია დიდი პოპულარობით სარგებლობს, ამასთან, საქართველოში Oracle-ის გაყიდული პროდუქციის 90% სწორედ მონაცემთა ბაზებზე მოდის. "დღეისათვის ყველაზე დიდი მოთხოვნა საქართველოს IT ბაზარზე Oracle -ის მონაცემთა ბაზებზეა, თუმცა ბაზრის ცვალებადობასა და დინამიურ ზრდასთან ერთად მოთხოვნებიც იზრდება, ამიტომ ვფიქრობთ, ძალიან მალე სხვა სფეროებსაც დაფარავს.

ინფორმაციის მართვისთვის პროგრამული უზრუნველყოფის მსოფლიოში უმსხვილეს მიმწოდებელსა და მწარმოებელს აქვს სამი ძირითადი მიმართულება:

1. მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები - Oracle Database;
2. დამაკავშირებელი პროგრამული უზრუნველყოფის კომპლექსი - Oracle Fusion Middleware;
3. სრულადფუნქციონალური ბიზნეს-დამატებების ერთობლიობა – Oracle Applications.

თავის პროდუქციას კორპორაცია მსოფლიოს 145 ქვეყანაში ყიდის. მისი ტექნოლოგიები მთელ მსოფლიოში 275 000-ზე მეტ ორგანიზაციაში გამოიყენება. 2006 წელს მისმა გაყიდვების წლიურმა ბრუნვამ 12 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შევუწყოთ საქართველოში მოქმედ როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ორგანიზაციებს, იმ პროცესების და სისტემების დანერგვაში, რაც მათ დაეხმარება ბიზნესის ეფექტიანობის ამაღლებაში. Oracle-ის პროდუქტები და გადაწყვეტილებები განკუთვნილია არა მარტო ათი სპეციალისტებისათვის, არამედ, პირველ რიგში, ბიზნეს-მენეჯრებისათვის დარწმუნებულნი ვარ, რომ Oracle-ის გადაწყვეტილებების ფართო გავრცელება, უზრუნველყოფს ქვეყანაში წარმოების დინამიურ ზრდას.

თავი 4. საგარეო ვაჭრობის რეჟიმების იმპორტ-ექსპორტის ინფორმაციული უზრუნველყოფა

4.1. ეკონომიკური საინფორმაციო სისტემის მართვა

მსოფლიოში, ყოველწლიურად მონაცემების რაოდენობა ორჯერ იზრდება. მიუხედავად იმისა, რომ იგი შეიძლება გადავაცვიოთ საჭირო ინფორმაციად, სარგებელი ცოტაა, რადგან ინფორმაცია თავისი უზარმაზარი მოცულობისა და ქაოტურობის გამო ვერ გამოდგება გადაწყვეტილებათა მიღებისას. ბიზნეს-ინტელექტისა და მონაცემთა საცავების საშუალებები მოწოდებულია საჭირო ინფორმაციისა და მონაცემების მოსაპოვებლად. რა თქმა უნდა ისინი ვერ შეძლებენ ადამიანის სრულ შეცვლას, თუმცა დიდ როლს თამაშობს დროული და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებისას.

ეკონომიკური ინფორმაციის მონაცემთა ბაზად გადაქცევა და მისი საჭიროებისამებრ მართვა აუმჯობესებს არაფორმალურ გადაწყვეტილებათა მიღებას.

საინფორმაციო ტექნოლოგიები (საშუალებები და მეთოდები) კი, ინფორმაციის კონსოლიდაციის და ბიზნეს-მომხმარებელთა წვდომას უზრუნველყოფს.

მონაცემთა ბაზების საინფორმაციო სისტემა აუცილებელი ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გადამუშავებისა და გაცემის, მართვის ფუნქციას ახორციელებს. ეკონომიკური სისტემის მართვის პროცესი, როგორც სისტემის ელემენტებზე მიზნის მისაღწევად მიზანმიმართული ზემოქმედება, შეიძლება ინფორმაციული პროცესის სახით წარმოვადგინოთ, რომელიც გარემოს, მართვის ობიექტსა და მართვის სისტემას ერთმანეთთან აკავშირებს. ამასთან, გარემო და მართვის ობიექტი ინფორმაციას უგზავნის მართვის სისტემას, მისი მდგომარეობის შესახებ. მართვის სისტემა მიღებულ ინფორმაციას აანალიზებს, მართვის ობიექტზე

მმართველ ზემოქმედებას გამოიმუშავებს, პასუხობს გარემოს ზემოქმედებაზე და საჭიროების შემთხვევაში, მთელი სისტემის მიზნისა და სტრუქტურის მოდიფიკაციას ახდენს. [18] საინფორმაციო სისტემის ინფორმაციული ნაკადები, რომლებიც ერთმანეთთან გარემოს, მართვის ობიექტსა და მართვის სისტემას აკავშირებს შემდეგია:

– ინფორმაციული ნაკადი მიმართული გარედან მართვის სისტემაში, რომელიც ერთი მხრივ არის კანონის სახით სახელმწიფო დაწესებულებების მიერ შექმნილი ნორმატიული ინფორმაციის ნაკადი, ხოლო მეორე მხრივ – კონკურენტების მიერ შექმნილი ბაზრის კონიუნქტურის, მომხმარებლების, მიმწოდებლების ინფორმაციული ნაკადი. [18]

– ინფორმაციული ნაკადი მიმართული მართვის სისტემიდან გარეთ, სახელდობრ საანგარიშო ინფორმაცია: არის უპირველეს ყოვლისა საფინანსო ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოებში, ინვესტორების, კრედიტორებისა და მომხმარებლებისათვის; მარკეტინგული ინფორმაცია პოტენციური მომხმარებლებისათვის;

– ინფორმაციული ნაკადი მიმართული მართვის სისტემიდან მართვის ობიექტზე (პირდაპირი კიბერნეტიკული კავშირი), რომელიც გეგმური, ნორმატიული და განმკარგულებელი ინფორმაციის ერთობლიობაა და რომელიც სამეურნეო პროცესების განსახორციელებლადაა განკუთვნილი;

– ინფორმაციული ნაკადი მიმართული მართვის ობიექტიდან მართვის სისტემაში (უკუკიბერნეტიკული კავშირი), რომელშიც ეკონომიკური სისტემის მართვის ობიექტის მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ნედლეული, მასალები, ფულადი, ენერგეტიკული და შრომითი რესურსები, მზა პროდუქცია და შესრულებული მომსახურება) სამეურნეო პროცესების შესრულების შემდეგ აისახება. ეკონომიკურ სისტემაში მართვის ობიექტი არის ეკონომიკური

საქმიანობის მატერიალური ელემენტებისა (სამრეწველო საწარმოში: ნედლეული და საქონელი, მოწყობილობები, მზა პროდუქცია, მუშახელი და სხვ.) და სამეურნეო პროცესების (სამრეწველო საწარმოში: ძირითადი და დამხმარე წარმოება, მომარაგება, გასაღება და სხვ.) ქვესისტემა. მართვის სისტემა არის ეკონომიკური სისტემის სტრუქტურული განყოფილებების (მაგალითად, სამრეწველო საწარმოში: დირექცია, საფინანსო, საწარმოო, მომარაგება-გასაღების და სხვა განყოფილებები) ურთიერთშეთანხმებული მუშაობა და რომლებიც მართვის შემდეგ ფუნქციას ახორციელებენ [18]:

- დაგეგმვა არის ფუნქცია, რომელიც ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების მიზანს დროის სხვადასხვა პერიოდში განსაზღვრავს;
- აღრიცხვა არის ფუნქცია, რომელიც მართვის ობიექტის მდგომარეობას სამეურნეო პროცესების შესრულების შემდეგ ასახავს;
- კონტროლი არის ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება აღრიცხვის მონაცემების გადახრა გეგმური და ნორმატიული მონაცემებისაგან;
- ოპერატიული მართვა არის ფუნქცია, რომელიც ყველა სამეურნეო პროცესის რეგულირებას ახორციელებს, რათა განსხვავება გეგმურ და ნორმატიულ მონაცემებს შორის აღმოიფხვრას;
- ანალიზი არის ფუნქცია, რომლის საშუალებით შეიძლება ეკონომიკური სისტემის მუშაობასა და რეზერვს შორის ის ტენდენცია განვსაზღვროთ, რომელიც შემდგომში ახალი გეგმის შედგენის დროს გამოიყენება.

საინფორმაციო სისტემა აგროვებს, გადაამუშავებს შემოსულ საანგარიშო და არსებულ ნორმატიულ და გეგმურ ინფორმაციებს ანალიტიკურ ინფორმაციად, რომელიც შემდგომ ეკონომიკური სისტემის განვითარების პროგნოზირებისათვის, მისი მიზნების კორექტირებისა და კვლავწარმოების ახალი ციკლისათვის გეგმების შესადგენად გამოიყენება. საინფორმაციო სისტემებში ინფორმაციის დამუშავებას შემდეგი მოთხოვნები წარედგინება[19]:

- მართვის ფუნქციების რეალიზაციისათვის ინფორმაციის სისრულე და საკმარისობა;
- ინფორმაციის დროული წარმოდგენა;
- მმართველობის დონიდან გამომდინარე, ინფორმაციის საიმედოობის აუცილებელი ხარისხით უზრუნველყოფა;
- ინფორმაციის დამუშავების ეკონომიურობა: მონაცემების დამუშავებაზე გაწეული ხარჯები მიღებულ ეფექტს არ უნდა აღემატებოდეს;
- მომხმარებლის ინფორმაციული ცვალებადი მოთხოვნილებების მიმართ ადაპტურობა (შეგუებადობა).

საინფორმაციო სისტემებში ინფორმაციის დამუშავების ხასიათის შესაბამისად, ეკონომიკური სისტემის მართვის სხვადასხვა დონეზე (ოპერატიული, ტაქტიკური და სტრატეგიული), საინფორმაციო სისტემების შემდეგი ტიპები გამოიყოფა:

- მონაცემთა დამუშავების სისტემები (EDP – Electronic Data Processing);
- მართვის საინფორმაციო სისტემები (MIS – Management Information System);
- გადაწყვეტილების მიღების სისტემა (DSS – Decision Support System).

მონაცემების დამუშავების სისტემა სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვასა და ოპერატიულ რეგულირებას ასრულებს, გარემოსათვის სტანდარტულ დოკუმენტებს (ანგარიშები, ზედდებულები, საგადასახადო ვალდებულებები) ამზადებს. სამეურნეო პროცესების ოპერატიული მართვის ჰორიზონტი ერთიდან რამდენიმე დღემდე შეადგენს, ახდენს რეგისტრაციისა და ხდომილობის დამუშავების აღრიცხვას, მაგალითად, შეკვეთათა შესრულების გაფორმებას და მონიტორინგს, საწყობში მატერიალური ფასეულობის შემოსავალს და გასავალს, სამუშაო დროის აღრიცხვის ტაბელის წარმოებას და სხვ. ამ ამოცანებს იტერაციული, რეგულარული ხასიათი აქვს, უმუალოდ სამეურნეო საქმიანობის შემსრულებლების მიერ (მუშა, მეკუჭნავე, ადმინისტრატორი და სხვ.)

სრულდება და მკაცრად განსაზღვრული ალგორითმების შესაბამისად დოკუმენტების გაფორმებასა და გადაგზავნასთან არის დაკავშირებული. სამეურნეო ოპერაციების შესრულების შედეგების შეტანა მონაცემთა ბაზებში ეკრანული ფორმების საშუალებით ხდება. მართვის საინფორმაციო სისტემები მართვის ტაქტიკურ დონეზეა ორიენტირებული: სამუშაოს საშუალო ხანგრძლივობის დროით დაგეგმვა, ანალიზი და ორგანიზაცია რამდენიმე კვირის (თვის) განმავლობაში. მაგალითად, ნედლეულის მოწოდება, პროდუქციის გასაღების ანალიზი და დაგეგმვა, საწარმოო პროგრამების შედგენა. მოცემულ ამოცანათა კლასისათვის დამახასიათებელია საშედეგო დოკუმენტების ფორმირებისა და ამოცანის ამოხსნის მკაცრად განსაზღვრული ალგორითმის რეგლამენტირება (პერიოდული გამეორება). მსგავსი ამოცანების ამოხსნის შედეგები წარმოების სხვადასხვა სამსახურების ხელმძღვანელებისათვისაა (მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების, საამქროებისა და სხვა უფროსები) განკუთვნილი. ამოცანები ოპერატიული მონაცემების დაგროვებული ბაზის საფუძველზე ამოიხსნება. გადაწყვეტილების მიღების სისტემა ძირითადად გამოიყენება მართვის ზედა დონეებზე (ფირმის, წარმოების, ორგანიზაციის ხელმძღვანელობა), რომელთაც სტრატეგიული ხანგრძლივი მნიშვნელობა მთელი წლის ან რამდენიმე წლის განმავლობაში აქვთ. ასეთ ამოცანებს სტრატეგიული მიზნის ფორმირების, რესურსების მოზიდვის დაგეგმვის, დაფინანსების წყაროების და სხვა ამოცანები მიეკუთვნება. აღნიშნულ ამოცანებს, როგორც წესი, არარეგულარული ხასიათი აქვს. [18]

4.2. იმპორტისა და ექსპორტის რეჟიმების ინფორმაცია მონაცემთა ბაზის შესაქმნელად.

მონაცემთა ბაზები ბიზნესში სხვადასხვა მიზნებით გამოიყენება. უმეტესწილად ისინი მონაცემთა ბაზების შექმნის და კონკრეტული

ავტომატიზირებული მოქმედების ტექნოლოგიურ საფუძველს წარმოადგენენ. თუმცა ბიზნესის საინფორმაციო სისტემები არა მხოლოდ მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბების ეფექტური და ხელმისაწვდომი შესაძლებლობაა, არამედ ბიზნესის მიზნებით საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენების აქტუალურ და პერსპექტიულ საკითხს წარმოადგენს.

ინტერნეტმა ბიზნესისათვის საინტერესო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მისი მოძიებისთვის აუცილებელი დროის შემცირება განაპირობა. მონაცემთა ბაზები ბიზნესში სხვადასხვა მიზნებით გამოიყენება. მაგალითად, ვაჭრობაში, ტურიზმში და სხვა. თითოეულ სფეროს საინფორმაციო სისტემა ინფორმაციის მოწოდების და დაწესებულების ავტომატიზებულ მუშაობას უზრუნველყოფს. პროგრამა მიზნად ისახავს კონკრეტულ ეკონომიკური სფეროს ერთიანი საინფორმაციო სივრცის ჩამოყალიბებას.

საკითხის დაკვირვებული შესწავლისას ვლინდება მნიშვნელოვანი პრობლემა – არის ბიზნესის სფეროები, რომლებიც ნაკლებად არის პროგრამული გადაწყვეტილებების არსებობის მიუხედავად სრულფასოვანი.

ზემოჩამოთვლილის გარდა საყურადღებო და მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური სირთულეები. ბიზნესში საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბება უმეტესწილად ე.წ. „ავტომატიზებული სამუშაო ადგილების“ მიდგომით წარმოებს. ტერმინი „ავტომატიზირებული სამუშაო ადგილი“ პროგრამული უზრუნველყოფის გადაწყვეტილებას განმარტავს, თუმცა საწყისად მას უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა. ავტომატიზირებული სამუშაო ადგილის ჩამოყალიბება ჩვეულებრივ შემდეგნაირად წარმოებს: ამოირჩევა ზოგადი ამოცანა (მაგ.:ბუღალტრული აღრიცხვა), იგეგმება მონაცემთა ბაზა, იქმნება გადაწყვეტილება მასთან სამუშაოდ. როგორც წესი, გადაწყვეტილება რამოდენიმე ვერსიის სახით იქმნება – დირექტრისთვის, ბუღალტრებისთვის და ა.შ. ავტომატიზებული სამუშაო ადგილი სამუშაოს

ყველაზე შრომატევადი და საპასუხისმგებლო ნაწილი მონაცემების ერთიანობის უზრუნველყოფელი მექანიზმების, უსაფრთხოების ქვესისტემის და ბიზნესის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრირების, პერიფერიულ არესთან დაკავშირების და ა.შ. მექანიზმების შექმნას გულისხმობს.

მიზანშეწონილი არ არის ცალკეული ამოცანისთვის (მაგ.: საბუღალტრო, მარკეტინგული და ა.შ. ქვესისტემა) საკუთარი მონაცემთა ბაზის შექმნა. სასურველია ბიზნესში საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზის ისეთნაირად პროექტირება, რომ სასურველი ინფორმაცია ბიზნესმენებისათვის შესაბამისად ერთ მონაცემთა ბაზაში გროვდებოდეს. თუმცა ასეთნაირად ორგანიზებული მონაცემთა ბაზების რაოდენობა საინფორმაციო სისტემაში ცვალებადია და მომხმარებელთა ფუნქციური ჯგუფების რაოდენობით განისაზღვრება. აღსანიშნავია, რომ მონაცემთა ბაზაში მხოლოდ აქტუალური ინფორმაცია ინახება. გამოუყენებელი მონაცემები არქივის მონაცემთა ბაზაში განთავსდება. კონკრეტული ამოცანის გადაჭრისთვის შეიძლება მიღებული იყოს ან ობიექტურ-ორიენტირებულ ბირთვთან დაკავშირებული რელაციური მონაცემთა ბაზა, ან რეგისტრების სახელწოდებით ცნობილი სპეციალური წესით აგებული წარმოდგენები.

ბიზნეს საინფორმაციო სისტემა მაქსიმალურად შესაძლებელი წარმადობის პრაქტიკულ და რეალურ წინაპირობას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო სისტემის პროგრამული გადაწყვეტილება სისტემის ბირთვში ერთიან ლოგიკურ სტრუქტურად გაერთიანებული ფიზიკური მონაცემთა ბაზების ნებისმიერ რაოდენობას უნდა უზრუნველყოფდეს.

ეს საინფორმაციო სისტემები არა მხოლოდ მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბების ეფექტური და ხელმისაწვდომი შესაძლებლობაა, არამედ ბიზნეს-მიზნების საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენების აქტუალურ და პერსპექტიულ საკითხს წარმოადგენს.

მონაცემთა ბაზაში მხოლოდ აქტუალური ინფორმაცია ინახება. გამოუყენებელი მონაცემები არქივის მონაცემთა ბაზაში განთავსდება. კონკრეტული ამოცანის გადაჭრისთვის შეიძლება მიღებული იყოს ან ობიექტურ-ორიენტირებულ ბირთვთან დაკავშირებული რელაციური მონაცემთა ბაზა, ან რეგისტრების სახელწოდებით ცნობილი სპეციალური წესით აგებული წარმოდგენები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობა, საქმიანობის სახეების მიხედვით პირველ ადგილზეა ვაჭრობა, რომელიც ორიენტირებულია მეტწილად იმპორტზე და ნაკლებად ექსპორტზე.

საქართველოში ექსპორტ-იმპორტის კონტროლის მექანიზმების მრავალფეროვანია და არასისტემატიზირებულია.

საგარეო ვაჭრობის სუბიექტებისათვის ძნელია მისდიოს ხშირ ცვლილებებს, რაც თავის მხრივ იწვევს საზღვრებზე საქონლის გადაადგილებისას უამრავი ბარიერის წარმოშობას, როგორცაა გადასახდელების ოდენობები, საჭირო ლიცენზიები და ნებართვები, მათ მოსაპოვებლად საჭირო დოკუმენტაციის მომზადება, საქართველოში იმპორტირებული და ექსპორტზე გატანილი საქონლის შესახებ ინფორმაცია დასახელების და ქვეყნების მიხედვით. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე აქტუალურად მიგვაჩნია სიღრმისეულად იქნას შესწავლილი საგარეო ვაჭრობის რეგულირების მოქმედი სატარიფო მექანიზმები. ამ საკითხის უდიდეს პრაქტიკულ ასპექტად შეიძლება ჩაითვალოს საინფორმაციო სისტემის შექმნა, რაც საშუალებას მისცემს საგარეო ვაჭრობის სუბიექტებს წინასწარ მიიღონ ინფორმაცია კონკრეტულ საქონელზე დაწესებული საგადასახადო განაკვეთების, საჭირო ნებართვების, ლიცენზიების, მათი მოპოვების პროცედურების თაობაზე, სტატისტიკური ინფორმაცია ცალკეული სასაქონლო სახეობების მიხედვით და ქვეყნების მიხედვით. ეს შესაძლებლობას გახდის ამ სფეროში დასაქმებული თუ მომავალში დაინტერესებული სუბიექტების სრულ ინფორმირებას.

როგორც ავლნიშნეთ სასაქონლო ნომენკლატურა განკუთვნილია საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში მონაწილე ბიზნესმენებისა და საზოგადოების სხვა დაინტერესებული წარმომადგენლობისათვის. მასში ინფორმაციაა საქონლის საზღვარზე გადაადგილების განსაზღვრული წესებისა და მექანიზმებისა.

ინფორმაციული სისტემის მთავარი დანიშნულებაა ინფორმაციის დაცულად შენახვა და მომხმარებლისთვის სათანადო ფორმით მიწოდება. სისტემა შედგება ორი ნაწილისაგან: მონაცემთა ბაზის სამართავი პროგრამისა და თვითონ ინფორმაციისაგან. სამართავი პროგრამის დანიშნულებაა ინფორმაციის შენახვა, ორგანიზირება, მართვა და გადმოცემა.

მონაცემთა ბაზების კლასიფიცირება შეიძლება მოვახდინოთ მონაცემების მოდელების მიხედვით. მონაცემების მოდელი არის მონაცემების სტრუქტურისა და მათი დამუშავების ოპერაციების ერთობლიობა. მონაცემების მოდელის მიხედვით შესაძლებელია ობიექტების სტრუქტურისა და მათ შორის არსებული კავშირების წარმოდგენა.

ამ სისტემაში გათვალისწინებულია (მონაცემთა ბაზების კლასიფიცირების მიხედვით) იმპორტის და ექსპორტის მიმართულებები (რეჟიმები).

მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის შენახვის ძირითადი კომპონენტი არის ცხრილი (Tables). იგი შედგება რეალური ობიექტის (არსის) ატრიბუტებისა (ველების) და სტრიქონებისაგან (ჩანაწერებისაგან). ატრიბუტთა მნიშვნელობათა (მონაცემთა) ტიპები Oracle ბაზაში მრავალფეროვანია, რიცხვითი, სტრიქონული, თარიღის, ლოგიკური, აუდიო-ვიზუალური და სხვ.[28]

განვიხილოთ იმპორტის მიმართულების ინფორმაცია.

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) საქონლის ჰარმონიზებული სისტემა, სადაც

ყველა პროდუქტს მინიჭებული აქვს უნიკალური კოდი და სატარიფო განაკვეთი. [20] შეიცავს ინფორმაციას ყველა სახის პროდუქციის შესახებ იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინფორმაციად, (სეს ესნ) საქონელის კლასიფიკაციის სტრუქტურა კარების, ჯგუფებისა და ქვეჯგუფების სახელწოდებები მოცემულია მხოლოდ ინფორმაციის ძიების გასაადვილებლად. საქონლის გარკვეული ნიშან-თვისებების მატარებელია, აქედან გამომდინარე ხდება დაკომლექტება კარების, ჯგუფებისა და ქვეჯგუფებად, საქონლის კლასიფიკაცია განისაზღვრება სასაქონლო პოზიციების ტექსტების მიხედვით და შესაბამისი კარისა და ჯგუფის შენიშვნებით. მონაცემთა ბაზის სისტემური მართვისათვის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურაში (სეს ესნ) შემავალი საქონელი დაყოფილია XXII კარად და 99 ჯგუფებად.

სამუშაოსათვის ავირჩევთ კარის IV რამოდენიმე ჯგუფს. [22]

	კარი IV კვების მზა პროდუქტები; ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი; თამბაქო და მისი შემცველები
ჯგუფი 16	მზა საკვები პროდუქტები ხორცის, თევზისა ან კიბოსნაირების, მოლუსკებისა ან წყლის სხვა უხერხემლოებისაგან
ჯგუფი 17	შაქარი და შაქრის საკონდიტრო ნაწარმი
ჯგუფი 18	კაკაო და პროდუქტები მისგან
ჯგუფი 19	მზა პროდუქტები მარცვლოვანების მარცვლის, ფქვილის, სახამებლისა ან რმისაგან; ფქვილეული საკონდიტრო ნაწარმი
ჯგუფი 20	ბოსტნეულის, ხილის, კაკლისა ან მცენარეთა სხვა ნაწილების გადამუშავების პროდუქტები
ჯგუფი 21	კვების სხვადასხვა პროდუქტები
ჯგუფი 22	ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი
ჯგუფი 23	კვების მრეწველობის ნაშთები და ნარჩენები; მზა საკვები ცხოველებისთვის
ჯგუფი 24	თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცველები

ცხრილი 3. სეს ესნ-ს IV კარის ჯგუფის საქონელი

ზემოთ ნაჩვენები ცხრილიდან კარგად ვხედავთ, თუ რა სახეობის საქონლის ჯგუფებისაგანაა შემდგარი ჩვენს მიერ არჩეული

კარი. ჩვენ მოვახდინეთ ამ ჯგუფებიდან რამოდენიმე ჯგუფის ამორჩევა. ჯგუფი 22, 24 და განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ჯგუფი 22 ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი ალკოჰოლურ სასმელებს მიეკუთვნება ღვინო, ლუდი, სიდრი, პორტვინი, ვისკი, ჯინი, რომი და ა.შ.

საქართველოს ვაზის და ღვინის ქვეყანას, ლხინის ქვეყანადაც იცნობენ. ლხინი სასმელის გარეშე საქართველოში წარმოუდგენელია. ასე რომ ამ ჯგუფის საქონლის პოპულულარობაზე ეჭვი არავის შეეპარება.

ჯგუფი 24 თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცველები რამდენაც არ უნდა ილაპარაკონ მედიკოსებმა თამბაქოს მავნებლობაზე, სამწუხაროდ საქართველო კვლავ რჩევა მსოფლიო ქვეყნების სიაში მოწინავე ქვეყანად თამბაქოს მომხმარებლით.

მინიმალური სამომხმარებლო კალათა იმ პროდუქტების ჩამონათვალია, რომელიც ადამიანს არსებობისთვის ესაჭიროება. ჩამონათვალი 288 დასახელების სამომხმარებლო საქონელს და მომსახურებას მოიცავს. რაც თავის მხრივ დაყოფილია ჯგუფებად, რომელთაც სხვადასხვა წონა აქვს მინიჭებული. ასე მაგალითად, სურსათს და უალკოჰოლო სასმელებს სამომხმარებლო კალათაში 30.3% უჭირავს, ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო – 5.5%, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი – 2.6%, საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი – 8.2%, ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა-შეკეთება – 5.1%, ჯანმრთელობის დაცვა – 7,5%, ტრანსპორტი – 12,8%, კავშირგაბმულობა – 5,6%, დასვენება, გართობა და კულტურა – 6,8%, განათლება – 6,1%, სასტუმროები, კაფეები და რესტორნები – 4,4%, სხვადასხვა საქონელი და მომსახურება – 5,0%.

[10]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ თამბაქო და ალკოჰოლური სასმელები სამომხმარებლო კალათის პროდუქციის ჩამონათვლაში ათეულშია.

ისინი აქციზით დასაბეგრი საქონელია.

რომელი საქონელი ექვემდებარება აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას?

აქციზით დასაბეგრი ოპერაციის ან და საქონლის იმპორტის განხორციელებამდე აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას ექვემდებარება:[22]

ა) აქციზით დასაბეგრი ალკოჰოლიანი სასმელები (მათ შორის, ლუდი), რომლებშიც ალკოჰოლის შემცველობა აღემატება 1,15 გრადუსს;

ბ) თამბაქოს ნაწარმი.

შენიშვნა: კანონმდებლობით დადგენილი წესით აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებისაგან თავისუფლდება:

- 50 გრამის ან მასზე ნაკლები ტევადობის ჭურჭელში ჩასხმული ალკოჰოლიანი სასმელი იმპორტირებული (მათ შორის, საფოსტო გზავნილის შემთხვევაში) 4 ლიტრამდე ალკოჰოლიანი სასმელი
- მოსაწევი (ჩიბუხის) თამბაქო იმპორტირებული (მათ შორის, საფოსტო გზავნილის შემთხვევაში) 400 ღერი სიგარეტი ან 50 სიგარა/50 სიგარილა/250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმი, ან ამ ზღვრული ოდენობის ფარგლებში იმპორტირებული თამბაქოს (ამ ქვეპუნქტში დასახელებული ნაწარმის) კომბინაცია საერთო წონით არაუმეტეს 250 გრამისა და სხვ.

საქართველოში, ინდუსტრიული თამბაქოს მრეწველობა იწყება XIX ს. 50-იანი წლებიდან. 70-80 წლებში დაინერგა თამბაქოს საჭრელი მექანიკური დაზგები, ხოლო 90-იან წლებში – პაპიროსის დასამზადებელი მანქანები. XIX ს. 90-იან წლებში საქართველოში იყო 7 შედარებით მსხვილი ფაბრიკა, 900-იან წლებში 9. ყველა ეს საწარმო, ნედლეულად უპირატესად უცხოურ (ძირითადად თურქულ) და კავკასიურ თამბაქოს იყენებდა. საქართველოს თამბაქოს მრეწველობის პროდუქცია გადიოდა სამხრეთ კავკასიასა და რუსეთში. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა

მოთხოვნილება თამბაქოს ნაწარმზე, რამაც ხელი შეუწყო საქართველოში თამბაქოს მრეწველობის გაფართოებას. [21]

2004 წელს ქართული თამბაქოს ბაზრის არაკონკურენტუნარიანობის გამო ქვეყნის შიდა ბაზარს იკავებს იმპორტული უფრო იაფი და დაბალი ხარისხის თამბაქოს ნედლეული.

საქართველოს თამბაქოსა და სიგარეტის ბაზრის დღევანდელი მოცულობა ექსპერტული შეფასებებით წელიწადში დაახლოვებით 700-800 მილიონი კოლოფია, რაც 700 მილიონი ლარის ეკვივალენტურია, ანუ წლის განმავლობაში ქვეყანაში 700 მილიონი ლარის ღირებულების პროდუქცია (ადგილობრივი და იმპორტული ფილტრიანი და უფილტრო სიგარტი, თამბაქო და სიგარა) იყიდება.

ქართული თამბაქოს ბაზრის არაკონკურენტუნარიანობის ერთ-ერთ მიზეზად ითვლება არათანაბარი საგადასახადო განაკვეთების არსებობა. აქამდე იმპორტირებულ თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადი 60, ადგილობრივზე კი 40 თეთრს შეადგენდა. [13]

საქართველოს თამბაქოს ბაზრის ძირითადი მოთამაშეები შესაძლებელია ოთხ ძირითად ჯგუფად დაიყოს:

1. **ელიზის ჯგუფი** 100%-ით იმპორტიორი კომპანია. აკონტროლებს თამბაქოსა და სიგარეტის მთელი ბაზრის დაახლოვებით 33%-ს.
2. **ომეგას ჯგუფი** ახორციელებს სიგარეტის როგორც იმპორტს, ასევე ადგილობრივ წარმოებას. აკონტროლებს თამბაქოსა და სიგარეტის მთელი ბაზრის დაახლოვებით 33%-ს.
3. **სამგორის ჯგუფი** ახორციელებს სიგარეტის როგორც იმპორტს, ასევე ადგილობრივ წარმოებას. აკონტროლებს თამბაქოსა და სიგარეტის მთელი ბაზრის დაახლოვებით 31%-ს.
4. **სხვა ყველა** საქართველოს თამბაქოსა და სიგარეტის ბაზარზე, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მსხვილი მოთამაშეების გარდა, ოპერირებს რამდენიმე წვრილი იმპორტიორი და თამბაქოს ადგილობრივი

მწარმოებელი ფირმა, რომელთაც ჯამურად ბაზრის მხოლოდ 3% უჭირავთ. [17]

“საქართველოს თამბაქოს წარმოება”, რომელიც სიგარეტ “პირველს”, “პატრიოტს”, “დენიელს”, “კონფერენსს”, “სტარსა” და “ქინგს ქლავს” აწარმოებს, 1998 წელს დაფუძნდა.

გამოკლევების შედეგად დადგინდა, რომ ყველაზე პოპულარული ალკოჰოლური სასმელია ლუდი.

საქართველოში 2011 წელს 12,664 მილიონი ლიტრი ლუდი იქნა იმპორტირებული, რაც ღირებულებაში 9,4 მილიონ დოლარს შეადგენს.

2010 წელს ლუდის იმპორტმა 8,7 მლნ დოლარი შეადგინა. იმპორტი 20–ზე მეტი ქვეყნიდან ხორციელდება, ყველაზე მეტი მათ შორის უკრაინიდან – 39%, თურქეთიდან – 24%, რუსეთიდან – 14%, გერმანიიდან – 10%, ნიდერლანდებიდან – 5%. [10]

იმპორტირებული ლუდის წილი ადგილობრივ ბაზარზე 12–13%-ია.

2011 წელს საქართველოში ლუდის მოხმარებამ 105 მილიონ ლიტრს გადააჭარბა, რაც 1 სულზე 24 ლიტრს შეადგენს. [10]

საქართველოს ბაზარზე სამი მსხვილი ადგილობრივი კომპანია მუშაობს, Efes Breweries International–ის საკუთრებაში მყოფი „ნატახტარი“, რომელი ბაზრის 65%–ს აკონტროლებს, ქართულ–ფრანგული „კასტელი საქართველო“ და გოგი თოფაძის „ყაზბეგი“.

ლუდის ბაზარზე ახალი კომპანიის პროდუქციის - ლუდ "ზედაზნის" გამოჩნდა. ლუდ "ზედაზნის" "ქართული ლუდის კომპანია" აწარმოებს. ლუდსახარში საგურამოში მდებარეობს და მისი ერთ-ერთი დამფუძნებლები "ნატახტარის" ყოფილი მფლობელები არიან.

ახალი კომპანიის მერ წარმოებული ლუდის შემდეგ ბაზარზე კონკურენცია გაიზრდება. თუმცა, საზღვარგარეთის ქვეყნებთან შე-

დარებით, საქართველოში ლუდის მოხმარება ძალიან დაბალია. ოფიციალური მონაცემებით, თუ უცხოეთში ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში 120 ლიტრი ლუდი მოდის, საქართველოში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 20 ლიტრს შეადგენს.[17]

გასულ წელს საქართველოდან ლუდის ექსპორტი მკვეთრად გაიზარდა და 1,777 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, 2010 წელს ექსპორტზე მხოლოდ 322 ათასი აშშ დოლარის პროდუქცია გავიდა. საქართველოდან ლუდის ექსპორტი, ძირითადად, აზერბაიჯანში, ისრაელსა და უკრაინაში ხორციელდება.

საქართველოში 2011 წელს 12,664 მლნ. ლიტრი იქნა იმპორტირებული, რაც ღირებულებაში 9,4 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. 2010 წელს ლუდის იმპორტმა - 8,7 მლნ. აშშ დოლარი, 2009 წელს კი 9,3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. [16]

იმპორტი 20-ზე მეტი ქვეყნიდან ხორციელდება: ყველაზე მეტი უკრაინიდან - 39%, თურქეთიდან - 24%, რუსეთიდან - 14%, გერმანიიდან - 10%, ნიდერლანდებიდან - 5%. იმპორტირებული ლუდის წილი ადგილობრივ ბაზარზე 12-13%-ა. [16]

2011 წელს საქართველოში ლუდის მოხმარებამ 105 მლნ. ლიტრს გადააჭარბა, რაც 1 სულზე 24 ლიტრს შეადგენს. [16]

ექსპერტების შეფასებით, ლუდის ბაზარს საქართველოში უფრო მეტი პოტენციალი გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ლუდის მოხმარების მონაცემებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს რამდენადმე ჩამორჩება, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველო ძირითადად ღვინის მომხმარებელი ქვეყანაა. საქართველოში ლუდის წლიური გაყიდვები დაახლოებით 100 მილიონ ლიტრს უტოლდება. ბაზრის ყველაზე დიდი წილი "ნატახტარზე" მოდის, შემდეგ არიან "ყაზბეგი" და "კასტელი", იმპორტირებულ ლუდს კი დაახლოებით 10-12 პროცენტი უკავია. ექსპერტებისვე თქმით, უკანასკნელ პერიოდში ლუდის ბაზარზე კონკურენციის გაძლიერება შეინიშნება. არსებული კომპანიები ახალ ბრენდებს ქმნიან, ბაზარზე რამ-

დენიშე ახალი უცხოური ბრენდი შემოვიდა, გაიხსნა კიდევ ერთი ახალი ლუდსახარში, რაც საქართველოში ლუდის ბაზრის პერსპექტიულობაზე მიუთითებს. [10]

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ამიტომაც შევაჩერეთ არჩევანი ამ პროდუქციაზე.

ამ ჯგუფების ინტეგრირებული ტარიფები ერთ-ერთი ძირითადი ინფორმაციაა, სადაც საქართველოში პროდუქციის იმპორტზე მოქმედი გადასახადების განაკვეთები, შეღავათები საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, აკრძალვები და შეზღუდვებია მოცემული.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) საქონლის ჰარმონიზებული სისტემა, სადაც ყველა პროდუქტს მინიჭებული აქვს უნიკალური კოდი და სატარიფო განაკვეთი.[22]

ინტეგრირებული ტარიფი																		
საქართველოში პროდუქციის იმპორტზე მოქმედი გადასახადების განაკვეთები, შეღავათები საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, აკრძალვები და																		
SBA კოდი	საქონლის დასახელება	იმპორტის გადასახადი		აქციზი		დღგ ^{***} (განაკვეთი 18%)	ლიცენზიები	ნებართვები	აკრძალვები	ხერტიფიკატები	კვოტები	რეგისტრაცია	შენიშვნა 1 (დოკუმენტის სახე)	შენიშვნა 2	შენიშვნა 3	შენიშვნა 4	ნულოვანი განაკვეთის დაბეჭევა	
		განაკვეთი	შეღავათები	განაკვეთი	შეღავათები													
	კარა IV																	
2009	ხილის წვეწები (ვურშის ზადვის ნათელი) და პოსტნეულის წვეწები, დაუფუფრული და ხაირტის დანამატების გარეშე, შაჭისა ან სხვა დამატებითი ნივთიერების დამატებით ან შთაგარეშე:																	
2009 11	- ფორთხლის წვეწები: - - გარეშული: - - - ბრეტის რიცხვით 67-ზე მეტი:																	
2009 11 110 00	- - - ღორბუღებით, არა უმეტეს 30 ლროსი 100 კგ ნეთი-მასაზე	12%																
2009 11 190 00	- - - ღმარწები - - - ბრეტის რიცხვით არა	12%																

ცხრილი 4. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ)

იმპორტის გადასახადი: განაკვეთი, შეღავათი;

აქციზი: განაკვეთი, შეღავათი;

დღგ (განაკვეთი 18%) შეღავათები;

ლიცენზიები, ნებადართვები, აკრძალვები, სერთიფიკატები, კვოტები, რეგისტრაცია;

შენიშვნა1, შენიშვნა 2, შენიშვნა3, შენიშვნა 4.

ექსპორტის რეჟიმის დროს ემატება ნულოვანი დაბეგვრის ინფორმაცია

იმპორტის მიმართულებით მეორე მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენს საქართველოს იმპორტი სასაქონლო პოზიციების მიხედვით (2013 წლის იანვარი-აპრილის მონაცემები), სადაც მოცემულია რა ღირებულების (აშშ დოლარებში) საქონელი იქნა იმპორტირებული ამ პერიოდში.

იმპორტირებული საქონლის ჯგუფების კოდები და დასახელება;

საქართველოს იმპორტი სასაქონლო პოზიციების მიხედვით						
(ათასი აშშ დოლარი)						
		2013				აპრილი
		იანვარი	თებერვალი	მარტი	1 კვ.	
	იმპორტი - სულ	468,414.8	506,427.7	603,765.5	1,578,608.0	641,738.1
	მათ შორის:					
0102	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცოცხალი	-	-	-	-	150.7
0103	ღორები ცოცხალი	98.8	525.5	143.5	767.8	473.0
0104	ცხვრები და თხები ცოცხალი	19.5	-	-	19.5	-
0105	შინაური ფრინველი ცოცხალი	-	39.0	362.5	401.5	117.4
0106	დანარჩენი ცოცხალი ცხოველები	2.5	1.3	2.6	6.4	1.9
0201	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ახალი ან გაცივებული	-	0.7	15.4	16.1	-
0202	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, გაყინული	2,296.5	2,348.2	1,485.4	6,130.0	1,231.0
0203	ხორცი ღორის ახალი, გაცივებული ან გაყინული	1,885.0	2,683.7	2,796.3	7,365.0	2,526.5
0204	ხორცი ცხვრის ან თხის, ახალი, გაცივებული ან გაყინული	-	0.6	0.9	1.5	-
0206	კვების სუბპროდუქტები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორების, ცხვრების და სხვა	61.4	82.2	13.1	156.8	39.3
0207	ხორცი და კვების სუბპროდუქტები შინაური ფრინველის, ახალი, გაცივებული ან გაყინული	6,154.2	4,689.7	5,848.3	16,692.2	6,103.5
0208	სხვა ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, ახალი, გაცივებული ან გაყინული	31.0	-	82.2	113.2	-
0209	ღორის ქონი, მჭლე ხორცისაგან გამოცალკევებული და შინაური ფრინველის ქონი	609.6	400.4	290.2	1,300.1	305.8
0210	ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, დამარილებული, გამომშრალი ან შეზოლილი	0.6	6.6	2.3	9.5	19.9
0301	ცოცხალი თევზი	21.3	12.3	13.5	47.1	23.1
0302	თევზი ახალი ან გაცივებული	42.9	33.0	42.3	119.2	67.4
0303	თევზი გაყინული	2,232.4	4,277.7	2,367.8	8,878.0	4,854.2
0304	თევზის ფილე და თევზის სხვა ხორცი ახალი, გაცივებული ან გაყინული	284.8	294.0	168.8	747.5	592.8
0305	თევზი ხმელი, დამარილებული ან მარილწყალში, შეზოლილი	10.6	54.6	38.8	104.0	89.3
0306	კიბოსნაირნი	89.7	29.2	19.7	138.6	50.0

ცხრილი 5. საქართველოს იმპორტი სასაქონლო პოზიციების მიხედვით

პერიოდი 2013 წელი: იანვარი, თებერვალი, მარტი, 1 კვარტალი, აპრილი.

საქართველოს იმპორტი ქვეყნების მიხედვით					
<i>(ათასი აშშ დოლარი)</i>					
	2013				
	იანვარი	თებერვალი	მარტი	1 კვ.	აპრილი
იმპორტი - სულ	468,414.8	506,427.7	603,765.5	1,578,608.0	641,738.1
მათ შორის:					
ევროკავშირის ქვეყნები	139,343.5	147,338.9	166,041.1	452,723.5	202,763.1
ავსტრია	5,380.0	3,950.0	3,603.5	12,933.5	6,189.0
ბელგია	4,037.0	4,676.2	4,446.8	13,160.1	7,305.5
ბულგარეთი	20,511.5	10,222.7	13,200.8	43,935.0	24,377.9
გაერთიანებული სამეფო	5,327.3	9,542.0	6,535.2	21,404.4	8,561.5
გერმანია	30,650.5	34,654.5	34,234.2	99,539.2	40,533.2
დანია	562.3	1,914.3	1,667.4	4,144.0	1,067.8
ესპანეთი	4,568.9	4,556.3	7,198.4	16,323.6	8,170.2
ესტონეთი	246.9	196.7	503.3	946.8	214.5
ირლანდია	667.1	829.0	810.2	2,306.3	1,016.9
იტალია	12,722.3	13,122.8	16,508.5	42,353.6	24,393.3
კვიპროსი	306.6	95.6	312.4	714.6	1,080.9
ლატვია	1,050.3	1,344.6	1,191.3	3,586.1	1,616.9
ლიტვა	1,503.6	2,637.5	2,467.1	6,608.2	2,510.5
ლუქსემბურგი	301.5	202.9	198.4	702.8	196.2
მალტა	11.5	-	-	11.5	286.8
ნიდერლანდები	9,852.1	7,882.3	10,017.6	27,752.0	9,845.3
პოლონეთი	5,606.3	5,984.0	6,440.4	18,030.7	7,476.0
პორტუგალია	329.6	650.9	965.7	1,946.2	998.4
რუმინეთი	16,281.7	25,491.2	27,508.1	69,281.0	21,219.4
საბერძნეთი	5,242.0	3,093.8	4,071.8	12,407.6	4,142.9
საფრანგეთი	5,287.8	5,991.7	7,363.1	18,642.6	9,498.7
სლოვაკეთი	1,431.3	577.5	1,448.4	3,467.2	1,396.0
სლოვენია	611.1	1,334.3	1,338.8	3,284.2	1,566.5

ცხრილი 6. საქართველოში იმპორტი ქვეყნების მიხედვით

შემდეგ ინფორმაციაში მოცემულია საქართველოს იმპორტი ქვეყნების მიხედვით (2013 წლის იანვარი-აპრილის მონაცემები), რომელი ქვეყნიდან რა ღირებულების საქონელი იქნა იმპორტირებული ((აშშ დოლარებში)

ქვეყნების ჩამონათვალი; პერიოდი 2013 წელი: იანვარი, თებერვალი, მარტი, 1 კვარტალი, აპრილი

ექსპორტის მიმართულებით გვაქვს იდენტური მონაცემები, სადაც ნაჩვენებია საქართველოს ექსპორტი სასაქონლო პოზიციების მიხედვით (2013 წლის იანვარი-აპრილის მონაცემები) და ინფორმაცია საქართველოს ექსპორტი ქვეყნების მიხედვით (2013 წლის იანვარი-აპრილის მონაცემები)

ორივე რეჟიმს აქვს საერთო ფორმის ინფორმაცია, სადაც ასახულია, რომელი ქვეყნიდან განხორციელდა იმპორტ-ექსპორტი, რა საქონლის, რა რაოდენობის (კგ), ღირებულების (აშშ. დოლარებში) და საცალო ღირებულებით. (პერიოდი 2013 წლის იანვარი-აპრილი).

სესს კოდი	რეჟიმი	პარტნიორი ქვეყანა	რაოდენობა, კგ	ღირებულება აშშ დოლარი	რაოდენობა დამატებით ერთეულში
01022905000	ექსპორტი	აზერბაიჯანი	16180	139309.5526	924
01022949000	ექსპორტი	აზერბაიჯანი	1322030	3268468.965	6697
01039219000	იმპორტი	პოლონეთი	18225	49206.74917	150
01039290000	იმპორტი	უნგრეთი	17860	49596.33028	158
01041080000	იმპორტი	სომხეთი	9880	19500	260
01041080000	ექსპორტი	აზერბაიჯანი	3800	19480.12786	190
01069000900	იმპორტი	ისრაელი	100	2469.998191	1300
02022090000	იმპორტი	ნიდერლანდები	20000	20000	20000
02023010000	იმპორტი	ინდოეთი	28000	89600	28000
02023090000	იმპორტი	ბრაზილია	25008.12	73023.70799	25008.12
02023090000	იმპორტი	გერმანია	21712	133249.7464	21712
02023090000	იმპორტი	ინდოეთი	683204	1980647.072	683204
02031955000	იმპორტი	ბრაზილია	5000	17249.997	5000
02032110000	იმპორტი	ბრაზილია	155890	340362.1347	155890
02032110000	იმპორტი	უნგრეთი	25820	54738.40169	25820
02032211000	იმპორტი	აშშ	51983	114362.5075	51983
02032915000	იმპორტი	გერმანია	21955	103994.8204	21955
02032955000	იმპორტი	ბრაზილია	204034.3	622327.7099	204034.3
02032955000	იმპორტი	კანადა	128187.32	283171.741	128187.32
02032955000	იმპორტი	ჩინეთი	27000	67300	27000
02032955000	იმპორტი	ნიდერლანდები	24463	62055.07893	24463
02032955000	იმპორტი	აშშ	23588	53366.27226	23588
02032959000	იმპორტი	დანია	522	1764.702686	522
02032959000	იმპორტი	ნიდერლანდები	24190	71852.44608	24190
02032959000	იმპორტი	აშშ	24940.6	48634.16847	24940.6
02032990000	იმპორტი	კანადა	25015.18	43776.56947	25015.18
02042100000	ექსპორტი	კატარი	1355	14404.95958	1355
02064920000	იმპორტი	ბრაზილია	3560	2135.997585	3560
02064920000	იმპორტი	იტალია	25329	34465.91969	25329
02064980000	იმპორტი	ბრაზილია	21600	24839.9976	21600
02071190000	იმპორტი	თურქეთი	9068	23563.41774	9068
02071290000	იმპორტი	არგენტინა	25000	48492.50359	25000
02071290000	იმპორტი	სომხეთი	1760	5820.99747	1760
02071290000	იმპორტი	ბრაზილია	189454	451348.542	189454
02071290000	იმპორტი	ჩინეთი	77760	192844.7991	77760

ცხრილი 7. საქართველოში იმპორტ-ექსპორტირებული საქონლის რაოდენობა ქვეყნების მიხედვით

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სესს) კოდები;

რეჟიმები იმპორტ-ექსპორტი;

პარტნიორი ქვეყნები (ქვეყნები საიდანაც განხორციელდა იმპორტ-ექსპორტი);

საქონლის რაოდენობა, კგ (კონკრეტული საქონელი რა რაოდენობის იქნა იმპორტ-ექსპორტირებული);

საქონლის ღირებულება აშშ დოლარი (კონკრეტული საქონელი რა ღირებულების იქნა იმპორტ-ექსპორტირებული)

რაოდენობა დამატებით ერთეულზე (კონკრეტული საქონლის რაოდენობა ცალი, კილოგრამი, ლიტრი იმპორტ-ექსპორტისას).

ორივე რეჟიმის საერთო ინფორმაციაა პარტნიორი ქვეყნების ჩამონათვალი, ამ ქვეყნების საერთაშორისო სატელეფონო კოდი ვალუტა და ქვეყნის საბაჟო კანონმდებლობის ინფორმაცია შემცველ

ქვეყნები	სატელეფონო კოდები	საბაჟო კანონმდებლობის ვებ გვერდები	ვალუტა
აზერბაიჯანი	994	http://base.spinform.ru/spisdoc.fwx?countryid=ru&doctype=4	მანატი
ბელორუსი	375	http://base.spinform.ru/spisdoc.fwx?countryid=ru&doctype=5	რუბლი
მოლდოვა	373	http://base.spinform.ru/spisdoc.fwx?countryid=ru&doctype=6	ლეი
რუსეთის ფედერაცია	7	http://base.spinform.ru/spisdoc.fwx?countryid=ru&doctype=7	რუბლი
ტაჯიკეთი	992	http://base.spinform.ru/spisdoc.fwx?countryid=ru&doctype=8	რუბლი
სომხეთი	374	http://base.spinform.ru/spisdoc.fwx?countryid=ru&doctype=9	დრამი
უზბეკეთი	998	http://base.spinform.ru/spisdoc.fwx?countryid=ru&doctype=10	სუმი
უკრაინა	380	http://base.spinform.ru/spisdoc.fwx?countryid=ru&doctype=11	გრივნა
ყაზახეთი	7	http://base.spinform.ru/spisdoc.fwx?countryid=ru&doctype=12	ტენგე
ყირგიზეთი	996	http://base.spinform.ru/spisdoc.fwx?countryid=ru&doctype=13	ყირგიზული სომი

ვებ-გვერდები

ცხრილი 8. პარტნიორი ქვეყნების კოდები, ვალუტა და კანონმდებლობის ვებ-გვერდი.

ყველა ამ ინფორმაციით შეიქნება მონაცემთა ბაზა, რომელზეც აიგება საძიებო პროგრამა, რომლის დახმარებით ამ სფეროთი დაინტერესებული სუბიექტები მიიღებენ ინფორმაცია, კონკრეტულად, მისთვის საინტერესო საქონელი რა რაოდენობით იქნა იმპორტ-ექსპორტირებული, რომელი ქვეყნიდან, რა წესებია დაწესებული საზღვარზე ამ საქონლის გადააგილებისას, მისთვის სასურველ პერიოდში (თვეების, კვარტლებისა და წლის მიხედვით).

4.3. საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა oracle-ში

როგორ ზემოთ მოგახსენეთ, მონაცემთა ბაზების სისტემა ელექტრონული ინფორმაციის მართვის სისტემაა. მისი მთავარი დანიშნულებაა ინფორმაციის დაცულად შენახვა და მომხმარებლისთვის სათანადო ფორმით მიწოდება, იგი შედგება ორი ნაწილისაგან: მონაცემთა ბაზის სამართავი პროგრამისა და თვითონ ინფორმაციისაგან.

მომიებული ინფორმაციის შესახებ წინა პარაგრაფში ვისაუბრეთ.

მეორე ნაწილი არის მონაცემთა ბაზის სამართავი პროგრამის შექმნა oracle-ში

მონაცემთა ბაზის მართვის სისტემის გამოყენებით იქმნება არა მხოლოდ საკუთრივ მონაცემთა ბაზა, არამედ გარკვეული სამუშაო რგოლის ვირტუალური მოდელი, ერთიანი საინფორმაციო სისტემა ამორჩეულ ინფორმაციაზე.


მონაცემთა ბაზების კლასიფიცირება მოვახდინოთ მონაცემების მოდელების მიხედვით. რომელიც წარმოადგენს ობიექტების სტრუქტურისა და მათ შორის არსებულ კავშირებს.

მონაცემთა ბაზა წარმოადგენს მონაცემების ჯგუფს, რომელიც თავის მხრივ არის ცხრილების, შენახვადი პროცედურების, და წარმოდგენების ნაკრები, რომლებიც შეიცავენ ბაზის ცხრილებში შენახული გარკვეული მონაცემების ერთობლიობას.

რელაციური მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა უზრუნველყოფს არა მხოლოდ მონაცემების შენახვას, არამედ განსაზღვრავს მათი ფუნქციონირების წესებს, რომელიც თავის მხრივ განაპირობებს ბაზის მთლიანობის დაცვას. გამოვიყენებთ რელაციურ მოდელს - რამდენიმე ცხრილის სტრუქტურასა და მათ შორის კავშირებს.

რელაციური მონაცემთა ბაზის შექმნისას მონაცემთა ბაზების დიზაინერი გადის გარკვეულ ეტაპებს, ერთ-ერთ მათგანს მონაცემთა მოდელირება ეწოდება. მოდელირების ფაზა განსაზღვრავს ობიექტებს, თითოეული ობიექტის ატრიბუტებს (თვისებებს) და სხვადასხვა ობიექტებს შორის კავშირებს, რომლებიც უნდა არსებობდნენ მონაცემთა ბაზაში.

ზემოთ აღნიშნულ ინფორმაციაზე შექნილ მონაცემთა ბაზის სტრუქტურას შემდეგი სახე აქვს:



ნახ 13. საგარეო ვაჭრობის რეჟიმების მონაცემთა ბაზის სტრუქტურა

იმისათვის რომ მონაცემთა მოდელი გარდავქმნათ რელაციურ მონაცემთა ბაზის სქემაში, ობიექტთა ყოველი ეგზემპლარი უნდა იყოს უნიკალური. ატრიბუტების სიმრავლეთა მიხედვით ყოველი ეგზემპლარი უნდა განსხვავდებოდეს იგივე ობიექტის სხვა ეგზემპლარებისაგან. ობიექტის თითოეულ ეგზემპლარს ჩვენ უნდა შევუსაბამოთ „გასაღების“ (“key”) ისეთი კონკრეტული მნიშვნელობა, რომელიც განასხვავებს კავშირის კარდინალობათა თანაფარდობისათვის.

მონაცემთა ბაზის სტრუქტურა მოიცავს მონაცემთა ბაზის კონცეპტუალურ სქემას ანუ მონაცემთა ბაზების დიზაინია. რომლებსაც მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა Oracle იყენებს. როდესაც მონაცემთა ბაზის კონცეპტუალური სქემა მზად არის, შემდეგი ამოცანაა ამ მონაცემთა სქემის გარდაქმნა ცხრილებში, კავშირებში და მონაცემთა მთლიანობისა და უსაფრთხოების კონკრეტულ წესებში. ასეთი გარდაქმნის შედეგად ობიექტს

შეესაბამება ცხრილი, რომლის ყოველი სტრიქონი შეესაბამება მოცემული ობიექტის კონკრეტულ ეგზემპლარს.

1. (Tables) `QVEKNEBI` ქვეყნის კოდი, ქვეყნის დასახელება, ქვეყნების საბაჟო კანონდებლობის ვებ გვერდები, ქვეყნის ჯგუფი, ქვეყნის ვალუტა.
ამ ცხრილისთვის `primary key` არჩეულ იქნა ქვეყნების კოდი, რომლის საშუალებითაც მოხდება დაკავშირება სხვა ცხრილებთან;
2. (Tables) `SAQONLIS_JGUPEBI` საქონლის ჯგუფის კოდი, საქონლის ჯგუფის დასახელება; შეიქნა ცალკე ცხრილი, რომელშიც ნაჩვენებია რომელ საქონლის ჯგუფში, რა საქონელია შესული. `primary key` სტატუსი მიენიჭა საქონლის ჯგუფის კოდს;
3. (Tables) `INTEGRIREBULI_TARIFI` იმეორებს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სესესნ) საქონლის ჰარმონიზებული სისტემას, `primary key` ამ ცხრილში წამოადგენს საქონლის კოდი;
4. (Tables) `INT` რომელშიც მოცემულია საქონლის კოდი, საგარეო ვაჭრობის რეჟიმები, რაოდენობა კგ, ღირებულება აშშ დოლარებში, რაოდენობა ერთეულში, თვე. ანუ რომელ ქვეყანაში რა რაოდენობის (ღირებულების) საქონელი იქნა ექსპორტ-იმპორტირებული გარკვეული დროის შუალედში. ამ ცხრილში მონაცემებიდან `primary key` პრივილეგია ერგო რამოდენიმე სვეტს: საქონლის კოდი, რეჟიმები, ქვეყნის კოდი, თარიღი.

აქვე მოხდა დაკავშირება ცხრილების.

ცხრილების შექმნისას თითოეული ობიექტის ატრიბუტების აღწერისას მითითებული გვაქვს დასახელებები, ტიპები (რიცხვითი, სტრიქონული, თარიღი და ლოგიკური) და სიგრძეები.

მომდევნო ეტაპს წარმოადგენს სტრუქტურირებული მიმართვების ენა (SQL – Structured Query Language) რომლითაც შესაძლებელია მონაცემთა ბაზების შექმნა, მონაცემთა მანიპულირება, მონაცემთა გარკვეული სიმრავლეების მოძიება-ამოკრეფა და სხვა.

SQL-ბრძანებებს ხშირად ორ ჯგუფს მიაკუთვნებენ:

- მონაცემთა განსაზღვრის ენას (Data Definition Language = DDL) და
- მონაცემთა მანიპულირების(გარდაქმნის) ენას (Data Manipulation Language = DML).

DDL გამოსახულებები ქმნიან მონაცემთა ბაზების სტრუქტურებს: ცხრილებს (table), ასახვებს (view), ტრიგერებს (trigger) - პროცედურები რომლებიც ინახებიან მონაცემთა ბაზების ობიექტებთან ერთად და რომლებიც ავტომატურად სრულდებიან გარკვეული SQL ბრძანებების გამოყენებისას; ისინი იმართებიან მოვლენებით და უხილავი რჩებიან მომხმარებლისათვის.

DML გამოსახულებები მონაცემთა ბაზაში ასრულებენ შემდეგ მოქმედებებს: მონაცემების შეტანას (insert data), მონაცემების განახლებას (update data), მონაცემების ძიებას (retrieve data), მონაცემების წაშლას.

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ შეიქმნა 4 Tables და მოხდა მათი დაკავშირება. მომდევო ეტაპზე მოხდა რამოდენიმე წარმოდგენის შექმნა. წარმოდგენა (Views) არის ერთი ან რამდენიმე ცხრილიდან გარკვეული კრიტერიუმით ამორჩეული სტრიქონების ერთობლიობა ანუ არსებული ცხრილების გარკვეული სტრიქონებით შესაძლებელია, ახალი ცხრილის შექმნა (ქვემოთხოვნიდან გამომდინარე).

1. INT1 - გაერთიანდა საქონლის კოდი, რეჟიმები (იმპორტ-ექსპორტი), ქვეყნის კოდი, იმპორტ-ექსპორტირებული საქონლის რაოდენობა, ღირებულება, რაოდენობა და თარიღი;
2. import_export_qveknebi - რეჟიმები, ქვეყნის კოდები, დასახელება, ჯამი ღირებულების, თარიღი;
3. import_export_saq_jgufebi- რეჟიმები, საქონლის ჯგუფის კოდი, დასახელება, ჯამი ღირებულება, INT შესული ყველა ინფორმაცია, თარიღი;

4. import_export_saqoneli - რეჟიმები, საქონლის კოდი, საქონლის ჯგუფის დასახელება, ჯამური ღირებულება, INT შესული ყველა ინფორმაცია, თარიღი ;
5. imp_exp_saq_jguf_kvart- რეჟიმები, საქონლის ჯგუფის კოდი, დასახელება, ჯამი ღირებულება, INT შესული ყველა ინფორმაცია, INTEGRIREBULI_TARIFI არსებული ყველა ინფორმაცია,თარიღი;
საბოლოო შედეგს ასეთი სახე აქვს (დანართი).

დასკვნა

დღეს საქართველოში, პრაქტიკულად ყველამ, ნებისთ თუ იძულებით, ბიზნესს, უმეტესად კი კომერციას მოჰკიდა ხელი. მეწარმეობითი საქმიანობა, სამწუხაროდ, ჩამორჩება დროის მოთხოვნებს. საბაზრო ურთიერთობებმა სრულიად ახალი, ჩვენთვის თითქმის უცნობი მოთხოვნები წარმოშვა. ახალ მოთხოვნებს კი ახლებური, დროის შესაბამისი ხედვა და მართვა სჭირდება. საქართველოში თანდათანობით იქმნება და იხვეწება ბიზნესის განვითარებისათვის მეტად აუცილებელი სამართლებრივი ბაზა; ტარდება ეკონომიკური რეფორმები; მუშავდება მიზნობრივი პროგრამები, მოდელები, კონცეფციები; ქვეყანა ერთიანდება საერთაშორისო ორგანიზაციებში; ჩნდება იმედის მომცემი ტენდენციები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საქართველოში ექსპოტ-იმპორტის კონტროლის მექანიზმების მრავალფეროვნებამ და არასისტემატიზირებულობამ განაპირობა თემის იდეა.

საქართველო 2000 წელს გახდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრის ქვეყანა და თავზე აიღო ვალდებულებები სავაჭრო პოლიტიკის მექანიზმების გამოყენების პრაქტიკა შესაბამისობაში მოეყვანა ორგანიზაციის ჩარჩოებში მიღებულ მრავალმხრივ შეთანხმებებთან. გარდამავალ პერიოდში საგარეო ვაჭრობის რეგულირების ინსტრუმენტები პერმანენტულ ცვლილებებს განიცდიდნენ, იცვლებოდა მათი გამოყენების როგორც სამართლებრივი საფუძვლები, ისე ადმინისტრირების მექანიზმებიც და მისი განმახორციელებელი უწყებებიც.

ამ წლების განვალობაში საგარეო ვაჭრობის ასეთი ხშირი ცვლილებიდან გამომდინარე დღესდღეობით საქართველოს გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა,

რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს.

როგორც აღნიშნეთ სასაქონლო ნომენკლატურა განკუთვნილია საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში მონაწილე ბიზნესმენებისა და საზოგადოების სხვა დაინტერესებული წარმომადგენლობისათვის. მასში ინფორმაციაა საქონლის საზღვარზე გადაადგილების განსაზღვრული წესებისა და მექანიზმებისა.

ქართული ბაზრის შესწავლისა და სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე ზემოთ აღნიშნული საკითხის აუცილებლობა უფრო გაზარდა.

ამ თემის მიზანია შეიქმნას იმპორტირებულ და ექსპორტირებულ პროდუქციის მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა Oracle-ში.

არჩევანი შევაჩერეთ მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა Oracle-ზე. ეს არჩევანი განაპირობა იმან რომ იგი უნიკალური ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი, რის გამო იგი გამოირჩევა სისწრაფით, მასთან მუშაობის სიმარტივით, მაღალი დაცვის საიმედოობით.

ამასთან ერთად Oracle-ში შეგიძლია შექმნა მძლავრი, თანამედროვე პორტალები, ინტეგრირება გაუკეთო სხვადასხვა სახის დანართებს და შექმნა ერთიანი სისტემა. გაიცვალოს მონაცემები არც ისე საიმედო ქსელით. შეიქმნას მობილური, ანალიტიკური დანართები, ინფორმაციის საცავი, მაღალი დაცვის საიმედოობით, კოლექტიური სამუშაოსათვის ამ სისტემით შეუძლია ისარგებლოს საწარმოს ყველა მუშაკმა.

საქართველოში ექსპოტ-იმპორტის კონტროლის მექანიზმების მრავალფეროვნებამ და არასისტემატიზირებულობამ განაპირობა თემის იდეა. ჯერჯერობით არ ჩატარებულა კვლევა, რომელიც მრავალმხრივ შეისწავლის სატარიფო მექანიზმების გამოყენების პრაქტიკას.

როგორ აღნიშნეთ საქართველოში 11 ლიცენზირებული საბროკერო კომპანია, რომლებიც შუამავლობენ ბიზნესის სხვადასხვა სახეობებში. ხელს უწყობენ ოპერაციის განხორციელებას და შესაბამისი გარიგებების დადებას. საშუამავლო ბიზნესი ემსახურება ეკონომიკური აგენტების

ინფორმაციულ უზრუნველყოფას, მათ შორის კონტაქტების დამყარებას და კონტრაქტების დადებას. შუამავალი ბიზნესმენი გასამრჯელოს იღებს არა მის მიერ ყიდვა-გაყიდვის აქტის განხორციელების შედეგად, არამედ იმისათვის, რომ მოძებნა და დააკავშირა ურთიერთდაინტერესებული ადამიანები, ამით შეასრულა საშუამავლო მომსახურება [14]. და ეს გასამრჯელო შესრულებული ოპერაციებიდან გამომდინარე საკმაოდ სოლიდურია.

ინფორმაციული სისტემა შეასრულებს შუამავლის გარკვეულ ფუნქციებს უსასყიდლოდ. რაც შეუწყობს ხელს დანახარჯის შემცირებას და ზუსტ ინფორმაციასთან წდომას. რაც საშუალებას მისცემს საგარეო ვაჭრობის სუბიექტებს წინასწარ მიიღონ ინფორმაცია კონკრეტულ საქონელზე დაწესებული საგადასახადო განაკვეთების, საჭირო ნებართვების, ლიცენზიების, მათი მოპოვების პროცედურების თაობაზე ცალკეული სასაქონლო სახეობების მიხედვით. შემოსული და გასული საქონლის შესახებ ინფორმაციას.

ასეთი ინფორმირებულობა გაზრდის ამ სფეროთი დაინერესებას. გაზრდის საგარეო ვაჭრობის სუბიექტების რაოდენობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები ნაწილი; ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.
2. ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1948წ.
3. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960წ.
4. გიორგი ანჩაბაძე; საქართველოს ისტორიის ნარკვევი.
5. საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი “ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისი” თბილისი, 2012წ.
6. მსოფლიო ბანკი www.data.worldbank.org - უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა – 05.06.2013
7. საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“.
8. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი შეთანხმება.
9. თომას დე ვაალი. საქართველოს არჩევანი. მომავლის დაგეგმვა გაურკვევლობის პერიოდში. Carnegie Endowment for International Peace, Washington DC, Moscow, Beijing, Beirut, Brussels. 2011წ.
10. სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) www.geostat.ge - უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა – 05.06.2013
11. ნოდარ ხადური. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები. USAID | GEORGIA From The American People. 2011წ.
12. საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია 2012-2015, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

13. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო www.mfa.gov.ge - უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა – 05.06.2013
14. <http://trust-nz.com/trust-history.html> ტრასტის წარმოშობის ისტორიული წყაროებიდან. - უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა – 05.06.2013
15. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო www.mof.ge - უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა – 05.06.2013
16. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო <http://www.economy.ge/> - უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა – 05.06.2013
17. www.financial.ge - უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა – 05.06.2013
18. თ. სტურუა „საინფორმაციო სისტემების დაპროექტება“ საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი 2012წ.
19. რ. სამხარაძე „SQL სერვერი“ საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი 2009წ.
20. როგავა, ზვიად. გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი რედ.: გივი გამსახურდია - თბ. : ბაკმი, 2002
21. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, თბილისი, 1979. საქართველოში მოღვაწე სომეხმა მეწარმეებმა ა. ეფინჯიანცმა და ნ. ბოზარჯიანცმა დაიწყეს თამბაქოს წარმოება საქართველოში.
22. გ.ურიდია, ფ. რუხაია. საბაჟო საქმის საფუძვლები. „პოლიგრაფი“ თბილისი 2009.
23. საქართველოს საბაჟო კოდექსი;
24. გურამ ჯოლია. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2007 წელი.
25. საქართველოს პარლამენტი <http://www.parliament.ge/> - უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა – 05.06.2013
26. Рик Гринвальд, Роберт Стаковьяк, Гэри Додж, Дэвид Кляйн, Бен Шапиро, Кристофер Дж. Челья. Программирование баз данных Oracle для профессионалов. Диалектика. Москва-Санкт-Петербург-Киев. 2007

27. Абулашвили Х., Маградзе Е. Построение и реализация Хранилищ Данных,-
“INTELECT” -2006 г.
28. Aspers, Patrik Markets Cambridge: Polity Press 2011
29. Gibson-Graham, J.K. Postcapitalist Politics. University of Minnesota Press,. 2006
30. Aspers, Patrik Markets Cambridge: Polity Press. 2011
31. Bakker, Karen “Neoliberalizing Nature?: Market Environmentalism in water
supply in England and Wales” Annals of the Association of American
Geographers 95 (3), 2005
32. Bourdieu, Pierre Acts of Resistance: Against the Tyranny of the Market. The New
Press. 1999
33. Callon, Michel "Introduction: The Embeddedness of Economic Markets in
Economics." In The Laws of the Markets, edited by Michel Callon. Basic
Blackwell/The Sociological Review 1998
34. Gibson-Graham, J.K. Postcapitalist Politics. University of Minnesota Press 2006
35. http://en.wikipedia.org/wiki/Oracle_Database - უკანასკნელად
გადამოწმებულ იქნა – 05.06.2013
36. <http://www.internaldisplacement.org/idmc/website/> - უკანასკნელად
გადამოწმებულ იქნა – 05.06.2013
37. www.oracle.axoft.ru - უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა – 05.06.2013
38. www.interface.ru - უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა – 05.06.2013
39. http://en.wikipedia.org/wiki/Data_model - უკანასკნელად გადამოწმებულ
იქნა – 05.06.2013
40. http://en.wikipedia.org/wiki/Relational_database - უკანასკნელად
გადამოწმებულ იქნა – 05.06.2013
41. http://en.wikipedia.org/wiki/List_of_database_models - უკანასკნელად
გადამოწმებულ იქნა – 05.06.2013

დანართი

```
create table QVEKNEBI
(
  qveknis_kodi    NUMBER(4) not null,
  dasaxeleba     NVARCHAR2(50),
  qveknis_jgupi  NVARCHAR2(30),
  valuta         NVARCHAR2(30),
  web_gverdi     VARCHAR2(255),
  constraint PK_qveknebi primary key (qveknis_kodi)
);
create table SAQONLIS_JGUPEBI
(
  saqonlis_jgufis_kodi    CHAR(10) not null,
  saqonlis_jgupis_dasaxeleba NVARCHAR2(255),
  constraint PK_saqonlis_jgupebi primary key (saqonlis_jgufis_kodi)
);
create table INTEGRIREBULI_TARIFI
(
  saqonlis_jgufis_kodi    CHAR(10),
  saqonlis_kodi           CHAR(30) not null,
  saqonlis_dasaxeleba     NVARCHAR2(255),
  importis_gadasax_forma NVARCHAR2(20),
  importis_gadasax_ganakveti NUMBER(5),
  importis_gadasax_shegav_forma NVARCHAR2(20),
  importis_gadasax_shegavatebi NUMBER(5),
  aqcizi_forma            NVARCHAR2(20),
  aqcizi_ganakveti        NUMBER(5),
  aqcizi_shegavatebi      NUMBER(5),
  drg_shegavatebi         CHAR,
  nulovani_taripis_dabegvra CHAR,
  licenziebi              CHAR,
  nebartvebi              CHAR,
  akrdzalvebi             CHAR,
  sertifikatebi           CHAR,
  kvotebi                  CHAR,
  registracia             CHAR,
  shenishvna1             NVARCHAR2(1000),
  shenishvna2             NVARCHAR2(1000),
  shenishvna3             NVARCHAR2(1000),
  shenishvna4             NVARCHAR2(1000),
  constraint PK_saqonlis_kodi primary key (saqonlis_kodi),
  constraint FK_saqonlis_jg_kodi foreign key (saqonlis_jgufis_kodi)
  references SAQONLIS_JGUPEBI
);
create table INT
(
  saqonlis_kodi    CHAR(30) not null,
  rezhimi          NVARCHAR2(15) not null,
  qveknis_kodi     NUMBER(4) not null,
  raodenoba_kg     NUMBER(10,2),
  girebuleba_dolari NUMBER(18,9),
  raodenoba_erteulshi NUMBER(10,2),
  tarigi           DATE default sysdate not null,
  constraint PK_int primary key (saqonlis_kodi, rezhimi, qveknis_kodi,
  tarigi),
  constraint FK_int_qv_kodi foreign key (qveknis_kodi) references
  qveknebi,
  constraint FK_int_saq_kodi foreign key (saqonlis_kodi)
  referencesintegrirebuli_tarifi
```

```

);
create view INT1
as
select saqonlis_kodi, rezhimi, qveknis_kodi, raodenoba_kg,
girebuleba_dolari, raodenoba_erteulshi, to_char(tarigi, 'month') TVE
from INT;

create or replace view import_export_qveknebi
as
SELECT i.rezhimi, q.qveknis_jgupi, q.dasaxeleba, To_char(i.tarigi,
'Month')
           Tve, Sum(i.girebuleba_dolari)
           jamuri_girebuleba_dolari
FROM int i left join qveknebi q on i.qveknis_kodi=q.qveknis_kodi
WHERE To_char(i.tarigi,'mm') between 1 and 3
GROUP BY i.rezhimi, q.qveknis_jgupi,q.dasaxeleba, To_char(i.tarigi,
'Month')

ORDER BY q.dasaxeleba;

create or replace view import_export_saq_jgufebi
as
SELECT i.rezhimi, t.saqonlis_jgufis_kodi, j.saqonlis_jgupis_dasaxeleba,
To_char(i.tarigi,'Month') Tve, Sum(i.girebuleba_dolari)
jamuri_girebuleba_dolari
FROM int i left join integrirebuli_tarifi t on
i.saqonlis_kodi=t.saqonlis_kodi
left join saqonlis_jgupebi j on
t.saqonlis_jgufis_kodi=j.saqonlis_jgufis_kodi
WHERE To_char(i.tarigi,'mm') between 1 and 3
GROUP BY i.rezhimi, t.saqonlis_jgufis_kodi,
j.saqonlis_jgupis_dasaxeleba, To_char(i.tarigi,'Month')
Order by t.saqonlis_jgufis_kodi;

create or replace view import_export_saqoneli
as
SELECT i.rezhimi, i.saqonlis_kodi, saqonlis_dasaxeleba,
To_char(i.tarigi,'Month') Tve, Sum(i.girebuleba_dolari)
           jamuri_girebuleba_dolari
FROM int i left join INTEGRIREBULI_TARIFI T on

i.saqonlis_kodi=t.saqonlis_kodi
WHERE To_char(i.tarigi,'mm') between 1 and 3
GROUP BY i.rezhimi, i.saqonlis_kodi, saqonlis_dasaxeleba,

To_char(i.tarigi,'Month')

create or replace view imp_exp_saq_jguf_kvart
as
SELECT i.rezhimi, t.saqonlis_jgufis_kodi, j.saqonlis_jgupis_dasaxeleba,
To_char(i.tarigi,'Q') Qvartali, Sum(i.girebuleba_dolari)
jamuri_girebuleba_dolari
FROM int i left join integrirebuli_tarifi t on
i.saqonlis_kodi=t.saqonlis_kodi
left join saqonlis_jgupebi j on
t.saqonlis_jgufis_kodi=j.saqonlis_jgufis_kodi
WHERE To_char(i.tarigi,'Q')=1
GROUP BY i.rezhimi, t.saqonlis_jgufis_kodi,
j.saqonlis_jgupis_dasaxeleba,To_char(i.tarigi,'Q');

```